პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—64
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 20 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ბევრჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 25 იანვარი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 20 (2063)

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. დოვგალევსკი მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტმა.
- აღმოსავლეთ-ინდოეთის რკინის გზაზე გაფიცვა გამოაცხადა 10.000 მუშამ.
- ჩინეთის რევოლიუციონურმა ჯარებმა დაიკავეს შ. იჩანი დენინში.
- ათინაში გაიხსნა საბჭოთა მხატვრების სურათების გამოფენა.
- თებერვალში დაიწყება გერმანია-ლიტვის მოლაპარაკება ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.
- დამთავრდა ოსმალეთის კომუნისტების პროცესი.

კომუნისტი
მიიღება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მთელი ასი პროცენტით

ჩვენს საფინანსო პოლიტიკაში სახელმწიფო სესხებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. საბჭოთა კავშირის 1927—28 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ამ სესხებიდან 500 მილიონ მანეთის მიღება. ეს თანხა, თუ მოხერხდა მისი მთლიანად შეგროვება, მეტად თვალსაჩინო დამატებითი წყარო იქნება ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტურ მშენებლობის წარმატებისათვის.

ამას კი ჩვენ უეჭველად შევძლებთ. წინანდელი მიღწევები სესხების რეალიზაციის დარგში, მოსახლეობის ნივთიერი შესაძლებლობანი და მისი განწყობილება საამისოდ ურყევ საბუთს წარმოადგენენ. ამ მიღწევებს შორის ყველაზე უფრო საგულისხმო ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიის შედეგებია.

დაწესებული 200 მილიონის მაგივრად სულ მოკლე დროში განაღდებულ იქნა 250 მილიონამდე მანეთის ობლიგაციები. რით აიხსნება ასეთი წარმატება? უმთავრესად: მასების უსაზღვრო ნდობით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მისი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების სურვილით (გაიხსენეთ, რომ სესხი გავრცელებულ იქნა საბჭოთა კავშირის საგარეო გართულებათა დროს), ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის პოპულიარობით, მასების მატერიალურ კეთილდღეობის აწევით და კარგად ჩატარებული საგიტაციო-ორგანიზაციულ მუშაობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხი უმეტესად გასაღდა ქალაქებში— მუშა-მოსამსახურეთა შორის. სოფელი ამ მხრივ ძალზე ჩამორჩა, რაც აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ ეს სესხი გადაჭარბებით დაიფარა ქალაქებში და არც ისე აუცილებელი შეიქნა მის რეალიზაციაში გლეხობის ჩაბმა. მეორე, მოკლე ვადაში, რომელიც დაწესებული იყო ინდუსტრიალიზაციის სესხის განაღდებისათვის, მეტად ძნელ ამოცანას შეადგენდა მრავალ ათეულ მილიონ, უზარმაზარ ტერიტორიაზე გაბნეულ გლეხობაში სათანადო მუშაობის ჩატარება. ეს უკანასკნელი გარემოება ერთი მთავარი მიზეზთაგანია, რომ სოფელი დღემდე საერთოდ ნაკლებ მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი სახელმწიფო სესხების რეალიზაციის საქმეში.

გლეხის მეურნეობის განსამტკიცებლად გამოცემულმა სპეციალურმა სესხმა (ასი მილიონის რაოდენობით) ეს ნაკლი უსათუოდ უნდა გამოასწოროს. ამის შესაძლებლობა არის. გლეხობა ბოლო წლებში ნივთიერად მოღონიერდა საგლეხო გადასახადების შემცირების, მაღალ კულტურების და მესაქონლეობის ზრდის და სხვა გარემოებათა წყალობით სოფლად დაგროვდა საკმაოდ მნიშვნელოვანი თავისუფალი თანხები, რომელთა მოქცევა სახელმწიფო კრედიტის არხებში დიდად შეუწყობს ხელს გლეხის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და მის კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულიად დაკმაყოფილებას.

სასოფლო მეურნეობამ თუმცა მიაღწია ომის წინანდელ დონეს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ არის საკმარისი. ის მაინც ჩამორჩენილია. საჭიროა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის და აგრონომიულ ცოდნის გავრცელება, ჭაობების ამოშრობა, უდაბურ და გვალვიან ადგილების მორწყვა, სამრეწველო კულტურების დინამიკა და მრავალი სხვა, რომ სოფლის მეურნეობა შეიქნეს მეტი შრომის დამტევი და უფრო მოსავლიანი. გლეხის მეურნეობის სესხმა ამ ამოცანების გადაჭრა უნდა გააადვილოს.

ამავე დროს სოფლის კულტურული მოთხოვნილებები არაჩვეულებრივად გაიზარდა ბოლო დროს. მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაძლებლობის ფარგლებში დიდძალ თანხებს იღებს ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. თვით გლეხობა იჩენს ინიციატივას და ატარებს თვითდაბეგვრას სოფლის ეკონომიურ-კულტურულ დონის ასამაღლებლად. ამ მხრივ საყურადღებოა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხიც: ამა თუ იმ ადგილობრივ ადმინისტრატიულ ერთეულების ფარგლებში გასაღებულ სესხის ჯამის ათი პროცენტი გადაიცემა ადგილობრივ ბიუჯეტში სოფლის, თემის სამეურნეო - კულტურულ საჭიროებებისათვის.

გარდა ზევით აღნიშნულისა, პირადად თვითეულ გლეხისათვის უაღრესად სასარგებლოა სესხის ობლიგაციის შეძენა: ფული საიმედოდ შეინახება, პროცენტი მიეცემა, ადვილად შესაძლებელია მოგებაც ამოუვიდეს, მოგებული ფულის ანგარიშში, თუ მოისურვებს, მიიღებს მისთვის საჭირო სას.-სამეურნეო მანქანას შეღავათიან პირობებში და სხ.

ყველა ამის გამო გლეხობის განმტკიცების სესხი არ შეიძლება ფართოდ არ გავრცელდეს და პოპულიარული არ გახდეს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ფართე კამპანიის გაშლა. გლეხობას კარგად უნდა გავაცნოთ სესხის შინაარსი, მნიშვნელობა და პირობები. ამასთან ობლიგაციების გასაღების ტეხნიკური მხარე უნდა დაყენებულ იქნეს ჯეროვან სიმაღლეზე. არავითარი ბიუროკრატიზმის ნასახი, ცხადია, აქ არ უნდა სჩანდეს. სესხის გავრცელების საქმე უშუალოდ უნდა მიუახლოვოთ გლეხურ მოსახლეობას.

კამპანია სესხის რეალიზაციისათვის უკვე დაიწყო ყველა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ყველა მოწინავე კულტურულმა ელემენტებმა უნდა შეიგნონ ამ კამპანიის მთელი მნიშვნელობა და ენერგიულად მოკიდონ ხელი მის წარმატებით ჩატარებას, სესხის რეალიზაციას მთელი ასი პროცენტით.

ახალი კაბინეტი ლატვიაში

მთავრობის ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ ლატვიაში დემოკრატიულ ცენტრის პარტიის წარმომადგენელმა იურაშევსკიმ მოახერხა შეექმნა კაბინეტი, რომელმაც, როგორც სჩანს უკანასკნელ დეპეშებიდან, მიიღო ნდობის ვოტუმი სეიმში.

მემარცხენე კოალიციის მთავრობის გადადგომის შემდეგ, როგორც ვიცით, ლატვიაში სცადეს მთელი რიგი კომბინაციები მთავრობის შესადგენად, დაწყებული უკიდურეს მემარჯვენე მთავრობიდან და დამთავრებული წინადადებებით უწინდელი კოალიციის დაბრუნების შესახებ. ეს ცდები ერთი - ერთმანეთის მოყოლებით დამარცხდა და თვითეული მორიგი დეპეშა ლატვიიდან იუწყებოდა, რომ ამა თუ იმ ფრაქციის ლიდერი უარს ამბობდა კაბინეტის შედგენაზე.

უკანასკნელმა ცდამ გაიმარჯვა და მთავრობა უმთავრესად შედგენილია დემოკრატიულ ცენტრის მიერ, რომელსაც პარლამენტში ას დეპუტატის მანდატიდან აქვს სულ სამი ადგილი. დემოკრატიულ ცენტრს არა აქვს დიდი პოლიტიკური ხვედრითი წონა და არც აიხსნება ამ წონით ის გარემოება, რომ სწორედ მან მოახერხა კაბინეტის შედგენა. ამ გამარჯვების მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ამ პოლიტიკურ ჯგუფს აქვს საშუალო ხასიათი, ის ქანაობს ორ, შედარებით მტკიცედ მოწყობილ კოალიციას: მემარჯვენეს და მემარცხენეს შორის. სკუენიკსა და ცელენსის წარსულ კაბინეტში დემოკრატიული ცენტრი შედიოდა მემარცხენე კოალიციის შემადგენლობაში და სოციალ - დემოკრატებთან ერთად იმყოფებოდა მთავრობაში, რომელსაც ამ ორ ჯგუფს გარდა მხარს უჭერდენ ნაციონალური უმცირესობები. როგორც ვიცით, სკუენიკის მთავრობის გადადგომის წინ დემოკრატიული ცენტრი გამოვიდა მემარცხენე კოალიციის შემადგენლობიდან და ამით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის დაშლას. დემოკრატიულ ცენტრის გამოსვლა მემარცხენე კოალიციის შემადგენლობიდან სწორედ იმ მომენტში, როდესაც ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ჯგუფებს შორის უაღრესად გამწვავდა, მოასწავებდა მის მორიგ გადახრას მარჯვნივ და იმის შიშს, რომ საბოლოოდ არ დაეკავშირებია თავისი ბედი იღბალი მემარჯვენე კოალიციასთან.

ხანამ დემოკრატიული ცენტრი იმყოფებოდა მემარცხენე კოალიციის შემადგენლობაში, ხმები სეიმში დაახლოვებით თანასწორად იყოფოდა ორივე მებრძოლ ჯგუფს შორის. დემოკრატიულ ცენტრის გადასვლამ მემარჯვენე ჯგუფის მხარეზე უკანასკნელს მისცა უპირატესობა სამი — ოთხი ხმით.

კაბინეტის შედგენის ყველა ცდები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სკუენიკის კაბინეტის გადადგომიდან ახალი კაბინეტის შედგენამდე, დამარცხებით თავდებოდა ერთი ძირითადი დაბრკოლების გამო. ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე კოალიციებს შორის და თვითეულ ამ ძირითად ჯგუფის მომხრე მანდატების დაახლოვებით თანასწორი რიცხვი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ შემდგარიყო ისეთი კაბინეტი, რომელსაც ექნებოდა რამე ნათლად გამოხატული პოლიტიკური გადახრა. თითქოს სკუენიკის მთავრობის გადადგომა, რასაც გააფთრებით მოითხოვდენ მრავალ თვეების განმავლობაში მემარჯვენე კოალიციის წარმომადგენლები, მოასწავებდა მათ გამარჯვებას. თითქოს მემარცხენე კოალიციის მთავრობის გადადგომის შემდეგ მემარჯვენე კოალიცია შესძლებდა გაენაღდებია თავისი გამარჯვების ნაყოფი და შეადგენდა კაბინეტს. მაგრამ ყველა ცდები კაბინეტის შესადგენად, რომლებსაც მიმართა მემარჯვენე კოალიციის ძირითადმა ხელმძღვანელმა ჯგუფმა და გლეხთა კავშირმა, რომელსაც მის თანაგრძნობ ჯგუფებთან ერთად აქვს 28 მანდატი, სრულიად უშედეგოდ დამთავრდა. ამ დამარცხებათა გამო მემარჯვენე კოალიციის ხელმძღვანელნი იძულებული გახდენ უარი ეთქვათ თავის მთავრობის შედგენაზე და დათანხმდენ დემოკრატიულ ცენტრის მთავრობაში შესვლაზე, ამასთანავე მათ ვერ მიიღეს ხელმძღვანელი პორტფელები. კიდევ მეტი. ამ მთავრობაში ვერ შევიდა გლეხთა კავშირის ვერც ერთი ლიდერი. უკანასკნელ წუთში ისიც კი გახდა საჭირო, რომ მიწათმოქმედების მინისტრის პორტფელი აღარ მისცემოდა გლეხთა კავშირის ლიდერთაგან ერთად - ერთ ალბერინგს, რომლის შეყვანა მთავრობის შემადგენლობაში მაინც იყო განზრახული. ამ გარემოებას არ შეიძლება არ ვაქციოთ ანგარიში, როგორც იმის მაჩვენებელს, რომ მემარჯვენე კოალიციისათვის შეუძლებელია გამოიყენოს თავისი გამარჯვება სკუენიკის კაბინეტზე. სხვათა შორის აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ მემარცხენე კოალიციის კაბინეტი გადადგა საკუთარი სურვილით, მისთვის პარლამენტში არ გამოუცხადებიათ უნდობლობის ვოტუმი.

მაგრამ ის გარემოება, რომ იურაშევსკის კაბინეტში ვერ შევიდნენ მემარჯვენე ჯგუფების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ვერც კაბინეტს ვერ ართმევს მის უეჭველ მემარჯვენე გადახრას. საკმაოა შევჩერდეთ ადგილების განაწილებაზე ახალ მთავრობაში, რომ მივიდეთ ამ დასკვნამდე.

ოთხი პორთფელი (პრემიერის, გარეშე საქმეთა, სამხედრო და გზათა მიმოსვლის მინისტრების) ეკუთვნის დემოკრატიულ ცენტრს, ორი პორთფელი (შინაგან საქმეთა და მიწადმოქმედების მინისტრების) გლეხთა კავშირს, ერთი პორთფელი ფაშისტებს, ერთი გერმანელთა ფრაქციას და ერთიც ლატგალიელებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელი პოსტები დემოკრატიულ ცენტრის ხელშია (უკანასკნელ ცნობების მიხედვით, პრემიერმა იურაშევსკიმ მიიღო აგრეთვე ფინანსთა მინისტრის პორთფელიც), მის მცირე ხვედრით წონას პარლამენტში არ შეუძლია დიდი დამოუკიდებლობა მისცეს მის საკუთარ პოლიტიკას. აი რატომ არიან, როგორც სჩანს, მართალი ოპოზიციის ის ორატორები, რომლებიც ახალი მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს აღნიშნავდენ, რომ გლეხთა კავშირი, მიუხედავად მისი პორთფელების მცირე რაოდენობისა, ხელმძღვანელ როლს ითამაშებს ახალ მთავრობაში.

ასეთია ზოგადად ლატვიის ახალი მთავრობის სახე.

ცნობილია, რომ მემარჯვენე კოალიცია, რომელიც ამჟამად იმყოფება მთავრობის რიგებში, აწარმოებდა გამწვავებულ ბრძოლას სკუენიკსა და ცელენსის მთავრობის წინააღმდეგ მთელ რიგ თვეების განმავლობაში უმთავრესად წარსული კაბინეტის საგარეო პოლიტიკის გარშემო. განსაკუთრებით გააფთრებით ესხმოდენ თავს გარეშე საქმეთა მინისტრ ცელენსის პოლიტიკას; ცელენსმა ძლიერ ბევრი რამ გააკეთა ლატვიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ დაახლოვებისათვის და საფუძველი ჩაუყარა ორივე ქვეყნის ეკონომიურ დაახლოვებას 1927 წლის მაისში ხელმოწერილ სავაჭრო ხელშეკრულების სახით, რომლის რატიფიკაცია მოხდა წარსული წლის ოქტომბერში. ბრძოლას ცელენსის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ აწარმოებდენ არა მარტო ლატვიის მემარჯვენე ჯგუფები, არამედ ეს ბრძოლა ფრიად დიდ დახმარებას პოულობდა ლატვიის გარედანაც. თავის დროზე ჩვენი პრესა აღნიშნავდა ამ დახმარებას, რომელიც მოდიოდა ინგლისის, პოლონეთის და ესტონეთის მხრივ; უკანასკნელნი სცდილობდენ, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ მოეხერხებინათ, რომ ლატვიის უარი ეთქვა საბჭოთა კავშირთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე.

ეხლა, როდესაც უკვე მოხდა ხელშეკრულების რატიფიკაცია, როდესაც ხელშეკრულება ძალაში შევიდა და უკვე იძლევა თავის შედეგებს, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სკუენიკისა და ცელენსის კაბინეტის პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო უყოყმანოდ კავშირის განმტკიცებისაკენ საბჭოთა კავშირსა და ლატვიის შორის იყო არა რამე სპეციფიური პარტიული პოლიტიკა, არამედ შეეფერებოდა ლატვიის ხალხის, ლატვიის სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის ნამდვილ საარსებო ინტერესებს. აი რატომ, ისახავდა რა ლატვიასთან ეკონომიურ დაახლოვების ამოცანას, საბჭოთა კავშირის მთავრობა არ სთვლიდა, რომ ის ამ პოლიტიკაში მხარს უჭერს ლატვიის პარტიების ამა თუ იმ ჯგუფს, არამედ მიდის იმ გზით, რომელზედაც საბჭოთა კავშირისა და ლატვიის ხალხების ინტერესები სავსებით ეთანხმება ერთმანეთს.

მეორეს მხრივ, ამჟამად უკვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ლატვიის მემარჯვენე ჯგუფები, რომლებიც ებრძოდენ მემარცხენე კოალიციის მთავრობას ლატვია - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის დროშით, ყველა როდი იყვნენ გულწრფელად დარწმუნებული იმაში, რომ ეს ხელშეკრულება და მთელი ის პოლიტიკა, რომელზედაც არის ის აგებული, საზიანოა ლატვიის ინტერესებისათვის. პირიქით, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს ლოზუნგი მათ გამოიყენეს მემარცხენე კაბინეტის დასამხობად, რომელიც მათ სძულდათ შინაურ სოციალ - პოლიტიკურ მიზეზების გამო. რამდენადაც ბრძოლის ეს ამოცანა გადაჭრილია სკუენიკის კაბინეტის გადადგომით, უეჭველია, რომ ბევრ მებრძოლ ჯგუფებისათვის უკვე საჭიროებას აღარ წარმოადგენს ძველი ლოზუნგების წამოყენება და გამწვავება.

დამახასიათებელია, რომ ახალი კაბინეტის შედგენის რამოდენიმე დღის წინად გამოქვეყნებულ დეკლარაციაში, რომლის წაკითხვა განზრახული იყო პარლამენტში, იყო ფრაზა „საგარეო პოლიტიკის კურსის გამოცვლის“ აუცილებლობის შესახებ. ეს ფრაზა, არც თუ უსაფუძვლოდ, გახდა საბაბი ისეთ კომენტარიებისა, რომ ახალი კაბინეტს გადაწყვეტილი აქვს შესცვალოს საბჭოთა კავშირთან დაახლოვების პოლიტიკა. პრემიერ იურაშევსკის მიერ მთავრობის შედგენის შემდეგ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ეს ფრაზა გამომუშავებულია და შეცვლილია ახალი ფორმულით, რომელიც ლაპარაკობს „ჩვენს მეზობლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებასა და გაღრმავებაზე“.

ეს ცვლილება ახალ მთავრობის დეკლარაციაში, ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ჯანსაღი ელემენტები და ლატვიის ჭეშმარიტ ინტერესების დამცველი სწორად გარკვეული პოლიტიკა აღმოსავლეთის დიდ მეზობელთან დაახლოვების საქმეში, — ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა სკუენიკისა და ცელენსის კაბინეტი, უცხო არ არის ახალ კაბინეტისთვისაც, მიუხედავად თავის აშკარად გამოხატულ მემარჯვენე გადახრისა ლატვიის ახალ მთავრობას არ შეუძლია ინგლისის ზრახვების გულისათვის ამოშალოს ლატვიის საგარეო პოლიტიკიდან ის ძირითადი მისი ხაზები, რომლებიც მთლიანად და სავსებით შეეფერება ლატვიის ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს.

თავის მხრივ ჩვენ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ყოველთვის ვთვლიდით, როგორც ეხლაც ვთვლით, რომ ლატვია - საბჭოთა კავშირის დაახლოვების პოლიტიკა სრულებითაც არ წარმოადგენდა და არ შეიძლება წარმოადგენდეს ამა თუ იმ პარტიულ ჯგუფის კუთვნილობას და, რამდენადაც ეს პოლიტიკა შეეფერება ორივე მხარის საარსებო ინტერესებს, მას ყოველთვის შეუწყობს ხელს როგორც საბჭოთა მთავრობა, ისე საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი.

ლატვიის ახალი კაბინეტის შესახებ ჩვენ ძლიერ ცოტა რამე ვიცით. ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, რა თქმა უნდა, საკმაო არაა იმისათვის, რომ გამოვიტანოთ დასკვნა, თუ რამდენად შესძლებს და მოისურვებს იგი გაატაროს ცხოვრებაში თავის დეკლარაციის ის ნაწილი, რომელშიაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირთან „კარგი ურთიერთობის გაღრმავების“ შესახებ.

ამ კაბინეტის ნამდვილი პოლიტიკაზე დასკვნის გამოტანა შეგვეძლება არა დეკლარატიულ ფრაზების მიხედვით, არამედ სათანადო მოქმედების ნიადაგზე. ჩვენ ველით ახალ კაბინეტის დეკლარაციის ამ ნაწილის სინამდვილეში დადასტურებას სრული რწმენით, რომ მეგობრულ ურთიერთობის გაღრმავება და გაფართოება საბჭოთა კავშირსა და ლატვიის შორის შეეფერება ორივე ხალხის ნამდვილ ინტერესებს.

„იზვესტია“, 24 იანვარი.

ამხ. დოვგალევსკი პრეზიდენტ დუმერგთან
გერმანელ მუშების ბრძოლის ფრონტი ფართოვდება
რურის მემაღაროეები გაფიცვისათვის ემზადებიან.-მემარცხენეთა გამარჯვება
ამერიკაში „მუდმივი მშვიდობიანობის“ პროექტს დამარცხებულად თვლიან
მექსიკის გამოსვლა შეერთ. შტატების წინააღმდეგ პან-ამერიკულ კონფერენციაზე

ამხ. დოვგალევსკი დუმერგთან

რწმუნების სიგელების ჩაბარება ამხ. დოვგალევსკის მიერ

პარიზი, 23 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„დღის 4 საათზე რესპუბლიკის პრეზიდენტმა სპეციალურ აუდიენციით მიიღო **დოვგალევსკი**, რომელმაც მას ჩააბარა რწმუნების სიგელები. დოვგალევსკი და საელჩოს თანამშრომლები მივიდენ ელისეის სასახლეში პრეზიდენტის გარაჟის ავტომობილებით გარეშე საქმეთა სამინისტროს სოქმო ნაწილის შეფის **ბეკ დე ფუკიერის** და მისი თანაშემწის თანხლებით. როდესაც ელჩი მივიდა ელისეის სასახლეში, მას სამხედრო სალამი მისცა მე-24 ქვეითა პოლკის ბატალიონმა. სასახლის პერონთან ელჩს შეეგება სასახლის კომენდანტი პოლკოვნიკი **ბროსა**. დოვგალევსკი პრეზიდენტს წარუდგინა **დეფუკიერმა**, პრეზიდენტის გვერდით იდგა გარეშე საქმეთა მინისტრი **ბრიანი**. დოვგალევსკიმ და დუმერგმა წარმოსთქვეს ურთიერთ მისალმების სიტყვები“. (ადს).

პარიზი, 23 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პარიზში **დოვგალევსკიმ** პრეზიდენტ დუმერგისათვის რწმუნების სიგელების ჩაბარების დროს წარმოსთქვა სიტყვა:

ამხ. დოვგალევსკის სიტყვა.

„პატივი მაქვს გადმოგცეთ თქვენ ჩემი წინამოადგილე რაკოვსკის უკან გაწვევის სიგელები და რწმუნების სიგელები, რომლებითაც საბჭოთა კავშირის ცაკი მნიშნავს მე საგანგებო სრულუფლებიან წარმომადგენლად. საბჭოთა კავშირის მთავრობამ და ხალხებმა მტკიცედ გადასწყვიტეს დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობიანობა, ამიტომ მე მთელს ჩემს ძალ-ღონეს მოვახმარ იმ მეგობრულ ურთიერობის კიდევ უფრო განმტკიცებას, რომელიც ესოდენ სასიხარულოდ აერთებს ორივე ჩვენს ქვეყანას. იმ რწმენით, რომ კეთილი თანხმობა ჩვენს ხალხებს შორის წარმოადგენს მათი აყვავებისა და საყოველთაო მშვიდობიანობის არსებით საწინდარს. საბჭოთა კავშირის მთავრობამ, რომელიც კმაყოფილებით აღნიშნავს ეკონომიურ ურთიერთობათა მშვიდობიან განვითარებას ორივე ქვეყნის შორის, დამავალა მე აგრეთვე აღმოვფხვრა ყველა დაბრკოლებანი ამ დარგში და ჩემი ძალღონის ძიებით ხელი შევუწყო ამ ურთიერთობათა შემდგომ გაფართოებას და განვითარებას. სწორედ ამ იდეების მიხედვით მე გამოვთქვამ იმედს, რომ ის მოლაპარაკება რომელიც ასე ბედნიერად დაიწყო ჩემი წინამოადგილის მონაწილეობით და უკვე გამოიღო ხელშესახები შედეგები, გაგრძელდება, რათა მიღწეულ იქნას წარმატება ჩვენი ხალხებისათვის სასარგებლოდ“. (ადს).

დუმერგის სიტყვა.

დოვგალევსკის სიტყვის საპასუხოდ პრეზიდენტმა **დუმერგმა** წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„მოხარული ვარ მოვისმინო თქვენგან რომ თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ მთელი მოღვაწეობა მოახმაროთ საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვას და აგრეთვე იმას, რომ უფრო მჭიდროდ გახადოთ ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყნებს შორის. სიამოვნებით გარწმუნებთ, რომ რესპუბლიკის მთავრობა ბედნიერი იქნება, თუ საშუალება ექნება დახმარება გაგიწიოთ ამ ამოცანის შესრულებაში. რესპუბლიკის მთავრობას ისე, როგორც თქვენ, სურს, რომ ის საკითხები, რომლებიც გადაუჭრელად რჩება ორ ხალხის შორის, მოწესრიგებულ იქნას ისეთ პირობებში, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ნდობის ატმოსფეროში განვითარდეს ის ურთიერთობა, რომელიც აკავშირებს მათ მთავრობებს.

დავაყენებთ რა ჩვენს თანამშრომლობას ჩვენი საერთო ინტერესების სასარგებლოდ ყოველგვარ გარეშე წინასწარ შემუშავებულ აზრებზე მაღლა, ჩვენ ამით უაღრესად დიდ სამსახურს გაუწევთ მშვიდობიანობის საქმეს. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ როგორც ჩემში, ისე რესპუბლიკის მთავრობის ყველა წევრებში თქვენ ყოველთვის ჰპოვებთ იმ თანადგომას, რომელიც საჭირო იქნება თქვენთვის თქვენი დიდი მისიის დასაგვირგვინებლად“.

რურის მემაღაროეები ბრძოლისათვის ემზადებიან

მემაღაროეთა მემარცხენე ფრთის გამარჯვება სადელეგატო კონფერენციაზე

ბერლინი, 23 იანვარი. გაიმართა რურის რაიონის მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია, რომელიც მოიწვია სრულიად გერმანიის მემაღაროეთა კავშირმა. კონფერენციას დაესწრო 700-დე დელეგატი. შესავალი მოხსენება გააკეთა სრულიად გერმანიის მემაღაროეთა კავშირის თავმჯდომარემ ჰუზემანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რურის რაიონის მემაღაროეთა რეალური ხელფასი ახლა გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ომამდე იყო.

დასასრულ, ჰუზემანმა კონფერენციას წარუდგინა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ხელფასის გადიდებას.

ჰუზემანის მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. მემარცხენე უმცირესობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ჰუზემანის რეზოლუცია საკმაო არაა და საჭიროდ სთვლიდნენ ბრძოლას არა მარტო ხელფასის გადიდებისათვის, არამედ სამუშაო დღის შემოკლებისათვისაც. ამ ბრძოლის პირველ ნაბიჯად ისინი ასახელებდნენ ხელფასისა და ზედმეტ სამუშაოების შესახებ არსებულ შეთანხმებათა უარყოფას. მემარცხენე უმცირესობის ორატორებმა პროტესტი განაცხადეს იმ რეზოლუციაში მოქცეულ ფრაზის წინააღმდეგ, რომელიც მთლიანად იწონებს კავშირის ხელმძღვანელთა პოლიტიკას ხელფასის საკითხში, ამ პოლიტიკას კი დღევანდლამდე შედეგად მოსდევდა მუდმივი დათმობა მრეწველობის მიმართ.

პროფკავშირული ბიუროკრატიის წარმომადგენელნი მემარცხენე უმცირესობის კრიტიკის პასუხად თავს დაესხნენ კომუნისტებს და, კერძოდ, კომუნისტების პრესას.

რადგან დელეგატთა უმრავლესობის სულიერი განწყობილება მემარცხენე უმცირესობის მოთხოვნილებათა სასარგებლოდ იხრებოდა, ჰუზემანი იძულებული გახდა ეს მოთხოვნილებანი შეეტანა თავის რეზოლუციაში. კონფერენციის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუცია მოითხოვს ხელფასის გადიდებას და სამუშაო დღის შემოკლებას; ამასთანავე, იგი ავალებს პროფკავშირების ორგანოებს, რომ მათ არა უგვიანეს 1 მარტისა უარი განაცხადონ ზედმეტი სამუშაოების შესახებ არსებულ შეთანხმებაზე და არა უგვიანეს 1 აპრილისა—მომქმედ სატარიფო შეთანხმებაზე.

გერმანელი მბეჭდავები კომუნისტებს უჭერენ მხარს

ბერლინი, 23 იანვარი. მბეჭდავთა კავშირის ესსენის განყოფილების მუშათა საერთო კრებამ 200 ხმის უმრავლესობით კავშირის საოლქო კონფერენციაზე დელეგატად აირჩია მემარცხენე ოპოზიციის მომხრე და ხმების დიდი უმრავლესობით უარყო რეფორმისტული გამგეობის დადგენილება, რომელიც ჰგმობს კომუნისტური პრესის მეთოდებს (ადს).

პან-ამერიკული კონფერენცია

მექსიკის პროექტი

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. გავანიდან მიღებული ცნობებით, პან-ამერიკულ კონფერენციაზე მექსიკის დელეგაციამ შეიტანა პან-ამერიკული კავშირის რეორგანიზაციის პროექტი, რომლითაც ის ცდილობს შეასუსტოს შეერთებული შტატების როლი კავშირში. პროექტის მიხედვით კავშირის თავმჯდომარე და ჰენერალური დირექტორი (საქმეთა მმართველი) რიგ-რიგობით იწვევიან კავშირში შემავალი ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელთა რიცხვიდან; მორიგეობა ხდება სახელმწიფოების სახელწოდებათა მიხედვით, ალფაბეტის წესით. დღევანდლამდე ეს ორი თანამდებობა მუდამ ეჭირა შეერთებული შტატების წარმომადგენლებს. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს გაუქმებას ამჟამად არსებული წესისას, რომლის თანახმად ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლებად კავშირში ინიშნებიან ამ სახელმწიფოთა ელჩები ვაშინგტონში.

ამგვარად, პროექტი ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს უბრუნებს თავისი წარმომადგენლების ამორჩევის თავისუფლებას.

გაცრუებული იმედები

ნიუ-იორკი, 23 იანვ. მექსიკის დელეგაციის პროექტი მოულოდნელი იყო ჩრ. ამერ. შეერთებული შტატ. წარმომადგენელთათვის, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ მექსიკელები მხარს დაუჭერდენ მათს „შემარიგებელ პოლიტიკას“ ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებსა და მექსიკას შორის. ალბად, მექსიკის მთავრობას მართლაც სურდა მხარი დაეჭირა კონფერენციაზე შეერთებული შტატებისათვის, მაგრამ იძულებული გახდა თავისი პროექტით გამოსულიყო იმ სულიერ განწყობილების ზეგავლენით, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაშია გამეფებული და რომელიც ამერიკის კონტინენტზე შეერთებული შტატების დიქტატორობის წინააღმდეგ ბრძოლის ცდაში გამოიხატება. მაგრამ თავის პროექტში მექსიკის დელეგაციამ შეიტანა ერთი მუხლი იმ იმედით, რომ დააკმაყოფილოს ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები. ამ მუხლის თანახმად პან-ამერიკული კავშირი არ უნდა ასრულებდეს რაიმე პოლიტიკურ როლს.

ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების დელეგატები განაგრძობდენ თავის „შემარიგებელ“ პოლიტიკაზე ლაპარაკს.

როგორც პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, დელეგაციას იმედი აქვს, რომ გამოიყენებს ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა ინტერესებისა და სურვილების წინააღმდეგობას და შესძლებს პან-ამერიკულ კონფერენციაზე აიცდინოს მათი საერთო გამოსვლები ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

იუზის „დაპირება“

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. ჩრდ. ამერ. შეერთებული სახელმწ. დელეგატებმა გავანაში, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა (გარეშე საქმეთა მინისტრი) იუზმა გავანის სავაჭრო პალატაში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ.

იუზი ამართლებდა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მოქმედებას ნიკარაგუაში და სთქვა, რომ ეს მოქმედება შესწყდება მაშინვე, „რა წამსაც კი შესაძლებელი იქნება“.

შეთანხმება იაპონიასთან

მეთევზეობის შესახებ

მოსკოვი, 24 იანვარი. 23 იანვარს გარეშე საქ. კომისარიატ. ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის კონვენციას მეთევზეობის შესახებ.

კონვენცია დადებულია საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის 1925 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების ძალით; რომელიც შეეხება ორივე ქვეყნის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს.

ხელმოწერილი ხელშეკრულება აწესრიგებს სხვადასხვა საკითხებს, რომლებიც შეეხება იაპონიის ქვეშევრდომთა მეთევზეობას წყნარ ოკეანეს საბჭოთა კავშირის წყლებში, სადაც იაპონელები ძველთაგანვე მისდევენ ამ საქმეს. (ადს).

ამხ. ტროიანოვსკი ტანაკასთან

ტოკიო, 23 იანვარი. დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ტროიანოვსკიმ ინახულა იაპონიის პრემიერი ტანაკა.

(დეპეშების გაგრძ. იხ. მე-2 გვ.)

საქ. ცაკის სესია აჭარისტანში

სესიის გახსნა

ბათომი, 24 იანვარი. 23 იანვარს, საღამოთი გაიხსნა საქართველოს ცაკის მესამე სესია. სესიის საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

„ეხლანდელი სესია—ამბობს ის—ერთი წლის წინად აფხაზეთში შემდგარ სესიის მზგავსად, ეჭვს გარეშეა, ბრწყინვალე შედეგებს მოგვცემს. ის განამტკიცებს კავშირს საქართველოსა და აჭარისტანს შორის, შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ახლო გავეცნოთ აჭარისტანის ყველა საჭიროებებს და ნაკლულოვანებებს. აქამდის ჩვენ ვერ ვიცნობდით საკმაოდ აჭარისტანის სოფელს, ამიერიდან ამას ბოლო უნდა მოეღოს. ამ სესიაზე ჩვენ მოვისმენთ აჭარისტანის მთავრობის მოხსენებას, მოვახდენთ აზრთა გაცვლა-გამოცვლას და გამოვნახავთ გზებს რესპუბლიკის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირის ცაკის საიუბილეო სესიამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთაც უნდა გააუმჯობესონ მშრომელთა მდგომარეობა და ხელი უნდა შეუწყონ ჩვენს წინსვლას სოციალისტური აღმშენებლობის გზით. ამ ღონისძიებათა შორის უნდა განსაკუთრებით აღინიშნოს—შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება და სხვა შეღავათები გლეხობისათვის. ამ ღონისძიებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ და ახლო მომავალში კავშირის მუშების და გლეხების დახმარებით ისინი განხორციელებული იქნება.

მე-15-ე პარტყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა ქალაქის და სოფლის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა. სოფელი, რომელიც კულტურულად ჩამორჩა ქალაქს, უნდა განვითარდეს უფრო ინტენსიურად, ახალ ტეხნიკურ ბაზისზე. წვრილი დაქსაქსული მეურნეობანი უნდა გაერთიანდენ კოლექტივებში და ამგვარად უნდა შექმნან ძლიერი სამეურნეო ერთეულები, რომლებიც ჩქარის ტემპით წასწევენ წინ გლეხის კეთილდღეობას.

შურით და მტრობით ადევნებს თვალყურს საერთაშორისო ბურჟუაზია ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობას. ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები განუწყვეტლივ ემზადებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად და ცდილობენ ხელი შეუშალონ მის აღმშენებლობითი მუშაობას, ჩვენ ყოველ წუთს მტკიცედ უნდა ვიდგეთ ჩვენ მონაპოვართა სადარაჯოზე, ხოლო ამისათვის საჭიროა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა მჭიდროთ შეკავშირება და გაერთიანება.

ამხ. ფილიპე მახარაძე
სრ. საქართველოს ცაკის თავმჯდომარე

დღის წესრიგის დამტკიცება

სესიის დღის წესრიგის მიღების და რეგლამენტის გამომუშავების შემდეგ სესია გადადის მისალმებათა მოსმენაზე.

მისალმებები სესიას

ამხ. მოჰედინ სურმანიძის სიტყვა

პირველი სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. სურმანიძეს, რომელიც სესიას ესალმება აჭარისტანის ცაკის სახელით.

სესია მას უმართავს მქუხარე ოვაციას.

ისტორიის მსვლელობით საქართველოს საუკეთესო ნაწილი მესხეთი,—ამბობს ის,—საუკუნოების განმავლობაში მოწყვეტილი იყო თავის ღვიძლ ძმისგან. საუკუნოების განმავლობაში, აჭარისტანი ცილობის საგანს წარმოადგენდა, ექცეოდა რა ხან ერთი და ხან მეორე მტაცებელის ბატონობის ქვეშ. დაბოლოს აჭარისტანამდის მიაღწია ძლევამოსილმა ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც გაანთავისუფლა ის მონობისაგან. შვიდი წლის განმავლობაში საქართველო და აჭარისტანი ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიან ახალი ცხოვრებისაკენ. საქართველო ყოველ ნაბიჯზე უმტკიცებს აჭარისტანს თავის სიყვარულს და მზრუნველობას. და ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ცაკის მესამე სესია აჭარისტანში, გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც გაანთავისუფლა ერები მონობისაგან, გაუმარჯოს საქართველოს და აჭარისტანის კავშირს.



ამხ. მოჰედინ სურმანიძე
აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე

—:—

ამხ. მემედ გოგიბერიძის სიტყვა

აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოს სახელით სესიას ესალმება სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გოგიბერიძე.

დღევანდელ სესიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს,—ამბობს ამხ. გოგიბერიძე. მოიგონეთ წარსული. ჩვენ მენშევიკებიც გველაპარაკებოდენ ძმობაზე და მეგობრობაზე, მაგრამ ამავე დროს ჭოროხიდან ჩვენ გვიშენდენ ზარბაზნებს. ბოლშევიკურ ჯარების მოახლოვების მომენტში მენშევიკები ცდილობდენ პროვოკაციის მოწყობას და გვეუბნებოდენ, რომ ბოლშევიკები ჩვენ გაგვანადგურებენ. მიუხედავად ამისა მათ ვერ შესძლეს აჭარისტანის მშრომელთა მოტყუება და მათი გამოყოფა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1921 წლიდან მტკიცე მეგობრობა დამყარდა საქართველოსა და აჭარისტანს შორის. ყველაფერი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ აქამდე, არის კომპარტიის ხელმძღვანელობის და კავშირის ყველა მშრომელთა ძმური დახმარების შედეგი.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს საქართველოს და აჭარისტანის მჭიდრო კავშირს.

ამხ. ჩანბას სიტყვა

აფხაზეთის მშრომელთა სახელით სესიას ესალმება აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ჩანბა.

„დღევანდელი დღე — ამბობს ის—აჭარისტანის მშრომელთა სიხარულის დღეა. დღეს აჭარისტანის დედა ქალაქში იმყოფება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების უზენაესი ორგანო. დღეს აქ ჩამოვიდნენ საქართველოს მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენელნი, რათა პირადათ გაეცნონ აჭარისტანის აღმშენებლობას. ერთნახევარი წლის წინად ამ დიდ სიხარულს განიცდიდენ აფხაზეთის მშრომელნი. წარსული სესიის წევრები ადგილობრივად გაეცნენ აფხაზეთის მშრომელთა საჭიროებებს და ბევრ რამეში დახმარება გაგვიწიეს ჩვენ თავისი ცოდნით და გამოცდილებით. საქართველოს ცაკის სესიამ აფხაზეთში განამტკიცა და გააძლიერა აფხაზეთის მშრომელთა სულიერი განწყობილება. დღევანდელი სესიის მუშაობამ ხელი შეუწყოს აჭარისტანის შემდგომ ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას.

ამხ. ჯატიევის სიტყვა

შემდეგ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოდის სამხრეთ - ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ჯატიევი.

ამხ. ჯატიევის შემდეგ წითელი არმიის და ფლოტის სახელით სესიას ესალმება ამხ. დობაევი, რომელსაც სესია მქუხარე ტაშით და ოვაციით ხვდება. ისმის ხმები: „გაუმარჯოს წითელ არმიას“.

„ნება მომეცით — ამბობს ორატორი — მივესალმო საქართველოს მუშურ - გლეხურ მთავრობას მის საქმიან ნაყოფიერ მუშაობაში. ყველა ქვეყნების ბურჟუაზიას სურს, რომ ეს მთავრობა არამც თუ არ მართავდეს სხდომებს აქ, არამედ არ არსებობდეს სრულებით. ბურჟუაზიამ იცის, რომ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები აწარმოებენ ნაყოფიერ მუშაობას სოციალისტურის აღმშენებლობისათვის. ამიტომ ბურჟუაზია ცდილობს შექმნას ბლოკი ყოფილი რუსეთის აღსადგენად. ის ცდილობს დაამხოს მუშურ - გლეხური მთავრობა, რისთვისაც დახმარებისათვის მიმართავს სოციალ-შეთანხმებლებს. ამხანაგებო, კავკასიის № მსროლელმა პოლკმა, გამომგზავნა რა მე სესიაზე, დამავალა გადავცე მას, რომ ჩვენ მტკიცედ ვიქნებით სადარაჯოზე და ხელებს მოვკვეთთ ბურჟუაზიას, თუ ის წაუპოტინებს მას საბჭოთა კავშირს.

წითელ მეზღვაურთა სალამი

შემდეგ საქართველოს მეზღვაურთა სახელით სესიას ესალმება ამხ. კილურაძე. ის უძღვნის სესიას სამხედრო გემის მოდელს.

„ვესალმები საქართველოს ცაკის მესამე სესიას — ამბობს ორატორი — რომელიც მჭიდროდ შეაკავშირებს აჭარისტანის მშრომელთ მთელს საქართველოსთან. საქართველოს მეზღვაურები უძღვნიან რა სესიას სამხედრო გემის მოდელს, აცხადებენ, რომ თუმცა მათ არ აქვთ ომის სურვილი, რადგან აწარმოებენ აღმშენებლობით მუშაობას, მაგრამ მზად არიან საჭირო შემთხვევაში შეუერთდენ სამხედრო გემებზე მყოფ მეზღვაურებს და მათთან ერთად სამკვდრო - სასიცოცხლოდ ეკვეთონ მტრებს.

აჭარელი ქალები ესალმებიან სესიას

აჭარელი ქალების სახელით სესიას მიესალმა ამხ. კურძაია.

„აჭარისტანის გასაბჭოებამდე—ამბობს ორატორი — ქალი დამონებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან მოიპოვა თავისუფლება. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა აჭარელი ქალის განათლების და მისი საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის საქმეში. მიუხედავად ამისა ჩვენ გვაქვს მაზრები, რომლებშიაც ქალი შორს არ გასცილებია თავის წინანდელ მდგომარეობას. ამის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. მე დარწმუნებული ვარ, რომ სესია დახმარებას გაგვიწევს ჩვენ და მოგვცემს დირექტივებს ამ მიმართულებით.

გლეხების მისალმება

აჭარისტანის ბერძენ გლეხთა ხუთი ათასი მოსახლეობის სახელით სესიას მიესალმა ჩილიკიძე (ლაპარაკა ბერძნულ ენაზე).

მე ვესალმები საბჭოთა ხელისუფლებას—განაცხადა მან, რომელმაც საუკეთესოდ გადაჭრა ნაციონალური საკითხი. ჩვენ პროვოკაციის მიზნით გვეუბნებოდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ შეიძლება სასარგებლო იქნეს მუშებისა და გლეხებისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის უტოპია. სინამდვილეში კი ჩვენ დავინახეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ნამდვილი მუშურ - გლეხური ხელისუფლება; მხოლოდ მან შესძლო ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრა. ამჟამად აჭარისტანში მცხოვრები ეროვნებანი დიდის პატივის ცემით ეპყრობიან ერთი - მეორეს. ჩვენ ვსწავლობთ ჩვენს მშობლიურ ენაზე და ვქმნით ნაციონალურ კულტურას. ჩვენ არამც თუ არ გვიშლიან ხელს, არამედ პირიქით გვეხმარებიან ამაში, ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწიოს ბალკანეთამდე და შემდეგ ათინამდეც.

—

აჭარისტანის გლეხების სახელით სესიას მიესალმა სალაძე, ბათომის მასწავლებლების სახელით — ჯაყელი, აჭარისტანის პედაგოგიურ ინსტიტუტის მოწაფეთა სახელით — მეგრელიძე.

შემდეგ სესიას მიესალმა პიონერთა კოლექტივი.

ზემო აჭარის გლეხების სახელით სესიას მიესალმა ფუტკარაძე, ექიმების სახელით—იორამშვილი, ტეხნიკუმის მოწაფეების სახელით — კრუპიანოვსკი.

აჭარისტანის გლეხების სახელით სესიას მიესალმა თხილაშვილი, რომელმაც სესიას მიართვა ფორთოხალით, ლიმონით და მანდარინით სავსე კალათი.

ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის სახელით სესიას მიესალმა ცინცაძე და უძღვნა ფარი ტეხნიკუმში დამზადებულ ნივთებით. ყველაზე ბოლოს სესიას მიესალმა გოგიტიძე აჭარისტანის გლეხების სახელით და თოდრია საქართველოს მშრომელთა სახელით.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ შესდგა ეტნოგრაფიული კონცერტი.

—:—

ა.-კ. ცაკის მისალმება

ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მ. ცხაკაიამ გაუგზავნა ბათომში საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძეს შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა ამიერ - კავკასიის მუშები და გლეხები ამიერ - კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახით მხურვალე სალამს უძღვნიან წითელ საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლებს, რომლებიც შეკრებილი არიან საქართველოს ცაკის მორიგ სესიაზე ბათომში.

სესიის გახსნა საბჭოთა აჭარისტანის დედაქალაქში, რაც ნათლად მოწმობს იმას, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ ატარებს ცხოვრებაში სრულ ეროვნულ თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, რომლებიც წამოყენებულია პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის გარიჟრაჟზე, კიდევ ერთ სახელოვან ფურცელს ჩასწერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განვითარების ისტორიაში.

ენერგიულ აღმშენებლობის წლებში საქართველოს მშრომელებმა, ძმურად გაერთიანებულებმა საქართველოში შემავალ ავტონომიურ ერთეულებსა და ეროვნებებთან, შესძლეს შეექმნათ მტკიცე საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ ყველა მის შემოქმედებითი ძალების სრული აყვავების გზაზე.

ამიერ - კავკასიის მშრომელნი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს სესიის საქმიანობის განვითარებას და მათ ღრმად სწამთ, რომ საქართველოს ხალხების მეგობრული მუშაობა მის ეკონომიურ და კულტურულ განვითარების ასპარეზზე, წარმოადგენს ბრწყინვალე და ბედნიერ მომავლის საწინდარს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკის მუშებსა და გლეხებს — ფუხარას და მათ მჭიდრო კავშირს, საქართველოს ამიერ - კავკასიის და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების მშრომელებთან!

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ძმობას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს!“

24 იანვრის დილის სხდომა

აჭარისტანის მთავრობის მუშაობა
ამხ. მემედ გოგიბერიძის მოხსენება

საქართველოს ცაკის სესიის დილის სხდომაზე აჭარისტანის მთავრობის სახელით მოხსენება გააკეთა აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მემედ გოგიბერიძემ:

„ამხანაგებო, მე ჩემს მოხსენებაში აღვნიშნავ აჭარისტანის მთავრობის მუშაობის მხოლოდ ზოგიერთ მხარეებს, ხოლო დაწვრილებითი მოხსენებას ციფრებით და საჭირო მასალებით გააკეთებს ლევან გამყრელიძე (აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე).

პირველ ყოვლისა შევეხები სახალხო განათლებას. აჭარისტანის გასაბჭოებამდე აქ არ ყოფილა წარმოებული არავითარი პოლიტიკური და კულტურული მუშაობა. იურიდიულად აჭარისტანი არაფერს არ წარმოადგენდა. მაშინდელ ხელისუფლებებს არ სურდათ მშრომელ მასებთან დაახლოება და მათი განათლება. იმ დროს მთელს აჭარისტანში მხოლოდ ათიოდე სკოლა თუ მოიპოვებოდა მოწაფეების მეტად მცირე რაოდენობით. მოსახლეობას პირდაპირ ეშინოდა თავისი ბავშვების სკოლებში გაგზავნა. მენშევიკურ მთავრობას უხდებოდა ცალკე გლეხების მოსყიდვა, რომ დაეთანხმებია ისინი ბავშვების სკოლაში გაგზავნაზე. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ მენშევიკები აჭარლებს ეუბნებოდენ: თქვენ ქართველები ხართ, ქართველი მუსლიმანები ხართ და ამიტომ ქართულ ენაზე უნდა სთარგმნოთ ყურანიო. ასეთ განცხადებებს მუსლიმანური სამღვდელოება იყენებდა თავის ინტერესებისათვის და ამხედრებდა აჭარლებს ქართველების წინააღმდეგ.

აჭარის ბეგები და აღები ასევე ნაკლებ ზრუნავდენ ხალხის განათლებაზე. მათი ბავშვები სწავლობდენ არსებულ სკოლებში იმისათვის, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ დაეკავებიათ სტრაჟნიკის ადგილი, უკეთეს შემთხვევაში ბოქაულის თანამდებობა. ამ ხალხს არამც თუ არ შეჰქონდა სოფელში კულტურა, არამედ პირიქით ისინი სოფელში მიდიოდენ ეგზეკუციისათვის. ცალკე ბეგები, როგორც მაგალითად ჯემალ ხიმშიაშვილი, აჭარის სოფლებში აშენებდენ მართმადიდებელთა ეკლესიებს. რით ხელმძღვანელობდენ ისინი, როცა ეკლესიებს აშენებდენ? მათი მიზანი იყო მეფის თვითმპყრობელობის განმტკიცება აჭარისტანში.

აჭარისტანის გასაბჭოების მომენტიდან ჩვენ სრულიად სხვაგვარ სურათს ვხედავთ. საბჭოთა ხელისუფლებამ უთხრა აჭარელს: ისწავლე, ყოველმხრივ დაგეხმარები დასახულ მიზნების მიღწევაში.

როცა 1921 წელს პირველ ყრილობაზე დასმულ იქნა საკითხი სახელმწიფო ენის შესახებ, აჭარლებმა ერთხმად განაცხადეს: ჩვენი მშობლიური ენა არის ქართული, ამიტომ ის უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფო ენაც. ეს საკითხი რომ დასმული ყოფილიყო მენშევიკების დროს, მე დარწმუნებული ვარ, არ აღმოჩნდებოდა არც ერთი აჭარელი, რომელიც ამ სიტყვებით უპასუხებდა მასზე. ამჟამად გლეხობა არამც თუ აგზავნის თავის შვილებს სკოლებში, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში მთავრობას აძლევს განცხადებებს ახალი სკოლების გახსნის შესახებ და ხშირად აშენებს ამ სკოლებს საკუთარი საშუალებებით.



ამხ. მემედ გოგიბერიძე
აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

—:—

ამჟამად აჭარისტანში ითვლება რამოდენიმე ათასი აჭარელი მოწაფე და რამოდენიმე ათეული სტუდენტი უმაღლეს სასწავლებლებში. ეს, თუ მხედველობაში მივიღებთ აჭარისტანის წარსულს, საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევაა კულტურულ ფრონტზე.

ახლა გადავალ საგზ. აღმშენებლობის საკითხზე. მეფის და მენშევიკების ხელისუფლებები თავის საგზაო მშენებლობაში მხოლოდ სამხედრო მოსაზრებებით ხელმძღვანელობდენ. მათთვის საჭირო იყო გზები მხოლოდ მეზობლებთან საომრად და სამხედრო ექსპედიციებისათვის ადგილობრივ მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ მიზნებისთვის აჭარისტანში არსებობდა ერთად-ერთი გზა-ტკეცილი, რომელზედაც აჭარელ გლეხს არ შეეძლო თავისი

ურმით გავლა. რა გააკეთა ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის შვიდი წლის განმავლობაში, რომლითგანაც ორი წელი ხელისუფლებამ მოანდომა კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლას, გაყვანილ იქნა მთელი რიგი გზები, რომლებშაც აჭარისტანის ყველაზე უფრო მივარდნილი კუთხეები დაუკავშირეს ცენტრებს. ეს გზები აგებულია არა სამხედრო ოპერაციებისათვის, არამედ იმისათვის, რომ გლეხს შესაძლებლობა მიეცეს რაც შეიძლება მალე მიიტანოს თავისი პროდუქცია ქალაქში და გაასაღოს ის ბაზარზე. რასაკვირველია,—თვითეულ თქვენთაგანისათვის გასაგებია, რომ ღარიბი აჭარისტანი ვერ გაართმევდა თავს ასეთ აღმშენებლობას საკუთარი საშუალებებით. ამაში ჩვენ უდიდეს დახმარებას გვიწევს საბჭოთა საქართველო, საბჭოთა ამიერ-კავკასია და საერთოდ მთელი საბჭოთა კავშირი.

გზების აღმშენებლობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ხიდების მშენებლობა. ამ მხრივ ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა. მაზრებს და სოფლებს, რომლებიც მოწყვეტილი იყვნენ ერთიმეორისაგან წყალდიდობის პერიოდებში, ამჟამად ახლად აგებულ ხიდების წყალობით მთელი წლის განმავლობაში აქვთ ნორმალური მიმოსვლა ურთიერთ შორის. ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. გლეხობა ყოველ მოხერხებულ და უხერხულ შემთხვევაში ითხოვს გზების და ხიდების მშენებლობის გაძლიერებას, მაგრამ ყველაფერის ერთბაშად დაძლევა არ შეიძლება. მე დარწმუნებული ვარ, რომ მახლობელ ხუთი წლის განმავლობაში არ დარჩება არც ერთი კუთხე მთელს აჭარისტანში, რომ იქ სავსებით არ იქნეს მოწესრიგებული გზების საკითხი.

აჭარისტანის გლეხობას აწუხებს მიწის ნაკლებობა. ბევრი მიწა უსარგებლოდ რჩება ჭაობების გამო. ამჟამად შეუძლებელია სახარგებლო მიწის სივრცის გადიდება.

ამასთან ერთად აჭარისტანის მიწა სავსებით გამოსადეგია სხვადასხვა კულტურულ მცენარეულობათათვის და ამიტომ ჩვენი მთავარი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს ამ მიმართულებით. ზოგიერთი კულტურები, როგორც მაგ. ჩაის და მანდარინის კულტურა, უკვე გავრცელებულია ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ამასთან ერთად საჭიროა აგრეთვე განვითარება სხვა მცენარეულობათა კულტურის, როგორც მაგალითად ბამბუკის, კანაფის და სხვ. გასაბჭოებამდე ჩაი მოჰყავდათ მხოლოდ ე. წ. საუფლისწულო მამულებში და აჭარის გლეხობა სრულებით არ იყო გაცნობილი ჩაის კულტურასთან. საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება მიაქცია ამ კულტურას და დიდი თანხები დახარჯა და ხარჯავს მის განვითარებისათვის, როგორც სახალხო მამულებში, ისე გლეხობას შორის.

კულტურულ მცენარეულობათა განვითარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგლეხო მეურნეობათა კოლექტივიზაციას. ამ მიზნით მთავრობამ უკვე გადასდგა ნაბიჯები. ის აწყობს მეურნეობებს, რომლებიც მისდევენ უმთავრესად ტეხნიკურ მცენარეულობათა მოშენებას. ცდამ დაამტკიცა, რომ კოლექტიური მეურნეობანი რენტაბელური არიან და ამასთანავე ყველაზე უკეთ ატარებენ მიწის დამუშავების ახალ მეთოდებს. ამავე დროს მთავრობა აარსებს მთელ რიგ აგრარულ პუნქტებს და საჩვენებელ მინდვრებს.

სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის წარმოებულ ინტენსიურ მუშაობას დიდი ზიანი მიაყენა სტიქიურმა უბედურებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა აჭარისტანში. ამ სტიქიურ უბედურების დროს ბევრ გლეხებს სახლები და ქონება სრულებით განადგურდა და მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. მხოლოდ საბჭოთა საქართველოს და მთელი კავშირის დახმარებით შესაძლო შეიქნა ამ უბედურებათა შედეგების ნაწილობრივი ლიკვიდაცია. საჭიროა შემდგომი დახმარება, რომელსაც ადგილობრივი გლეხობა მოუთმენლად მოელის. სოფლად წარმოებულ აღმშენებლობასთან და სასოფლო მეურნეობის აღორძინებასთან ერთად ჩვენ აღმშენებლობას ვაწარმოებთ აგრეთვე ქალაქში. აჭარისტანის თითქმის ყველა ქალაქებში დამთავრებულია კეთილმოწყობითი სამუშაოები. ეხლა ჩვენ ვიწყებთ არსებულ წყალსადენების გაფართოებას და ახლების აგებას, რისთვისაც საჭირო გამოკვლევები უკვე დამთავრებულია და შედგენილია პროექტები. ახლო მომავალში ჩვენ განზრახული გვაქვს გავიყვანოთ ბათომში კანალიზაცია და ტრამვაი, რომელიც ქალაქს დააკავშირებს ფაბრიკა-ქარხნების რაიონებთან და აგრეთვე აგარაკებთან. ყველა ეს ღონისძიებები გააუმჯობესებენ ქალაქის მშრომელთა მდგომარეობას და გაადიდებენ მათ კეთილდღეობას. აჭარისწყალის ჰიდრო-სადგურის და „აზნეფთის“ ქარხნების აღმშენებლობასთან დაკავშირებით გადიდდა მუშების რიცხვი. მაგრამ ამ მუშებს შორის აჭარლების პროცენტი მეტად უმნიშვნელოა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარლები გაურბიან წარმოებებში მუშაობას და ამჯობინებენ შველებად და დარაჯებად სამსახურს. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ებრძვის ასეთ ტენდენციებს და ცდილობს ჩააბას უმუშევარი გლეხობა წარმოებაში, რა მიზნითაც ახდენს მათ მიმაგრებას ცალკე წარმოებებთან. ეს ღონისძიება მჭიდროთ დააკავშირებს გლეხობას მუშებთან, რის გარეშე წარმოუდგენელია სოციალიზმის მშენებლობა. მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს იქითკენ, რომ აჭარლები ჩავაბათ ხელმძღვანელობის საქმეში, რათა ამ გზით დაუკავშირდენ ისინი საბჭოთა კავშირის და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მიმდინარე ხისია. მოისმენს რა აჭარისტანის მთავრობის საანგარიშო მოხსენებას, გვიჩვენებს გზებს. რომლითაც უნდა წავიდეს აჭარისტანის აღმშენებლობა. რათა რაც შეიძლება მალე მივახლოვდეთ ჩვენს საბოლოო მიზანს, სოციალიზმს.

—:—

შემდეგ, თანამოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. **ლევან გამყრელიძეს.**

კელოგის და ბრიანის მიწერ-მოწერა

ვაშინგტონი, 23 იანვარი. ეხებიან რა ბრიანის პასუხს კელოგის წინადადებაზე „მრავალმხრივი ხელშეკრულების“ შესახებ, რომელიც აკრძალავს ომს, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრის საშუალებას, ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ საფრანგეთსა და ჩრ. ამერ. შეერთებული შტატების აზრთა შეთანხმება, ალბად, შეუძლებელი იქნება და საჭირო შეიქნება პროექტზე ხელის აღება. (ძირითადი უთანხმოება იმაში მდგომარეობს, რომ კელოგს შესაძლებლად მიაჩნია ომის პოლიტიკის შეწყვეტა, მაშინ, როდესაც ბრიანი განსხვავებას ხედავს „შეტევითი“ და „თავდაცვითი“ ომს შორის და საჭიროდ სცნობს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება არ გავრცელდეს ზოგიერთ ვალდებულებებზე, რომლებიც ერთა ლიგის წევრობასთან არის დაკავშირებული). (ადს).

ამერიკელი ადმირალის განცხადება

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. ადმირალმა ჩარლზ პლენკეტმა, საზღვაო სამმართველოს უფროსმა ბრუკლინში, (ნიუ-იორკის ნავთსადგური), სიტყვა წარმოსთქვა საჯარო კრებაზე და განაცხადა, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები აუცილებლად უახლოვდება ომს, რომელიც დაიწყება ეკონომიურ კონკურენციის ნიადაგზე. გაზეთები უმეტეს ნაწილად ისე განმარტავენ პლენკეტის სიტყვას, რომ პლენკეტი წინასწარმეტყველებდა ინგლის-ამერიკის ომს. ვინაიდან ამერიკელ ადმირალისათვის „უხერხულია“ ასეთი წინასწარმეტყველება, პლენკეტმა მეორე დღეს გამოაქვეყნა უარყოფა და განაცხადა, რომ მას „არ მოუხსენიებია სპეციალურად“ ინგლისი. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

წითლებმა დაიკავეს ორი ქალაქი.

ტოკიო, 23 იანვარი. ნიპონის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ქალაქები იჩანი და ნინში, რომლებიც მდებარეობენ გუანდუნის და ხუნანის პროვინციების საზღვარზე, დაიკავა 1500 კაცისაგან შემდგარმა რევოლიუციონურ ჯარების რაზმმა, რომელმაც დაიხია კანტონიდან დეკემბრის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. (ადს)

შანხაის საქმიან წრეების წინადადება

ტოკიო, 23 იანვარი. ხიმბრუნ რენგოს შანხაიელ კორესპონდენტის ცნობით, შანხაის საქმიანმა წრეებმა წინადადება მისცეს ნანკინის მთავრობას, რომ შანხაი გამოცხადებულ იქნას ნეიტრალურ ქალაქად და ადმინისტრატიულ-პოლიტიკური ფუნქციები გადაეცეს მის მოქალაქეებს (ადს).

მოლაპარაკება გირინ-ხაილუნის რკინის გზის გაყვანის შესახებ დამთავრებულია.

ტოკიო, 23 იანვარი. „ნიცი-ნიცი“-ს და დაირენის გაზეთ „ძი-ძი“-ს პეკინელი კორესპონდენტი იუწყება რომ მოლაპარაკება გირინ-ხაილუნის რკინის გზის გაყვანის შესახებ დამთავრებულია. შეთანხმებას ხელს მოაწერენ უახლოეს მომავალში. შეთანხმების პირობების მიხედვით სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზა აძლევს მუკდენს 5 მილიონ იენის ავანსს რკინის გზის გასაყვანად (ადს).

უნგრეთის ფარული შეიარაღების გარშემო

ვენა, 23 იანვარი. ავსტრიის ოფიციალური ცნობით, რომელიც შეეხება იარაღის საიდუმლოთ გატანის ინციდენტს, უნგრეთის რკინის გზის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სენ გოტარდში მოსთხოვეს ავსტრიის რკინისგზის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უკან წაეღოთ იარაღით დატვირთული 5 ვაგონი. ავსტრიის დაწესებულებებმა მიიღეს ინსტრუქცია უარი სთქვან ვაგონების უკან მიღებაზე, ვინაიდან ეხლა შეუძლებელია იმის გამორკვევა, რომ ვაგონებში იგივე ტვირთია, რაც წინეთ იყო.

ბუდაპეშტიდან გუშინ მიღებული ცნობების მიხედვით, ის ხუთი ვაგონი, რომელნიც დაკავებული იქნა სან-გოტარდში, საიდუმლოთ გადმოტვირთეს უნგრეთის სადგურ რატოში. იარაღის ნაცვლად ვაგონები დატვირთეს ძველი რკინით.

ბელგრადიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ ცნობებს, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს მიმართონ ერთა ლიგას ნოტით უნგრეთში იარაღის გადაგზავნის შესახებ.

ამ საქმეში დაინტერესებულ ყველა მთავრობების ნოტას დართული ექნება მასალები, რომლებიც ამჟღავნებენ უნგრეთის შეიარაღებას და საზავო ხელშეკრულებების დარღვევას მის მიერ. (ადს).

ნოტა ერთა ლიგას

ვენა, 23 იანვარი. ბელგრადის „პრავდა“ (სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის მარინკოვიჩის ორგანო) იტყობინება, რომ უნგრეთში უკვე გაიგზავნა სამხრეთ-სლავიის წარმომადგენელი, რომელიც რუმინეთის და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლებთან ერთად ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გადასცემს ნოტას. ნოტა შეეხება უნგრეთში იარაღის საიდუმლოთ გატანას. გაზეთის ცნობით, ნოტა შედგენილია მოკლეთ. ნოტა ერთა ლიგის გენერალურ მდივნის ყურადღებას მიაქცევს უნგრეთში იარაღის საიდუმლოთ გატანას და სთხოვს მას ეს საკითხი დასვას ერთა ლიგის საბჭოში (ადს).

სამხრეთ-სლავიის ნოტა

ვენა, 23 იანვარი. ბელგრადის „პრავდა“—სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრ მარინკოვიჩის ორგანო, იუწყება, რომ სამხრეთ-სლავიის წარმომადგენელს ერთა ლიგაში უკვე გაეგზავნა ნოტის ტექსტი იარაღის ფარულად გატანის გამო უნგრეთის [illegible]. მან რუმინეთის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან ერთად უნდა გადასცეს ერთა ლიგის გენერალურ მდივანს. გაზეთების სიტყვით, ნოტა შეიცავს მხოლოდ იმის თხოვნას რომ საკითხი იარაღის გატანის შესახებ დაისვას ლიგის საბჭოში (ადს).

სენ - გოტარდის ინციდენტის გარშემო

პარიზი, 24 იანვარი, გაზ. „ვოლონტე“ სწერს, რომ როგორც სენ გოტარდის ინციდენტი ამტკიცებს იტალიასა და უნგრეთს შორის უნდა არსებობდეს სამხედრო კავშირი და იარაღის ფარულად გადატანის საქმის გამორკვევაზე უარის თქმა ნიშნავს ისეთი პრეცედენტის შექმნას, რომელმაც მომავალში შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო კონტროლის გაუქმება გერმანიაზედაც. გაზეთი მოითხოვს, რომ საფრანგეთმა მხარი დაუჭიროს მცირე ანტანტას, რომელიც მოითხოვს საქმის გამოძიებას. „ინფორმასიონის“ ცნობით, გერმანია, იტალია და ინგლისი ძლიერ გავლენას ახდენენ მცირე ანტანტის სახელმწიფოებზე, რომ უარი ათქმევინონ მათ ერთა ლიგის ჩარევაზე (ადს).

კომუნისტური დემონსტრაცია ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. გუშინ ნიუ-იორკში ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო — 20.000-ზე მეტმა მუშამ. ორატორები, რომლებიც გამოვიდნენ მანიფესტანტების წინაშე, ლენინის მოძღვრებას იმპერიალიზმის შესახებ ასურათებდნენ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო მოქმედებით ნიკარაგუაში და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების პოლიტიკით ჩინეთში. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც [illegible] რევოლიუციონურ სალამს უძღვნის სანდინოს ჯარებს ნიკარაგუაში, რომლებიც იბრძვიან ნიკარაგუას დაპყრობის წინააღმდეგ შეერთებულ შტატებ. მიერ და რეაქციონურ დიქტატურის წინააღმდეგ. რეზოლიუცია აგრეთვე მოითხოვს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ჯარების გაყვანას ჩინეთიდან და მოუწოდებს მუშებს, რომ დახმარება აღმოუჩინონ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების გაფიცულ მემაღაროებს.

დასასრულ მიტინგზე გამოაცხადეს, რომ იხსნება კამპანია ახალ წევრების მისაღებად უორკერს პარტიაში (კომუნისტური). (ადს).

გერმანია-ლიტვის მოლაპარაკება

ბერლინი, 23 იანვარი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ლიტვის პრემიერ-მინისტრი ვოლდემარასი 25 თებერვალს ბერლინში ჩამოვა; ის მოლაპარაკებას გამართავს გერმანიისა და ლიტვის ურთიერთობის, ახალ სავაჭრო ხელშეკრულების დადების პრინციპიალური საკითხების შესახებ და სხვა. ვოლდემარასს მოლაპარაკება ექნება აგრეთვე გერმანია-ლიტვის საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადების შესახებ.

დღის ცნობები

ლენინის დღე უცხოეთში

ბერლინი, 24 იანვარი. ლენინის გარდაცვალების 4 წლის თავი ჰოლანდიის მთავარ ქალაქებში აღნიშნულ იქნა დიდი მანიფესტაციებით. ამსტერდამში დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 8.000 კაცი.

ტალინი, 24 იანვარი. მუშათა პარტიამ რეველში მოაწყო დიდი მიტინგი. ორატორები პროტესტს აცხადებდნენ ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლის შესახებ (ესტონეთის პროფკავშირთა ყრილობაზე) მიღებულ დადგენილების გამო. (ადს).

ომი ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. ამერიკელ ჯარისკაცების დიდი რაზმი, შემდგარი 1.000 კაცისაგან, არტილერიით, გავიდა ქ. ლეონედან (ნიკარაგუას ჩრდ. დასავლეთი ნაწილი) შეტევის დასაწყებად აჯანყებულების წინააღმდეგ.

პროლეტარული მთლიანობისათვის

ვენა, 24 იანვარი. ვენის ლითონის ქარხნების მუშების საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა ავსტრიის მთლიანობის კომიტეტის მოხსენება, რის შემდეგ საბჭოთა კავშ. დაბრუნებულ ავსტრიელ მუშათა პირველი დელეგაციის წევრმა ლარესმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობისათვის ის გამორიცხულია სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. მეორე დელეგაციის წევრმა რამპფელმა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე შტახელს გადასცა მოსკოველ მეტალისტების მიერ გამოგზავნილი დროშა. შტახელმა განაცხადა, რომ ავსტრიელ მეტალისტებს მტკიცედ ეჭირებათ ხელში ეს წითელი დროშა—სიმბოლო პროლეტარული რიგების მთლიანობისა.

პროფბიუროკრატების ღალატი

ბერლინი, 24 იანვარი. კომპარტიის მერზებურგის ორგანიზაციის ჰალეს საოლქო კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება მეტალისტთა და შუა გერმანიის მთელ პროლეტარიატისადმი, რომელშიაც ჰგმობს პროფკავშირების ბიუროკრატიას მეწარმეებთან გამართულ მოლაპარაკებისათვის. მოლაპარაკების დროს, —ნათქვამია მოწოდებაში,—მეტალისტთა კავშირის წარმომადგენლებმა მიიღეს მთავრობის წარმომადგენლების წინადადება და ამავე დროს მოლაპარაკების შესახებ პრესაში არავითარი ცნობა არ ქვეყნდება. შემდეგ მოწოდება ეხება იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებენ რეფორმისტები კომპარტიის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ პროფკავშირული ბიუროკრატების სურვილი— დაიბრუნონ მუშების ნდობა—განუხორციელებელია.

დასასრულ მოწოდება მოითხოვს, რომ ლითონის, ქიმიურ და სამთო მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო ყველა მუშების ჩაბმით ბრძოლაში გაფართოებული იქნეს ბრძოლის ფრონტი, უარყოფილი იქნეს ყოველგვარი ისეთი სამედიატორო განაჩენი, რომელიც არ შეეფერება მუშების მოთხოვნილებას.

რაკოშის ნელ-ნელა კლავენ

ვენა, 24 იანვარი. იმის გამო, რომ რაკოშის დამ განიზრახა მისთვის ციხეში წერილის გადაცემა, რაკოში გადაიყვანეს ცალკე საკანში, აუკრძალეს მუშაობა, მოუსპეს ერთის წლით ნათესავებისა და ნაცნობების ნახვის, გაზეთების წიგნების და წერილების მიღების უფლება. რაკოშის აუკრძალეს აგრეთვე საზამთრო ტანისამოსის და სხვა ნივთების მიღება, რაც ნიშნავს მის თანდათანობით მოკვლას, ვინაიდან ციხეში პატიმრებს საშინელ საჭმელს აძლევენ (ადს).

მწარმოებლების საბოტაჟი

ბერლინი, 24 იანვარი. კელნის საფეიქრო მრეწველობის მწარმოებლებსა და მუშებს შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ გამოტანილია სამედიატორო განაჩენი, რომლის თანახმად უმაღლეს კატეგორიების მუშების ხელფასი უნდა გადიდდეს 2-6 პფენიგით საათში. მწარმოებლებმა უარი განაცხადეს ამ დადგენილების ასრულებაზე (ადს).

კომკავშირის წევრობისათვის — კატორღა

რიგა, 24 იანვარი. საოლქო სასამართლოში ირჩეოდა 20 ახალგაზრდა მუშის საქმე. ამ მუშებს ბრალდებოდა კომკავშირის წევრობა. 20 ბრალდებული ცნობილი იქნა დამნაშავეთ და მათ მიესაჯა კატორღა 3-დან 6 წლამდე.

საბჭოთა გამოფენა

ათინაში

ათინა, 23 იანვარი. დასავლეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ ათინაში მოაწყო საბჭოთა მხატვრების სურათების გამოფენა. პირველად გამოფენა გაიხსნა 14 იანვარს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობაში და დანიშნული იყო პრესისა და ხელოვნების წარმომადგენელთათვის.

მაგრამ, იმ დიდი ინტერესის გამო, რომელიც გამოფენამ გამოიწვია ფართო წრეებში, განზრახულია გამოფენის გადატანა სპეციალურ შენობაში ფართე საზოგადოებისათვის.

21 იანვარს, გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით სალხინოში მოხდა დარბაზობა, რომელსაც დაესწრო 100-მდე სტუმარი, მათ რიცხვში—მრავალი მინისტრი, ათინის აკადემიის პრეზიდენტი, დიპლომატიური კორპუსის წევრები პარლამენტის დეპუტატები და სხ.

აჯანყება სპარსეთში

ნავთის მრეწველები აჯანყებას აწყობენ

ლონდონი, 24 იანვარი. ხუზისტანში (სპარსეთის სამხრეთ - ნაწილი) მოხდა ადგილობრივი მომთაბარე ტომების აჯანყება, რომელიც მოაწყვეს ინგლისელმა ნავთის მრეწველობამ რეაქციონურ მთავრობის (შეიხების) დახმარებით. როგორც ჩანს, აჯანყების მიზანს შეადგენდა შექმნა „დამოუკიდებელ“ ხუზისტანის, რომელიც გადაიქცეოდა ინგლისის კოლონიათ ინდოეთის ჩრდილოეთ - დასავლეთ საზღვარზე, სადაც ინგლისი დიდ დაბრკოლებას განიცდის თავის იმპერიალისტური პოლიტიკის გატარების დროს. (ადს).

ინგლისის „ცივილიზაცია“

ლონდონი, 23 იანვარი. სამხრეთ სუდანში ინგლისის სამხედრო ძალებმა ამას წინათ დამსჯელი ექსპედიცია მოაწყვეს ნუერ ნუოხის ტომის წინააღმდეგ. საბაბად ის გადაიქცა, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოკლეს ბაჰრ ელ გაზალის პროვინციის საოლქო კომისარი ინგლისელი ფერგიუსონი. იგი მოკლეს იმ შეტაკების დროს, რომელიც გამოიწვია ვითომდა ვიღაც მეზობლისაგან მიპარული საქონლის მოთხოვნამ ფერგიუსონის მიერ. ქაირის გაზეთი „ალ მოკატამი“ იუწყება, რომ ნუერ ნუოხის წინააღმდეგობა სუსტდება და უახლოეს დღეებში, ალბად, ძლეულ იქნება. გაზეთი უმატებს, რომ შუბები და პრიმიტიული თვითმსროლელები, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ხმარობენ, რასაკვირველია, მეტის-მეტად სუსტი იარაღია ინგლისის უუმბარათაჭურველ ჰაეროპლანების მოსაგერიებლად. (ადს).

იბსენის დაბადების 100 წლის თავი

ოსლო, 23 იანვარი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სპეციალურმა კომიტეტმა იბსენის დაბადებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავი ზეიმი დანიშნა 14-20 მარტისათვის ოსლოში და 22-23 მარტისათვის ბერგენში. მოპატიჟება ზეიმზე დასასწრებად დაეგზავნება ლიტერატურის, თეატრის და პრესის წარმომადგენლებს და ევროპის ყველა ქვეყნების იბსენისტებს. (ადს).

1927 წლის სესხის ტირაჟი

ნიჟნი ნოვგოროდი, 24 იანვარი. გუშინ „წითელ სორმოვოში“ დამთავრდა 1927 წლის სესხის მეოთხე ტირაჟი. გათამაშებულია ათი ხუთ-ხუთ-ათას მანეთიანი 5 ათ-ათასი მანეთიანი, ორი—ოცდახუთ-ათას მანეთიანი და ერთი 50.000 მანეთიანი მოგება. 10.000 მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციას 747, სერია 9; ობლიგაცია 24.522, სერია 15; ობლიგაცია 37.374, სერია 9; ობლიგაცია 38.250, სერია 2; ობლიგაცია 52.176, სერია 12.

25.000 მანეთის მოგება ხვდათ: ობლიგაცია 164 574, სერია 7; ობლიგაცია 199.179, სერია 9.

50 000 მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციას 5.162, სერია 12 (ადს).

10.000 მანეთიანი მოგება

სახალხო მსახიობმა იურიევმა

ლენინგრადი, 24 იანვარი. ინდუსტრიალიზაციის სესხის პირველი ტირაჟით 10.000 მანეთი ხვდა იმ ობლიგაციას, რომელიც შეიძინა სახალხო მსახიობმა იურიევმა.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

სწორეთ სესხის რეალიზაციის კამპანიის შესახებ

პარტიისა და ხელისუფლების ყურადღება სოფლის მეურნეობის აღორძინების დარგში დღეს უმთავრესად მიმართულია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის განაღდებისაკენ. იმაზე, თუ რამდენათ წარმატებით ჩავატარებთ ჩვენ გლეხთა სესხის რეალიზაციას, ბევრადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების გზით წაყვანა. სესხის რეალიზაციაში უაღრესად დაინტერესებული უნდა იყვეს თვითეული გლეხი, რადგან ობლიგაციის შეძენით მას სარგებელი მოაქვს არა მარტო თავის თავისთვის, არამედ საერთოდ სოფლის მეურნეობისათვისაც, რაც საბოლოო ანგარიშით ნიშნავს ისევ გლეხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყველა ადგილობრივი მოწინავე ძალები აქტიურად უნდა ჩაებან სესხის რეალიზაციის საქმეში. როგორც ყოველთვის, აქ ერთი პირველი ადგილთაგანი უნდა დაიჭირონ ჩვენმა გლეხ კორესპონდენტებმა. პრესას უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია სესხის გატარების საქმეში. მაგრამ ის უძლური იქნება ამ შემთხვევაში. თუ მას, ჩვეულებრივათ აქტიურად გვერდში არ ამოუდგა მუშა და გლეხი კორესპონდენტები.

თავისთავად ცხადია, რომ გაზეთს ამ საკითხის შესახებ არ ესაჭიროება ადგილებიდან წერილები, რომელნიც შეეხებიან სესხის საერთო მნიშვნელობას. განსაკუთრებული ფასი ექნება ისეთ წერილებს, სადაც კორესპონდენტი მოგვცემს ფაქტიურ ცნობებს კამპანიის მსვლელობის შესახებ ადგილობრივ. სახელდობრ—რას აკეთებს სესხის გავრცელებისათვის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია, აღმასკომი, კოოპერატივის გამგეობა, გლეხკომი, სამკითხველო, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, სკოლა და სხვა. თუ ეს ორგანიზაციები და დაწესებულებანი უკვე შეუდგენ სესხის რეალიზაციის საქმეს, უნდა დაიწეროს რაში გამოიხატება მათი მუშაობა ამ მიმართულებით, თუ აღნიშნული ორგანიზაცია-დაწესებულებებს არაფერი გაუკეთებიათ და არც იძლევიან იმის ნიშანს, რომ გააკეთონ რაიმე გლეხის მეურნეობის სესხის გავრცელების სასარგებლოდ, კორესპონდენტმა უნდა აღნიშნოს რა ან ვინ არის ამის მიზეზი და სხვა.

ჩვენ ველით გლეხ კორესპონდენტებისაგან ფართე გამოხმაურებას გლეხთა რეალიზაციის საკითხზე.

ა. გ—ლი.

სესხი და საკრედიტო სისტემა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საშუალებით მესამე საგლეხო მომგებიანი სესხის რეალიზაციის დროს გამოირკვა ზოგიერთი დეფექტები, რომელთაც აღარ უნდა ექნეთ ადგილი მეოთხე საგლეხო მომგებიანი სესხის განაღდებაში.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ბანკები საკითხს მიუდგენ ვიწრო სამეურნეო თვალსაზრისით, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა საქმეს და შეაფერხა სესხის რეალიზაცია.

იმის მაგიერ, რომ ყველა რაიონებში დაეგზავნათ თავისი ინსპექტორები აგიტაციისა და სესხის პოპულიარიზაციისათვის, ისინი კმაყოფილდებოდნენ ადგილებისათვის ცირკულიარების და მიწერილობების გაგზავნით. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ცირკულიარები და მიწერილობანი ადგილებზე ხშირად განუხორციელებელი რჩება, ვინაიდან, სხვა არა იყოს რა, ზოგიერთ ადგილებში ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ არიან იმდენათ მომზადებულნი, რომ ერთბაშათ გაიგონ მიწერილობის აზრი. შემდეგ უნდა აღინიშნოს მთელი რიგი დეფექტები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ სას. სამ. კრედიტის ბანკების მუშაობასთან:

1. აგიტმასალების, პლაკატების და სხვ. (განსაკუთრებით ადგილობრივ ენაზე) დაგვიანებით მიწოდება,

2. ობლიგაციების დაგვიანებით გაგზავნა ადგილებზე;

3. ცნობის დაგვიანება ტირაჟის დღის შესახებ. ამ მომენტის განსაკუთრებით ფართედ გამოყენება შეიძლებოდა მშრომელ გლეხობას შორის.

4. ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად რეალიზაციის მომენტი არ იყო სავსებით შეფარდებული იმ დროსთან, როცა სასოფლო მეურნეობას აქვს ფული (მებამბეობის და მეთამბაქოობის რაიონები).

5. ყველაფერ ზემოდ ნათქვამს ზედ ერთვოდა ანგარიშწარმოების უაღრესად გართულება, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ საანგარიშო ბლანკების უქონლობას ადგილობრივ ენებზე.

მეოთხე სესხის წარმატებით რეალიზაციისათვის საჭიროა ყველა იმ დეფექტების დაძლევა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მესამე საგლეხო სესხის რეალიზაციის დროს. რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებმა მაქსიმალური მონაწილეობა უნდა მიიღონ სესხის რეალიზაციის საქმეში.

ფეხზე უნდა დავაყენოთ მთელი ქვედა საფეხურის აპარატი: 350 საკრედიტო ამხანაგობა. გამგეობანი, საბჭოები. რევკომისიები და საკრედიტო ამხანაგობათა უფრო შეგნებული და განვითარებული წევრები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ ამ სესხის რეალიზაციაში.

[illegible] მუშაკებს შორის განაწილებულ უნდა იქნეს საკრედიტო ამხანაგობათა სამ. რაიონები რაიონების რესურსები მაქსიმალური სისწორით უნდა იქნეს გამორკვეული.

ეს მუშაობა სასწრაფო წესით უნდა სწარმოებდეს. მან უნდა გამოარკვიოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობის უნარიანობა, იმ სისტემის, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩვენი დანგრეული საგლეხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. ეხლა. როცა სოფელს აქვს ფული და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საშუალებით სოფელი მნიშვნელოვან თანხებს ღებულობს—სესხის რეალიზაციის წარმატებით დამთავრება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს. მით უმეტეს, რომ შეგნებული გლეხობა თვით დაეძებს ობლიგაციებს.

ლოზუნგი—„არც ერთი გლეხი უობლიგაციოთ“.—გატარებულ უნდა იქნეს ცხოვრებაში.

ა. კ—ნი

18.938 პროპაგანდისტი ობლიგაციების გასასაღებლად

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი,—განუცხადა ჩვენს თანამშრომელს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ც. გ. თავმჯდომარემ ამხ. **ოგანოვმა,**—აერთიანებს პროვინციაში 18.938 წევრს. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების განაღდების საქმეში აქტიურად იქნება ჩაბმული კავშირის ყველა წევრები. წინასწარ ჩვენ განზრახული გვაქვს ადგილებზე მოვიწვიოთ კავშირის წევრთა კრებები და ჩავატაროთ მათში წინასწარი მოსამზადებელი კამპანია.

კავშირის თვითეული წევრი სრულიად მომზადებული უნდა შეხვდეს სესხის ჩატარების კამპანიას, რომ შემდეგ კავშირის წევრებმა თავის მხრივ მოამზადონ გლეხობა. ჩვენი კავშირი სოფლად აერთიანებს უმთავრესად, სპეციალისტ-აგრონომებს, ხე-ტყის დამზადებლებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მუშა-მოსამსახურეებს, მოჯამაგირეებს, მწყემსებს, დაქირავებულ მიწის მუშებს და სხვ.

მარტო ჩვენს კავშირში გაერთიანებულმა მუშებმა რომ შეიძინონ ობლიგაციები, უკვე მარტო ეს შეადგენს დიდ თანხას. კავშირის ეს მდგომარეობა გათვალისწინებული აქვს და ამიტომ ჩვენ ამთავითვე შევუდექით სათანადო მუშაობას. ადგილებზე ჩვენს მიერ დაგზავნილი იქნება შესაფერი ცირკულიარები და ინსტრუქციები, რომ კავშირის მასამ ენერგიული მონაწილეობა მიიღოს სესხის ობლიგაციების გასაღებაში.

ა.-კ. პროლეტ. მწერალთა ყრილობა

საზეიმო სხდომა

ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა ყრილობის მიერ პირველ სხდომაზე გამოტანილ დადგენილების თანახმად, გუშინ, საღამოს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიმართა ყრილობის საზეიმო სხდომა.

ამხ. სუტირინის წინადადებით ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს გერმანელ პროლეტარულ პოეტ **იოჰან ბეხერს,** რომელსაც ბურჟუაზიული სასამართლო ბრალსა სდებს „სახელმწიფო ღალატს“ და პრეზიდენტ ჰინდენბურგის შეურაცხყოფას.

პოეტ არ. სიტკოვსკის წინადადებით დასავლეთთან კულტურულ დაახლოვების საკავშირო საზოგადოებას ეგზავნება საპროტესტო დეპეშა პრაღიდან რუს პროლეტარულ პოეტების ბეზიმენსკის, უტკინის და ჟაროვის გაძევების გამო.

დაბადებიდან 65 წლის შესრულების გამო ყრილობა მისასალმებელ დეპეშას უგზავნის აგრეთვე დამსახურებულ პროლეტარულ მწერალს — **ალექსანდრე სერაფიმოვიჩს,** რომლის შემოქმედებასაც მოკლედ ახასიათებენ ამხ. ავერბახი და ერმილოვი.

ამხ. რახმანის სიტყვა

ლენინურ კომკავშირის ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ყრილობას მისასალმებელ სიტყვით მიმართავს ამხ. რახმანი. რომელიც პროლეტ. მწერლობას მოუწოდებს თავისი მხატვრული სიტყვით დაეხმაროს ამიერ - კავკასიის პროლეტარულ ახალგაზრდობას კლასიური გათვითცნობიერების და კულტურული მომზადების საქმეში. თქვენი ვალია, —ამბობს იგი — ებრძოლოთ წარსული დროის წყეულ მემკვიდრეობას — ნაციონალისტურ განწყობილებას მშრომელ ახალგაზრდობაში და იმ უიმედო სასოწარკვეთილებას, რომელსაც აგრძელებენ ახალგაზრდებში მოქანცული სულმოკლე ელემენტები.

შალვა დადიანის სიტყვა

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის სამეცნიერო სახელოვნო დაწესებულებათა საბჭოს და სრულიად საქ. მწერალთა კავშირის სახელით სალამს უძღვნის ამ მშვენიერ და საპატიო ყრილობას, რომელსაც მოჰყვება ამიერ - კავკასიის ერთა კულტურული დაახლოვება.

სანდრო შანშიაშვილის სიტყვა

მოგესალმებით იმ ძმების სახელით, რომელთა ჯგუფი „არიფიონის“ სახელს ატარებს, და გამოვსთქვამ ჩემს სიხარულს იმის გამო, რომ ქართველმა, სომეხმა, აზერბეიჯანელმა და რუსმა მწერლებმა შესძლეს გაერთიანება და იმ ამოცანების გადაჭრა, რომელნიც მკვიდრ საძირკველს უყრიან ამიერ - კავკასიის ერთა კულტურულ გაერთიანებას.

ს. ჩიქოვანის სიტყვა

ქართველ მემარცხენე მწერალთა ფრონტის სახელით მივესალმები ამიერ - კავკასიის პროლეტ. მწერალთა ყრილობას. გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის პროლეტარულ მწერლობას, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ამიერ-კავკასიის ერთა კულტურულ გაერთიანების საქმეს.

ამხ. გრავიჩის სიტყვა

გაზ. „ზარია ვასტოკა“-ს მუშკორთა კოლეგიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გრავიჩმა, რომელმაც პროლეტ. მწერლობას უსურვა, რომ იგი თავისი ყოველ დღიური მუშაობით დაუახლოვდეს მუშკორებს, რომლებიც ამავე მიზანს ისახავენ, რასაც პროლეტარული მწერლობა.

ამხ. ავერბახის სიტყვა

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლ. ავერბახმა, რომელიც ყრილობას მიესალმა საკავშირო პროლეტ. მწერალთა ასოციაციის და პროლეტარულ მწერალთა საერთაშორისო ბიუროს სახელით. ამხ. ავერბახი მიმოხილვას უკეთებს იმ დიდ კულტურულ მოძრაობას, რომელმაც სრულიად გარდაქმნა და შესცვალა წინანდელი რუსეთის კულტურული სახე. ორატორს მოჰყავს ციტატები პროფ. უსტრიალოვის წიგნიდან, სადაც აწერილია რუსეთის დღევანდელი ყოფა-ცხოვრება და კულტურული ვითარება. ის უსტრიალოვი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ რევოლიუცია გადაგვარდებოდა და რუსეთი დაუბრუნდებოდა თავის განვითარების ძველ გზებს, დღეს ეს უსტრიალოვი იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა კავშირში ვითარდება ახალი კულტურა სრულიად ახალ საფუძვლებზე, რომ პროლეტარიატი არა თუ ემორჩილება წარსულ კულტურულ მემკვიდრეობას, არამედ თავის კულტურული გავლენის ქვეშ აყენებს წინანდელ ინტელიგენციას, მეცნიერებს და ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს. თვით ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე საკითხი აწუხებს რუსს, ქართველ, სომეხ და თურქ მწერალს მოწმობს იმას, რომ ნიადაგი პროლეტარული კულტურის შექმნისათვის მომზადებულია.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ახალ ძალებს, მათ კულტურულ შემოქმედებას. ამხ. ავერბახის სიტყვა იფარება მქუხარე ტაშით.

პროლეტ. მწერალთა ლიტერატურული გამოსვლა

მისასალმებელ სიტყვების დამთავრების შემდეგ გაიმართა პროლეტ. მწერალთა დივერტისმენტი. თავიანთი ახალი ნაწარმოები წაიკითხეს პოეტებმა კ. ლორთქიფანიძემ, ფავზიმ, სიტკოვსკიმ, ნავთლუღელმა, რასულ-ზადემ, ხერხეულიძემ, კოროლევმა, რუსტემ-ზადემ, ნაზიმ-ხაკმეტის რუსულად ნათარგმნი ლექსი წაიკითხა ამხ. ერმილოვმა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ლექსები წაიკითხეს აგრეთვე პოეტებმა კრეიტენმა, მაშაშვილმა, თურინმა, ჩარენცმა, ნაზარიმ და სხვებმა.

მიუხედავათ იმისა რომ აუდიტორია მრავალეროვანი იყო, და მრავალთათვის წაკითხული ნაწარმოები ენის უცოდინარობის გამო გაუგებარი რჩებოდა, ამიერ-კავკასიის ოთხი ეროვნების პროლეტ. მწერალთა გამოსვლამ დამსწრეებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

ლოზუნგები

სესხის რეალიზაციისათვის

(საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მასალა)

1. თვითეულმა გლეხმა უნდა იყიდოს „გლეხურ მეურნეობის განმტკიცების მომგებიანი სესხის“ ობლიგაცია.

2. ქალაქის მშრომელებმა შეასრულეს თავის ვალი — „ინდუსტრიალიზაციის სესხი“ გავრცელდა 246 მილიონ მანეთის რაოდენობით. რიგი მშრომელ გლეხობაზეა.

3. ობლიგაცია გლეხის ხელში მოწმობს იმას, რომ ის მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობაში.

4. სესხის 10 პროცენტი (არა უმცირეს 250.000 მანეთისა) მოხმარდება საქართველოს სომხეთის და აზერბეიჯანის თემის, უბნის, დაირას ბიუჯეტს ამიერ - კავკასიის სოფლის სამეურნეო და კულტურულ საჭიროებებისათვის.

5. სესხის წარმატებით გავრცელება განამტკიცებს გლეხურ მეურნეობას და აწევს მშრომელ გლეხობის კეთილდღეობას.

6. სესხის ობლიგაციის შეძენით გლეხი მისთვის სასარგებლოთ ინახავს დაზოგვილ თანხებს, ვინაიდან ღებულობს პროცენტებს და მოგებას.

7. ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება ჩვენი მინდვრების მორწყვა და ჭაობების გაშრობა—შეიძინეთ გლეხურ მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები.

8. მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ანგრევდენ სოფელს. საბჭოთა ხელისუფლება სცდილობს განამტკიცოს იგი. შეიძინეთ გლეხურ მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები.

მიმართვა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებისადმი

სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის ხელის შეწყობის მიზნით. საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკის და „სოფლის კავშირი“-ს გამგეობებმა სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობებს, საბჭოებს და სარევიზიო კომისიებს დაუგზავნეს შემდეგი შინაარსის მიმართვა:

„მიმდინარე წლის პირველ თებერვლიდან პირველ მაისამდე ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება სასოფლო მეურნეობის განსამტკიცებელი სესხის რეალიზაცია. ეს სესხი მთლიანად იქნება გამოყენებული გლეხთა მეურნეობის სასწრაფოდ აღდგენისათვის, ისე, როგორც ინდუსტრიალიზაციის სესხი მთლიანად არის დანიშნული მრეწველობის გაძლიერებისათვის.

მუშა-მოსამსახურენი და საერთოდ ჩვენი ქალაქების მშრომელნი ერთსულოვნად გამოეხმაურენ თავის მუშურ-გლეხურ მთავრობის მოწოდებას და შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში გაასაღეს ინდუსტრიალიზაციის სესხი 250 მილიონ მანეთის რაოდენობით.

საქართველოს გლეხობა, რომელიც ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდა მუშებთან ერთათ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, ამ შემთხვევაშიც არ უნდა ჩამორჩეს მუშებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ინტერესების გაგებაში. ამიტომ მან სასწრაფოდ და მთლიანად უნდა შეისყიდოს სესხის ობლიგაციები გლეხთა მეურნეობის გასამაგრებლად. ამას მოითხოვს უწინარეს ყოვლისა გლეხთა მეურნეობის და ამავე დროს მთელი სოციალისტური აღმშენებლობის ინტერესები.

საკრედიტო ამხანაგობების ხელმძღვანელმა ორგანოებმა, რომელთა ძირითად ამოცანას შეადგენს კრედიტების მიწოდება სასოფლო მეურნეობისათვის, მთლიანად უნდა გამოიყენონ ის ნდობა და ავტორიტეტი, რომლითაც ისინი სამართლიანად სარგებლობენ გლეხურ მოსახლეობის თვალში. მათ გარკვევით უნდა აუხსნან თავიანთ წევრებს და საერთოდ გლეხობის ფართო ფენებს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია გლეხობისათვის და რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის საგლეხო მეურნეობის განსამტკიცებელ სესხის რეალიზაციას.

ამისათვის სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება სესხის რეალიზაციას, რათა უახლოეს ვადაში, დასახული ამოცანა შესრულებულ იქნეს მთელი 100 პროცენტით.

სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა არც ერთი წევრი არ უნდა დარჩეს უობლიგაციოთ. სესხის ობლიგაციების ნებაყოფლობით შეძენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა გლეხობამ.

თქვენი გამოსვლა სესხის რეალიზაციის საქმეში ადგილებზე უნდა შეუთანხმოთ სპეციალურ სამეულების მუშაობას და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა შეიცადოთ სესხის რეალიზაციაში ჩააბათ ყველა ადგილობრივი კულტურული ძალები: აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, ახალგაზრდობა და საკრედიტო ამხანაგობათა სხვა წევრები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ უაღრესი ყურადღებით შეხვდებით ამ საპასუხისმგებლო დავალებას და გააკეთებთ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელი იქნება მის მთლიანად შესრულებისათვის.

სესხის რეალიზაციის შედეგები გვაცნობეთ ყოველკვირეულად“.

მედსანშრომის მუშაკების როლი

სესხის განაღდებაში

მედსანშრომის მუშაკთა მონაწილეობის შესახებ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის განაღდების საქმეში, მედსანშრომის კავშირის მდივანმა ამხ. ვ. ანდღულაძემ ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— ჩვენს კავშირს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სოფელთან. სხვადასხვა სამკურნალო პუნქტების, აფთიაქების და საავადმყოფოების მუშა-მოსამსახურეები მთლიანად ჩვენს კავშირში შედიან. როგორც ცნობილია, ყველა ასეთ დაწესებულებებთან გლეხობას ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს.

საქ. პროფსაბჭოს მიმართვის თანახმად, ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ კავშირის მთელი მასა ფეხზე დადგეს და აქტიურად ჩაებას სესხის გავრცელების კამპანიაში. ამ მიზნით ჩვენ ვგზავნით ყველა ორგანიზაციებს ცალკე მიმართვებს და ახსნა-განმარტებებს, სადაც დაწვრილებით იქნება ახსნილი და გაშუქებული საგლეხო სესხის მიზანი და დანიშნულება. თვითეული სამკურნალო პუნქტი უნდა გადაიქცეს ისეთ პუნქტად, სადაც გლეხობას განუმარტავენ სესხის მნიშვნელობას ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის და კერძოთ გლეხის მეურნეობის განმტკიცებისათვის.

სულ პროვინციაში გაფანტულია 6.500 ზე მეტი კავშირის წევრი. თვითეულ სამკურნალო რაიონში ჩატარებული იქნება კავშირის წევრთა საერთო კრებები, რომლებზედაც გამომუშავებული იქნება სესხის რეალიზაციაში კავშირის წევრთა მონაწილეობის მიღების გეგმა.

აღნიშნული კამპანიისათვის ჩვენ უკვე შევუდექით სათანადო მუშაობას.

სესხის ქრონიკა

სესხის გაყიდვის ვადა.

სასოფლო მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გაყიდვა დაიწყება დაუყოვნებლივ, როგორც ადგილებზე მიღებული იქნება ობლიგაციები ან დროებითი მოწმობები. სესხის რეალიზაცია უნდა დაბოლოვდეს მიმდინარე წლის 30 აპრილისათვის.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის პლენუმზე

გუშინ საქართველოს პროფსაბჭოს შენობაში შესდგა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის პლენუმი. პლენუმზე საქ. ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ნ. ქოიავამ გააკეთა მოხსენება საგლეხო მეურნეობის გასამაგრებელ სესხის შესახებ. მან დაწვრილებით გააცნო სესხის დანიშნულება და მისი რეალიზაციის მეთოდები.

პლენუმმა მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში ერთხმად დაადგინა, ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი სესხის რეალიზაციას და დაავალა კავშირის წევრებს ჩაებან ამ საქმეში ინდივიდუალურ კონტრაგენტების სახით.

პარტიული ცხოვრება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო-კომისიის პარტკოლეგიის ახალი მდივანი

მოსკოვი, 24 იანვარი. ვინაიდან ამხ. იანსონი დაინიშნა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრად, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა გაანთავისუფლოს ის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მდივნის მოვალეობიდან და პარტკოლეგიის მდივნად დაამტკიცოს ამხ. **შკირიატოვი.**

პარტიიდან გამორიცხვა

სარატოვი, 24 იანვარი. საგუბერნიო საკონტროლო კომისიამ დაადგინა პარტიიდან გამორიცხოს 9 ადგილობრივი ოპოზიციონერი. გამორიცხულნი ეწეოდნენ აქტიურ ფრაქციულ მუშაობას: ავრცელებდნენ ოპოზიციონურ ლიტერატურას, საიდუმლო პარტიულ დოკუმენტებს და აწყობდნენ ფარულ კრებებს.

პარტორგანიზაციების მორიგი ამოცანა სოფლად

საბჭოთა კავშირის მეურნეობა აღორძინდა და მიდის წინ სწრაფი განვითარების გზით მხოლოთ მუშებისა და გლეხების შრომის წყალობით. ჩვენ კაპიტალისტებისაგან დახმარებას არც ველოდით და არც მომავალში მოველით. ერთ-ერთ მთავარ საშუალებას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის წარმოადგენს შინაური სესხი. ინდუსტრიალიზაციის სესხი, რომელიც გამოშვებული იყო 200 მილიონი მანეთის რაოდენობით უკვე განაღდებულია 250 მილიონ მანეთამდე.

ეხლა საბჭოთა მთავრობა უშვებს სპეციალურ გლეხთა სესხს, რომელიც მიზნათ ისახავს გლეხის მეურნეობის გაუმჯობესებას. სესხი გამოშვებულია 100 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ სესხის განაღდებას დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. ურომლისოდ წარმოუდგენელია ინდუსტრიალიზაციის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა.

პარტიულ ორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გავრცელებას. რა არის ამისათვის საჭირო? პირველყოვლისა პარტუჯრედმა საკუთარი მაგალითით უნდა დაარწმუნოს გლეხკაცობა, რომ სესხის ობლიგაციების შეძენას ის ურჩევს . მას არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ყოველი ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ უჯრედის თვითეულ წევრმა შეიძინოს სესხის ობლიგაცია. ამას გარდა, პარტუჯრედმა თუ თემკომმა სისტემატიური მითითებანი უნდა მისცეს ადგილობრივ ორგანიზაციებს სესხის გავრცელების საქმეში, როგორიცაა სესხის პირობების ფართედ ახსნა-განმარტება, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სესხის განაღდებაში და სხვა. პარტიულ ორგანიზაციამ ამასთან ერთად სისტემატიური კონტროლი უნდა გაუწიოს ადგილობრივ დაწესებულებებს. რა ზომებს იღებენ ისინი სესხის რეალიზაციისათვის ან თუ არ იღებენ, რა უშლის მათ ამაში ხელს და სხვა.

მუშათა კლასმა ღირსეულათ შეასრულა თავისი მოვალეობა. მან ინდუსტრიალიზაციის სესხი წარმატებით გაანაღდა. ჯერი გლეხობაზეა. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ გლეხკაცობაც გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს. ამისათვის საჭიროა, რომ პარტია, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც ყველა მისი ადგილობრივი სათემურებით წინ გაუძღვეს გლეხობას ამ მოვალეობის შესასრულებლათ.

ჯ. დ—ნი.

შორდებიან ოპოზიციას

საქართველოს კომპარტიის (ბ) თელავის ორგანიზაციის წევრებმა ამხ. **პავლე ბურკაძემ, გიორგი ყურაშიძემ, ილია მიხილაშვილმა** და **ნიკოლოზ ბეჟანიშვილმა** შეიტანეს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში განცხადება ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ.

ამხ. ბურკაძე აცხადებს: „მე ხელი მოვაწერე ოპოზიციის განცხადებას, მაგრამ პარტიის მე-15 ყრილობამ დამარწმუნა, რომ ოპოზიციის რიგებში ყოფნა მეორე პარტიის შექმნის მუქარას წარმოადგენს. მე, როგორც მუშას, პარტიის წევრს 1918 წლიდან. დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ვინმე ხელს უშლიდეს ლენინის პარტიის მთლიანობას. მე-15 ყრილობის ყველა გადაწყვეტილებები სწორად მიმაჩნია და მტკიცედ გავატარებ მათ ცხოვრებაში. ვხსნი ჩემს ხელმოწერას ოპოზიციის განცხადებიდან და ვიმიჯნები მათგან“.

კომკავშირში

რა ჰქვია ამას

(აბაშა, სენ. მ.)

9 იანვარს მოხდა ა. ლ. კ. კ. თემკომის პლენუმი, რომელსაც დაესწრო უჯრედთა ბიუროების წევრები. დღის წესრიგში იდგა, სხვათა შორის საკითხი თემკომის პასუხისმგებელ მდივნის არჩევის შესახებ. კრებას დაესწრო ინსტრუქტორი ამხ. გაბისონია. დიდხანს ეძებეს მდივნის თანამდებობაზე წამოსაყენებელი კაცი, ბოლოს ამხ. გაბისონიამ წამოაყენა ერთი ამხანაგი, რომელიც პარტიის კანდიდატია და კომკავშირის კრებებს სრულებით არ ესწრება, არც იცნობს ჩვენს მუშაობას. გარდა ამისა ის დატვირთულია სხვა საქმეებით.

გაბისონიამ განაცხადა, თუ ამას აირჩევთ მდივნათ, ყველა სხვა საქმეებისაგან ის განთავისუფლებული იქნებაო. კრებამ აირჩია გაბისონიას კანდიდატი, როგორც კენჭის ყრა დამთავრდა, გაბისონიამ ურცხვათ განაცხადა, ახლად არჩეული კაცი დატვირთულია სხვა საქმეებით, მას დამხმარე ესაჭიროებაო. კრებამ აირჩია თემკომის ტეხნიკური მომუშავე.

ამის შემდეგ ამხანაგები მიდიოდნენ სახლში და ამბობდნენ, რას გავს ეს? სად არის შინაკომკავშირული დემოკრატია? ნუ თუ გაბისონიას სურს ა. ლ. კ. კ. აბაშის უჯრედი ქვევრად გადააქციოს? შენ რას იტყვი, სამაზრო კომიტეტო?

ხელი.

ამხ. სოლომონ დოლიძის ხსოვნას



საქ. კომპარტიის გურიის ორგანიზაციამ, ამხ. სოლომონ დოლიძის გარდაცვალებით დაჰკარგა ძველი ბოლშევიკი და საუკეთესო მებრძოლი. ამხ. დოლიძეს საქართველოს და განსაკუთრებით კი გურიის მშრომელი ხალხი იცნობს როგორც ძველ რევოლიუციონერს და თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლს. იგი დაიბადა 1886 წელს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, როდესაც ის პირველად გამოვიდა რევოლიუციონურ ბრძოლის ასპარეზზე, სოც.-დემოკრატიულ პარტიაში ფრაქციულ განხეთქილების დროს ემხრობოდა ბოლშევიკურ ჯგუფს და სასტიკად იბრძოდა პარტიის მემარჯვენე—უმცირესთა ჯგუფის წინააღმდეგ.

თვითმპყრობელობის დროს ამხ. დოლიძე უმთავრესად მუშაობდა გურიაში და ფოთში, სადაც ის არა ერთხელ დაუპატიმრებიათ მეფის ჯალათებს და გაუგზავნიათ იქ, სადაც გზავნიდენ საერთოდ რევოლიუციისათვის მებრძოლებს. ასეთივე მდგომარეობაში იყო ამხ. დოლიძე მენშევიკების ბატონობის დროსაც. ამხ. სოლომონი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკების გამყიდველ პოლიტიკის წინააღმდეგ. ის გურიის ორგანიზაციის ერთი აქტიური არალეგალური მომუშავეთაგანი იყო. ამისათვის მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა და გადაასახლა საქართველოს საზღვრებიდან.

საქართველოში სოლომონი დაბრუნდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე. მალე ის ცეკას დავალებით სამუშაოთ მიდის გურიაში. შემდეგ ამხ. დოლიძე ინიშნება ლანჩხუთის რაიონის რაიკომის მდივნათ, სადაც ის პირნათლად და მტკიცედ ატარებს პარტიის ხაზს.

ძველი რეჟიმის მიერ მიყენებულმა ტანჯვებმა შემდეგ კი მენშევიკების ციხეებმა და გადასახლებამ საშუალება წაართვა ამხ. დოლიძეს ყურადღება მიექცია თავის ჯანმრთელობისათვის და მიეღო ზომები ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად.

ულმობელმა სიკვდილმა ძველ ბოლშევიკთა რიგებს გამოაცალა ამხ. დოლიძე, მაგრამ ის იმდენად ძვირფასი და დაუვიწყარი წევრი იყო ჩვენი პარტიისა, რომ მუდამ ცოცხალი იქნება მის ამხანაგების მეხსიერებაში.

ამხანაგი.

ორი უქმე

(როგორ უნდა ჩავატაროთ წითელი არმიის დღე და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 7 წლის თავი)

ცირკულიარულად

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

წითელი არმიის ათი წლის თავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლისათვის დღესასწაულის ძირითად ამოცანებს უნდა შეადგენდეს შემდეგი:

1. საბჭოთა კავშირის ბრძოლისათვის მომზადებისა და თავდაცვის უნარის შემოწმება.

2. მშრომელთა მასების კავშირის განმტკიცება მუშათა და გლეხთა წითელ არმიასთან და სამხედრო მშენებლობის მორიგ ამოცანათა პოპულიარიზაცია.

3. ავია-ქიმიის ხელშემწყობი საზოგადოების მუშაობის გაძლიერება, მუშებისა და გლეხების (ქალთა და კაცთა) ფართო მასების მორიგ ჩაბმა მის რიგებში და მოსახლეობაში ჩასატარებელ სამხედრო მუშაობაში.

4. სამოქალაქო ომის, ისტორიის, ბრძოლათა ისტორიის და წითელი არმიის გმირთა პოპულიარიზაცია.

5. კომპარტიის, როგორც წითელი არმიის ორგანიზაციისა და ბელადის როლის განმარტება.

6. საქართველოში 7 წლის სოციალისტური მშენებლობის შედეგების პოპულიარიზაცია, ანტისაბჭოთა პარტიების გეგმათა გამოაშკარავება და მშრომელთა ხელისუფლების მორიგ ამოცანათა განმარტება.

7. განმარტება წითელი არმიის როლისა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების და დაცვის საქმეში.

წითელი არმიის ათი წლის თავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შვიდი წლისთავის დღესასწაულს უნდა ჰქონდეს მუშათა და გლეხთა ფართო მასების დღესასწაულის ხასიათი.

კლუბებსა, სამკითხველოებსა, წითელ კუთხეებსა, მუშა და გლეხ-ქალების სადელეგატო კრებებზე, გლეხთა სახლებსა, სკოლებსა, პარტგანათლების სისტემასა, პოლიტგანათლების სასკოლო ქსელსა და გაუსწორებელ სახლებში თებერვლის 20-დან 27-მდე უნდა მოეწყოს მოხსენებანი, საუბრები, კითხვა-პასუხებისა და სათანადო ნაწარმოებთა წაკითხვის საღამოები, თემები შემდეგია:

1. წითელი არმიის ისტორია და ამოცანები.

2. საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის საკითხები.

3. საქართველოს მდგომარეობა მენშევიკების დროს.

4. როგორ დამყარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება.

5. სოციალისტური მშენებლობის შედეგები საქართველოში.

6. ამიერ-კავკასიის ფედერაცია და მისდამი ანტისაბჭოთა პარტიებისა და ოპოზიციის დამოკიდებულება.

იმართება აგრეთვე თავდაცვისა და წითელი არმიის საღამოები, მხატვრული დადგმანი და სხვა.

კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის გასამხედროების საქმის გაძლიერებას. ამისათვის საჭიროა: ახალი სასროლო ტირების, სამხედრო ცოდნათა წრეების, სასროლო წრეების, ფიზკულტურის წრეების და სამხედრო კუთხეების ორგანიზაცია; წითელი არმიის ათი წლის თავზე მასიური სახსპორტო ორგანიზაციების, მოსახლეობაში გაწეული სამხედრო მუშაობის [illegible] და კონკურსების და საჩვენებელი ბრძოლის მოწყობა, მასიური სამხედრო ლიტერატურის გავრცელება მოსახლეობაში და სხვა.

წითელ არმიასთან მოსახლეობის დაახლოვებისა და კავშირისათვის იმართება მუშათა, გლეხთა და მოსწავლეთა ექსკურსიები ჯარის ნაწილებსა, ყაზარმებსა და კლუბებში.

წითელი არმიის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებათა აღსანუსხავად ეწყობა ყაზარმებისა, კლუბებისა და ტერიტორიალური პუნქტების მასიური გამოკვლევანი; ამ გამოკვლევებს ახდენენ პროფკავშირების, მუშათა დეპუტატების საბჭოების ძალები და ცაკების და აღმასკომების ხელმძღვანელი მუშაკები.

23 თებერვალს გაიმართება ჯარის ნაწილების (სადაც კი ისინი არიან) აღლუმი და ავია-ქიმიის ხელშემწყობი საზოგადოების ფიზკულტურელების, კომკავშირის, პირველი დახმარების ქალთა წრეების და სხვათა დემონსტრაციები.

24 თებერვალს გაიმართება საბჭოების (ქალაქად და სოფლად) საზეიმო სხდომები, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენებანი წითელი არმიის ათი წლისა და საბჭოთა საქართველოს შვიდი წლის თავის შესახებ.

25 თებერვალს გაიმართება მშრომელთა დემონსტრაციები წითელი არმიის და გლეხთა დელეგაციების მონაწილეობით (ქალაქად), სოფლად კი—მიტინგები ქალაქის მუშათა წარმომადგენლების (შეფების და სხვ.) მონაწილეობით.

პრესამ, როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა, ფართოდ და სისტემატიურად უნდა გააშუქოს წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებისა, ისტორიისა და მშენებლობის საკითხები, საბჭოთა საქართველოს მიღწევანი შვიდი წლის განმავლობაში და სხვ.; პრესამ უნდა გააშუქოს აგრეთვე კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა და თვით წლისთავის ჩატარება (23—25 თებერვალი).

კამპანიის ადგილობრივ ჩასატარებლად ეწყობა კომისიები ცაკებთან და აღმასკომებთან (თბილისში თბილისის აღმასკომთან) ცაკებისა და აღმასკომების თავმჯდომარეთა თავმჯდომარეობით; კომისიებში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, საზოგადოებრივი (ავია-ქიმიის ხელშემწყობი საზოგადოება, საზღვაო საზოგადოება) ორგანიზაციები, დელეგატთა კრებები და სხვა.

ასეთივე კომისიები ეწყობა საბჭოთა ქვედა ორგანოებთანაც (სარაიონო და სათემო აღმასკომებთან).

დაწვრილებითი მითითებანი კამპანიის ჩატარების შესახებ ადგილობრივ დაეგზავნება სათანადო ცენტრალური ორგანოების მიერ (კომკავშირის ც. კ.-ი, პროფკავშირების საბჭო, ავია-ქიმიის ხელშემწყობი საზოგადოება და სხვ.).

თეზისები, ლოზუნგები და ლიტერატურის საჭირო მასალები დროზე გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში.

საქართველოს კომპარტიის ც. კ-ს მდივანი
მ. კახიანი.

ც. კ.-ის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე—ს. მამულია.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ბორჩალოს მაზრის მასწავლებელთა კონფერენცია

10 იანვარს, ქ. ლიუქსემბურგის პროფკავშირთა კლუბში გაიხსნა ბორჩალოს მაზრის მასწავლებელთა მე-9 კონფერენცია. საპატიო თავმჯდომარეებისა და საქმიან პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) განათლების მუშ. კავშირის ბორჩალოს სამაზრო განყოფილების მუშაობა; 2) ცენტრ. სამმართველოს მუშაობა; 3) სარევიზიო კომისიის ანგარიში; 4) სამაზრო განინსპექციის მუშაობა და პოლიტგანის გამგის თანამოხსენება; 5) მოხსენება პედაგოგიური მუშაობის შესახებ და 6) პროფკავშირის გამგეობის გადარჩევა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ამხ. ხრ. პანიცკიმ. მოხსენების გარშემო იყო მრავალი შეკითხვები, რიზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა. კამათის შემდეგ კონფერენციამ პროფკავშირის მუშაობა ფრიად დამაკმაყოფილებლად სცნო.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჭეიშვილი, რომელმაც აღნიშნა ცენტრ. სამმართველოს ნაყოფიერი მუშაობა სასკოლო ქსელის გაფართოების საქმეში და გააცნო კონფერენციას ის გეგმა, რომელიც დასახული აქვს განკომსარიატს სახალხო განათლების დარგში.

ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება კავშირის განვლილი მუშაობის შესახებ და ჩასთვალა ის დამაკმაყოფილებლად.

ფრიად საინტერესო ცნობები მიიღო კონფერენციამ განათლების განყოფილების გამგის მოხსენებიდან, რომელმაც დაწვრილებით შეჩერდა იმ მიღწევებზე, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ აქვს ბორჩალოს მაზრას სწავლა-განათლების საქმეში. მომხსენებელი აუცილებელ საჭიროდ სცნობს მაზრაში ინსტრუქტორების რიცხვის გადიდებას.

ამ მოხსენებასთან ერთად კონფერენციამ მოისმინა პოლიტგანის გამგის თანამოხსენება.

ახალი სკოლის პროგრამისა და პედაგოგიკის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. გოგუაძემ. ხოლო გეგმიანი მუშაობის შესახებ ამხ. მ. მელიქაძემ. ბოლოს არჩეულ იქნა პროფკავშირის გამგეობის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციამ დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვას მოანდომა ხუთი სხდომა და დაასრულა მუშაობა 12 იანვარს.

შალვა ქავზანაძე.

—:—

პროფმუშაობა სოფლად
(წერილი სართიჭალიდან)

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სართიჭალის რაიადგილკომი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს როგორც თავის წევრების, ისე რაიონის გლეხობის საკეთილდღეოთაც. რაიადგილკომის სამუშაო ფარგლებში შედის სამი თემი, სახელდობრ: პატარძეულის, გომბორის და თვით სართიჭალის, რომელიც აერთიანებს 65 კავშირის წევრს. რაიადგილკომთან გამოყოფილია: შრომის დაცვის, შემფასებელ-საკონფლიქტო, ეკონომიური და კულტურული კომისიები, რომელთა საქმიანობა შესაფერ დონეზე სდგას.

კავშირის წევრების საერთო რიცხვი ჩაბმულნი არიან სათეატრო მუშაობაში, რომელთა მონაწილეობით ხშირად იდგმება როგორც უფასო ისე მცირე ფასიანი წარმოდგენები. 1926 წლის ზაფხულში მოეწყო ჯგუფური ექსკურსია ქ. თბილისის მუზეუმში. საწევრო ანარიცხები თავის დროზე იკრიბება. ფიზკულტურის წრეების გაძლიერებისათვის ადგილკომმა გაიღო საჭირო თანხები. კავშირის უმუშევარი წევრები პირველ რიგში იგზავნებიან სამუშაოზე. უმუშევრები დროგამოშვებით ღებულობენ დახმარებას. კავშირის წევრები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ რევოლიუციონურ დღესასწაულების კამპანიებში. კავშირის წევრების 80 პრ. ირიცხებიან „ავიახიმში“, „რემედასში“, „წითელ ჯვარში“ და სხვა ნებაყოფლობით საზოგადოებებში.

ადგილკომმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ინდუსტრიალიზაციის მომგებიანი სესხის ობლიგაციების კავშირის წევრთა შორის გავრცელების საქმეში და ამასთანავე გაიღო კავშირის წევრების დახმარებით შესაფერი წვლილი ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებლად და თვითმფრინავის ფონდის გასაძლიერებლად.

ამ ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად საჭიროა ყურადღება მიექცეს ზოგიერთ ნაკლს, რაც მომავლისათვის უნდა გამოსწორდეს მაგალითად, რაიონულ „ემს“ სამმართველოში უნდა მოისპოს ზედმეტი მუშაობა, ახლად ჩამოყალიბებულ ეკონომ. კომისიის საქმიანობა დადგეს თავის სიმაღლეზე, კავშირის წევრებმა ერთად ითანამშრომლონ კედლის გაზეთში და მიმდინარე წელს გადიდდეს ექსკურსიების რიცხვი.

შ. გარე-კახელი.

ონის მუშკოოპის საქმიანობა
(წერილი რაჭიდან)

ონის მთლიანი მუშათა კოოპერატივის გამგეობა რწმუნებულთა უკანასკნელი ყრილობის წინაშე წარსდგა მეტად საინტერესო მოხსენებით, რომელიც შეიცავს ცნობებს არა მარტო ხსენებული კოოპერატივის, არამედ მთელი მისი სამოქმედო რაიონის შესახებ.

ონის მუშკოოპის სამოქმედო რაიონში შედის ქ. ონი და მთელი ზემო-რაჭის მოსახლეობის 62 სოფელი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 36.473 უდრის. ამ რაიონში მუშკოოპს აქვს 12 სავაჭრო, ამათგან 4 ონში და 8 სოფლებში.

მუშკოოპის წევრთა რიცხვი 1926—27 საოპერაციო წელში 3.789-მდე ავიდა. ამგვარად მუშკოოპი აკავშირებს თავის რაიონის მთელი მოსახლეობის 70,6 პროც. (წინა საოპერაციო წელთან შედარებით წევრთა რიცხვი 16,7 პროცენტითაა გადიდებული). რაიონების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ქ. ონს, სადაც კოოპერატივში ჩაბმულია მოსახლეობის 109 პროც. (ე. ი. ზოგიერთ ოჯახში რამდენიმე პირი ითვლება მუშკოოპის წევრად). ეს მოვლენა არაჩვეულებრივ და მეტად სასიამოვნოა კოოპერატიულ ცხოვრებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, არის ისეთი რაიონებიც, სადაც წევრთა რიცხვი მხოლოდ 42 პროც., 36 პროც. შეადგენს: ასეთებია უწერისა და ზვარეთის თემები. სასურველია, რომ სწორედ სოფელს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ის უფრო საჭიროებს კოოპერატივს.

საპაიო თანხა უდრის 12.962 მან., ე. ი. თითო წევრზე მოდის საშუალოდ 3 მან. და 42 კაპ. მუშკოოპის საკუთარი საშუალებანი უდრის 38.744 მან. საოპერაციო წელში მუშკოოპს გაუყიდია სულ 350.325 მან. საქონელი რომელსაც გამოუწვევია წლიური ხარჯი 52.611 მან., ე. ი. მთელი ბრუნვის 14,9 პროც. თუმცა წინა წელთან შედარებით ეს ხარჯები 1 პროცენტით შემცირებულია, მაგრამ მაინც დიდად უნდა ჩაითვალოს.

წმინდა მოგება უდრის მხოლოდ 1.539 მან. რაც ერთობ მცირეა. საოპერაციო წელში მუშკოოპს დაუკმაყოფილებია მთელი მოთხოვნილების (753.608 მან.) 41,5 პროც. წლიური ნავარაუდევი გეგმა კი შესრულებულია 9 პროცენტით.

ყრილობამ მუშკოოპის საქმიანობა 1926—2 წლის განმავლობაში დამაკმაყოფილებლად სცნო და ერთხმად დაამტკიცა ამ წლის ანგარიში და მომავალი 1927—28 წლის სამოქმედო გეგმა.

ამგვარად, თუმცა საანგარიშო წელში წინასთან შედარებით მუშკოოპის მუშაობა გაცილებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ბევრი რამ კიდევ აკლია, განსაკუთრებით კი საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა სოფლისადმი.

იმედია, ამ ნაკლოვანებას გამოასწორებს მუშკოოპის ახალი გამგეობა, რომელშიაც არჩეული არიან: ვლადიმერ ბიჭაშვილი, ს. ბუგიანაშვილი, ი. ქბილაძე, ვ. გუგეშაშვილი, გ. კერესელიძე, ნ. ლოთედიანი, და ივ. მეხი.

დ. ვ—ნი.

—:—

ბოროტმოქმედების შედეგი
ს. ყვარელი, თელავის მაზრა

ამას წინად ვილაც გარეწარმა ცეცხლი წაუკიდა გლეხ დათა ბატიაშვილის საძნეს. ცეცხლის ჩაქრობას შეეცადნენ მეზობლები და მათ შორის ძმები გოგნიაშვილებიც. თივა ბოძებზე იდგა და გადასარჩენად ბოძებს დაუწყეს მოჭრა. ცეცხლმოდებული საძნე გადმოიქცა და ქვეშ მოიტანა ივანე გოგნიაშვილი. მისთვის მისაშველებლად ცეცხლში შევარდა მისი ძმა გიორგი გოგნიაშვილი და ორივენი ძალზე დაშავდნენ ცეცხლისაგან.

უბედური ძმა, ივანე გოგნიაშვილი ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა საშინელი წამებით, ხოლო მეორე ძმა გიორგი, თუ გადარჩა ორივე ხელი და ცალი თვალი დაუსახიჩრდება.

აი როგორი შედეგი მოიტანა ვილაც გარეწარის ბოროტმოქმედებამ.

ვან—ლი.

—:—

გლეხობას ცუდად ეპყრობა
ს. თელეთი, თბილისის მაზრა

8 იანვარს კუმისელ გლეხს ასლან გალუმოვს უნდა მიეღო მოწმობა სათემო აღმასკომიდან. მდივანმა დასწერა მოწმობა, რაზედაც ხელი უნდა მოეწერა აღმასკომის თავმჯდომარის მაგიერ გლეხკომის თავმჯდომარე გეურქ ბადალოვს. როდესაც გლეხმა მიიტანა მასთან მოწმობა, ბადალოვი ღვინით იყო გალეშილი და სამჯერ წამოკრა თავზე ხელი. ასეთი შემთხვევა მისგან პირველი არ არის.

იმედია მას სათანადო პასუხს მოსთხოვენ.

ქ—ი.

წერილებიდან

გამოაცოცხლეთ კულტმუშაობა
ლანირ-ჭაგანი, ქუთ. მაზრა

ადგილობრივი ქოხ-სამკითხველოს საქმიანობა ძალზე მოიკოჭლებს. სამკითხველოსთან არც ერთი წრე არ არსებობს, ლიტერატურაც ცოტაა, კედლის გაზეთის გამოცემა შეჩერებულია. ყველა ამაში ბრალი უნდა დაედოს პირველყოვლისა ქოხ-სამკითხველოს გამგეს და აგრეთვე ადგილობრივ ინტელიგენციას, რომლებიც არ არიან დაინტერესებული კულტმუშაობით. საჭიროა თემაღმასკომმა გამოაცოცხლოს კულტურული საქმიანობა.

სიმართლე.

გზას შეკეთება სჭირდება
კლდეეთის თემი, შორაპ. მაზრა

გზის უვარგისობის გამო ცხრა-წყაროს მცხოვრებნი აუტანელ გაჭირვებაში არიან. კლდეეთის თემაღმასკომის თავმჯდომარემ მიიღოს ზომები გზის შესაკეთებლად.

ა. თაბაგარი

მოუწყობელი სამკითხველო
მარნის თემი, სენაკის მაზრა

ამ თემის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში არსებობს სამკითხველო, მაგრამ მას კეთილმოსაწყობად არავინ იწუხებს თავს. სამკითხველო უვარგის შენობაშია მოთავსებული, რომელშიაც წვიმა ჩამოდის, ჟურნალ-გაზეთები საკმაოდ არ მოიპოვება, წიგნებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

დროა ქარხკომმა და კულტკომისიამ მიაქციონ ყურადღება სამკითხველოს კეთილმოწყობის საქმეს.

ბრაგუნა.

დაარსებთ სამკითხველოს
ორპირის თემი

ს. ციხია-ბობოთის 4 წლედის პედსაბჭომ 2 იანვრის სხდომაზე დაადგინა გახსნას სამკითხველო და საჭირო ფონდის შესაქმნელად მოუწოდოს მცხოვრებთ შემოწირულებისათვის. მოწაფეთა მშობლების საერთო კრებამ ამ დადგენილებას აღფრთოვანებით შეხვდა.

პედ-საბჭო.

ზოგიერთი ნაკლოვანებანი ჩვენს მუშაობაში
(წერილი შორაპნის მაზრიდან)

ამ დღეებში დამთავრდა შორაპნის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის გაფართოებული პლენუმის სხდომა, სადაც დღის წესრიგში სდგა ისეთი საკითხები, რომელიც დაკავშირებულია მაზრის კეთილ-მოწყობასა და საერთოდ სოციალისტურ აღმშენებლობასთან. პლენუმზე გამოირკვა, რომ მთელ რიგ მიღწევებთან ერთად სოფლის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების საქმეში. გვაქვს აგრეთვე ზოგიერთი დეფექტები და ნაკლოვანებანი, რომლის გამოსასწორებლად ამთავითვე უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები.

რა გამოირკვა კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე?

მართალია, მაზრაში 9 წლედების, 7 წლედების, 4 წლედების და სხვა სპეციალურ სკოლათა რიცხვი ძალზე მოფენილია მაზრის ყველა თემებსა და სოფლებში, რომლის რაოდენობა უდრის 162-ს, (ნაცვლად მენშევიკურ მთავრობის დროს 50-სკოლისა), სადაც მოსწავლეთა რიცხვი აღემატება—20 000 კაცს და მასწავლებელთა რაოდენობა კი უდრის 600 კაცს, რომელზედაც იხარჯება დაახლოებით—400 000 მანეთამდე. ე. ი. მაზრის ბიუჯეტის 36 პროც.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მიღწევები დიდია, მაგრამ არის ნაკლიც. რაც მდგომარეობს შემდეგში: ზოგიერთ სასწავლებელში მასწავლებელთა კვალიფიკაციის დაბალი დონე; როგორც გამოირკვა ზოგიერთი მაღალი ჯგუფის მოწაფეები დღესაც ვერ გვპასუხებენ ისეთ კითხვებზე, როგორიცაა მუშურ-გლეხური ხელისუფლების წყობა, მისი გამგებლობის აპარატი და სხვა.

მასწავლებელთა შორის არსებობს კლიკური გრძნობა. ადგილი აქვს ინტრიგანობას, სიძულვილს, რომელიც გადადის სკოლის შიგნით და იწვევს აღმზრდელობითი საქმეზე ცუდ გავლენას. მაგალითისათვის დავასახელებთ ხუნევის თემის შვიდწლედს. აქ 9 მასწავლებელი ითვლება და არც ერთი მათგანი ერთმანეთს შორის კეთილგანწყობილებაში არ არიან.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მასწავლებლები ვერ არიან ჩაბმული სხვადასხვა საზოგადოებრივ სამუშაოებში.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმეში მიღწევები დიდია, მაგრამ აქაც ზოგიერთ ადგილზე თავი იჩინა გაღებულ თანხების ბოროტად გამოყენებამ. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როცა ზოგიერთებს წარმოუდგენიათ კომისიების მიერ ხელმოწერილი სარეგისტრაციო სია, რომ ვითომც მათ დაასრულეს სალიკვიდაციო სკოლების კურსი და ამის მიხედვით მიუღიათ სწავლის ჯილდო, მაგრამ სინამდვილეში არამც თუ მოუხდენიათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, არამედ სკოლის შენობაშიაც არ შესულან.

ასეთები რა თქმა უნდა გადაეცეს სათანადო ორგანოს მათი დასჯის მიზნით, მაგრამ ეს არ კმარა. ასეთ შემთხვევებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თემაღმასკომებმა და საბჭოებმა, რომ ერთხელ და სამუდამოთ აილაგმონ ისეთი პირები, რომლებიც მშრომელთა კაპეიკებს უკანონოდ ითვისებენ და მით ზიანს აყენებენ ჩვენს სალაროებს.

შემდეგი საკითხი გახლავთ ჩვენი სოფლის ინდივიდუალური მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა. ამ საკითხს უდიდესი ყურადღებით ეპყრობა პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15-ე ყრილობამ მოგვცა მთელი რიგი დირექტივებისა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

როგორია ჩვენს მაზრაში კოლექტიური მეურნეობის მდგომარეობა?

შორაპნის მაზრაში არსებობს ათი კოლექტიური სოფლის მეურნეობანი, სადაც გაერთიანებულია 74 ოჯახი 497 სულით. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კოლექტივები აღმოცენებულია ყოველგვარ ხელმძღვანელობის გარეშე. ამ კოლექტივებში გაერთიანებულნი ფიქრობენ მხოლოდ საფონდო მიწების გადაცემაზე და გრძელვადიან კრედიტის მიღებით იყვნენ გამსჭვალულნი. რაც შეეხება სათანადო ორგანოების ხელმძღვანელობას. ასეთი ძალზე სუსტი იყო, ან სულ არ არსებობდა. ამიტომაა, რომ კოლექტივებს არა აქვთ სათანადო წესდება, რასაც თან მოჰყვა კოლექტივებში ზოგიერთ კულაკურ და ნახევრად შეძლებულ ელემენტების მოხვედრა. კოლექტივებს არ უწევდენ საჭირო აგრო.კულტურულ დახმარებას, და რაც უმთავრესია, ისინი საკრედიტო ამხანაგობებისათვის არ წარმომადგენენ იურიდიულ პირს და ვერ ღებულობდენ საჭირო კრედიტებს, არ ელეოდათ საჭირო მანქანა-იარაღები და სხვა. აგრეთვე სუსტი არის ადგილობრივ პარტ-უჯრედებისა და ა.ლ.კ.ქ. უჯრედების ხელმძღვანელობა.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ მაზრაში კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობის საქმეში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან ის ახალი საქმეა და მისი ნაწილობრივი შეფერხებაც კი შეიძლება დიდად საზიანო გამოდგეს. არსებული კოლექტ. გაძლიერებისათვის და ახალის დაარსებისათვის საიმედო საფუძვლის შესაქმნელად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

კოლექტივთა შემადგენლობის გადასინჯვა და ნახევრად კულაკურ და სხვა უცხო ელემენტების განდევნა, ახალ კოლექტივებში შემადგენლობის წინასწარი შერჩევა, უშუალო ხელმძღვანელობა საორგანიზაციო დარგში, კოლექტივებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებით სრული თუ არა ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფა, სათანადო სამეურნეო მანქანების და იარაღების მიწოდება, აგრონომიული დახმარების გაწევა, საკრედიტო ამხანაგობათა ქსელში გაერთიანება და გრძელვადიან შეღავათიანი სესხის მიცემა, ღარიბესი გლეხობის ფართო ფენების შემოკრება მათ გარშემო და ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებთან მჭიდროთ დაკავშირება.

პლენუმმა გულდასმით განიხილა აგრეთვე ჭიათურის სამრეწველო რაიონის მცხოვრებთა განცხადება, სადაც შავი ქვის წარმოების გამო, მოსახლეობა განიცდის წყლის უქონლობას და აგრეთვე მიწის სივიწროვეს.

გეგმის თანახმად საჭირო ხდება 120 კომლის დასახლებულ ადგილებიდან გადასახლება. ამ თავითვე კი აუცილებელია 30 კომლის გადასახლება, რომლების ეზოგარემო უკვე დამგრეულია; მათ უნდა აუნაზღაურდეს ზარალი. ამის გამო აღიძრა შუამდგომლობა საქართველოს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა სასწრაფო წესით გაეწიოს დახმარება აღნიშნულ რაიონის მცხოვრებთ. სახკომსაბჭომ აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა და წინადადება მიეცა მაზრაღმასკომს, რათა უკანასკნელმა ის გლეხები, რომელთა რიცხვი უდრის 30 კომლს, მოათავსოს მაზრის ფარგლებში თავისუფალ საფონდო ადგილებში (როგორიცაა საჩხერე და თერჯოლა).

აღნიშნულ საჭიროებისათვის გადაიდო საჭირო თანხა დაახლოებით 30.000 მან.

აგრეთვე დაქირავებულ უნდა იქნეს მატორებზე დროებით სამუშევრათ საჭირო პერსონალი. გლეხობისათვის წყლის მისაწოდებლად. რაც შეეხება წყლით საბოლოოდ უზრუნველყოფას, საკითხი დამუშავებულ უნდა იქნეს მომავალ საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, რომ 1928—29 წლის ბიუჯეტში გადაიდოს საჭირო თანხა.

ზემოთაღნიშნულ დადგენილებათა გატარება სრულიად უზრუნველყოფს სამრეწველო რაიონის მცხოვრებთა საჭიროებას, როგორც ამჟამად, ისე შემდეგში.

პლენუმმა აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრების მსვლელობის საქმეს, სადაც აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი თემაღმასკომები ვერ იჩენენ შესაფერ უნარს და ამ საქმეში მოიკოჭლებენ, როგორიცაა მერევის, ქვაცხის და ბოსლევის თემები, რომელთაც მიეცათ შესაფერი წინადადებანი. ამჟამად მთელ მაზრაში აკრეფილია შენაწერის 53 პროც., საერთო თანხა უდრის 62.000 მანეთს.

ზემოდაღნიშნულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად საჭიროა გადამჭრელი ზომები მიიღონ მაზრის ყველა თემაღმასკომებმა და თემსაბჭოებმა.

ს. ცუცქირიძე.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 25 იანვარს, საღამოს სრულ 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება მუშკორთა საქალაქო კონფერენცია ფაბკომებთან, ადგილკომებთან, საწარმოო ეკონომკომისიებთან და თბილისის კედლის გაზეთების მუშკორებთან ერთად. კრებაზე მოწვეულნი არიან აგრეთვე სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებიც. დღის წესრიგში სდგას ამხ. ს. ვარდანიანის მოხსენება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ.

კედლის გაზეთი „საყვირი“
(მთ. სახელოსნო)

გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშათა ცხოვრების განყოფილება უკვე შეუდგა თბილისის კედლის გაზეთების განხილვასა და მათი მუშაობის გამოკვლევას. ამ მიზნით „კომუნისტი“-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან შექმნილია კედლის გაზეთების სარეცენზიო ბიურო რომლის მიზანია შეისწავლოს თბილისის კედლის გაზეთების მდგომარეობა და გამოიმუშაოს ღონისძიებები კედლის გაზეთების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სარეცენზიო ბიურომ თავისი მუშაობა დაიწყო ამხ. სტალინის სახელობის რკ. გზის მთავარ სახელოსნოს კედლის გაზეთი „საყვირი“-ს განხილვით. განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ მთავარ სახელოსნოს კედლის გაზეთი, ერთი საუკეთესო გაზეთთაგანია რკ. გზის თბილისის უბანში; მასში მოთავსებულია უმთავრესად წარმოების სახის წერილები, მაგრამ ამავე დროს კედლის გაზეთს აქვს მრავალი ნაკლიც, რომელიც ხელს უშლის კედლის გაზეთის საქმიანობის გაუმჯობესებას.

მთავარი ნაკლი აღნიშნულ კედლის გაზეთისა ის არის, რომ კედლის გაზეთის გამოცემის საქმეში არ არიან ჩაბმული მთავარ სახელოსნოს ყველა მუშკორები. სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის განცხადებით, მიუხედავათ იმისა, რომ სახელოსნოში საკმაოდ ბევრი მუშკორები არიან, მაინც სარედაქციო კოლეგიას „ჯოხით“ უხდება მასალის მოგროვება. ამიტომ არის, რომ კედლის გაზეთში ერთი და იმავე ავტორის რამოდენიმე წერილია მოთავსებული.

სარეცენზიო ბიურომ ეს ახსნა იმით, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ხელმძღვანელობას უწევს კედლის გაზეთს. ადმინისტრაციაც თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევს კედლის გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს. ბიურომ ურჩია სარედაქციო კოლეგიას მჭიდრო კავშირი იქონიოს ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო ორგანოებთან და ან პროფესიონალურ ან პარტიულ ხაზით აიძულონ ადმინისტრაცია გასცეს ყოველ შენიშვნას პასუხი. ამ მიზნით სარედაქციო კოლეგიამ ხშირად უნდა დასვას მუშკორთა კრებაზე ადმინისტრაციის მოხსენებები.

გარდა ამისა როგორც გამოირკვა მუშკორები ძალიან ნაკლებად ესწრებიან საწარმოო თათბირებს, რაც ბიუროს აზრით გამოწვეულია სარედ. კოლეგიის არა სწორ მუშაობით. ამჟამად არჩეულია ახალი სარედაქციო კოლეგია).

რაც შეეხება გაზეთში მოთავსებულ წერილების სიდიდეს და კარიკატურებს, ამ მხრივაც საკმაოდ მოისუსტებს კედ. გაზეთი. ბიურომ ურჩია სარედაქციო კოლეგიას გაზეთში შემოიღოს განყოფილებები წერილების ხასიათის მიხედვით. აგრეთვე ბიურომ საჭიროდ სცნო მთ. სახელოსნოს კედლის გაზეთს კავშირი ჰქონდეს რომელიმე სამხედრო ორგანიზაციის კედლის გაზეთთან.

დასასრულ სარეცენზიო ბიურომ საჭიროდ სცნო ტექნიკურ საქმეების შესასრულებლად განთავისუფლებულ იქნას სამუშაოდან ერთი ამხანაგი. ეს აუცილებელი საჭიროა ისეთ დიდ წარმოებისათვის, როგორიც არის რკ. გზის მთავარი სახელოსნო. სარედაქციო კოლეგიამ ამის შესახებ შუამდგომლობა უნდა აღძრას ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებთან.

ვ.

—:—

ირგება და არ აძლევენ
(მილიცია)

თანახმად მილიციაში არსებულ წესებისა, თანამშრომელი ერთი თვის განმავლობაში დღიდან მისი სამსახურში მიღებისა, შეიძლება მოხსნილი იქნეს სამსახურიდან, როგორც უვარგისი და არ მიეცეს მას სალიკვიდაციო. ხოლო თუ თანამშრომელმა იმუშავა თვეზე მეტი, მაშინ მისი მოხსნა სალიკვიდაციოს მიუცემლად შეუძლებელია.

მაგრამ ეს წესი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. სინამდვილეში კი სულ სხვას ვხედავთ, სამსახურიდან იხსნება ბევრი, სალიკვიდაციო კი არავის ეძლევა. ამას წინათ სამსახურიდან მოხსნეს ბაკურაძე, რომელსაც არც გაფრთხილება და არც სალიკვიდაციო არ მიუღია. ასეთი მაგალითები მილიციაში ძალიან ბევრია. საჭიროა ადგილკომმა მოაგვაროს ის საკითხი.

მახვილი.

—:—

შრომის გმირი

რკინიგზაზე ამხ. ა. ს. აბრამოვი, ითვლება ერთ ძველ მუშად. მან პირველად სამსახური დაიწყო 1881 წელს უმცროსი ელმწერლის თანამდებობაზე. სამი წლის შემდეგ ე. ი. 1884 წ. ამხ. აბრამოვს ნიშნავენ რკ. გზათა ცენტრალურ სამმართველოს უფროს ელმწერლად, ხოლო 1894 წელს უკვე ასრულებს საელმწერლო კორესპონდენციის კონტროლიორის თანამდებობას.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ამხ. აბრამოვს ხსნიან სამსახურიდან, როგორც ეროვნებით სომეხს. რის გამო იგი სამუშაოდ მიემგზავრება ბაქოში. საქართველოს გასაბჭოებამდე ამხ. აბრამოვი ბაქოში მუშაობდა.

ამხ. ა. ს. აბრამოვი

შემდეგ მას ეძლევა საშუალება დაბრუნდეს თბილისში, სადაც 40 წელიწადი იმსახურა.

შესანიშნავია ის, რომ ამხ. აბრამოვის მიერ ელმწერლის და სადგურის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე მომზადებულია 1500 კაცზე მეტი. ამიტომ არის, რომ რკ. გზ. მოძრაობის და საელმწერლო დარგში მომუშავე თითქმის ყველა თანამშრომელი იცნობს ამხ. აბრამოვს, როგორც საუკეთესო ხელმძღვანელს და მასწავლებელს.

45 წლის გან[illegible]ლი და მუყაითი შრომისათვის ამხ. აბრამოვს სამმართველომ მადლობა გამოუცხადა და დახმარების სახით მისცა ერთი თვის ხელფასი.

დღეს ამხ. აბრამოვს უსრულდება 47 წელი ტრანსპორტზე ნაყოფიერი მუშაობისა. [illegible] მო საკავშირო და ელექტრო-ტექნიკურ სამსახურის მე-3 უბნის ადგილკომმა მას მიანიჭა შრომის გმირის სახელწოდება.

აღნიშნულ დარგის მუშა-მოსამსახურენი გულწრფელ სალამს უძღვნიან ამხ. აბრამოვს რკ. გზაზე ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობისათვის.

ლეო დეკანოსიძე.

მუშკოოპის რწმუნებულთა არჩევნები

მე-5 სტამბაში.

ს. მ. ე. ს. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბაში მუშკოოპის წევრთა საერთო კრებაზე მუშკოოპის გამგეობის წლიურ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დარახველიძემ, რომელიც ვრცლად შეეხო გამგეობის მუშაობას და აღნიშნა როგორც ნაკლი, ისე მიღწევები. კრებამ საჭიროდ აღიარა, რათა საპაიო გადასახადი 15 მანეთამდე გადიდდეს. კამათის შემდეგ კრებამ მუშკოოპის გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად. დასასრულ მუშკოოპის რწმუნებულად არჩეულ იქნა ამხ. მიხ. კახიანი და ინასარიძე; კანდიდატად ამხ. დონდუა.

დ—რე.

თუთუნის ქარხანა „პროლეტარის“ მუშებში.

სახელმწიფო მე-2 თუთუნის ქარხანა „პროლეტარის“ მუშკოოპის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. შიხინოვის მოხსენება მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, სადაც მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა. ორატორები აღნიშნავენ გამგეობის მუშაობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მუშკოოპის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. რწმუნებულებად არჩეულ იქნა 4 წევრი და 1 კანდიდატი.

ვ—ნი. ფ.

ტრამვაის ელსადგურში.

ტრამვაის ელსადგურის შენობაში შესდგა ამავე ელსადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მუშკოოპის ინსტრუქტორის ამხ. ნარსიას მოხსენება მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა გააცნო დამსწრეთ, თუ როგორ გაუმჯობესდა მუშკოოპის მუშაობა, რა ნაკლი და მიღწევები აქვს მას და სხვ. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ მუშკოოპის ზოგიერთი ნოქრები უდიერად და უხეშად ეპყრობიან მომხმარებლებს, სწორად არ იქნა განაწილებული მუშკოოპის კრედიტები და სხვ. რაზედაც უთითებენ, რომ მომავალში ასეთ მოვლენებსა და მახინჯ მხარეებს ადგილი არ ექნეს. ამას გარდა ორატორები საჭიროდ სცნობენ, რათა მუშკოოპის გამგეობამ გახსნას შეშის საწყობები. გამგეობის საქმიანობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად. რწმუნებულად არჩეულ იქნენ ერთი წევრი და ერთი კანდიდატი.

ელსადგურელი.

ა.-კ. ცაკში

ა.-კ. ცაკის მორიგი თავმჯდომარე

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ა.-კ. ცაკის მორიგი თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება დაეკისროს ამხ. მიხა ცხაკაიას.

ლუკაშინის განთავისუფლება თანამდებობიდან.

ა. კ. ცაკის დადგენილებით, ს. ლ. ლუკაშინი, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულია ა. კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან. ა. კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ დანიშნულია ამხ. ნაზარეტიანი.

წითელი არმიის 10 წლის თავისათვის.

ა. კ. ცაკის მიერ გამოყოფილია კომისია ამხ. შ. ელიავას, (თავმჯდომარე), ს. იაკუბოვის, ლევანდოვსკის, ვასილიევის, მ. გუსეინოვის, ს. შავერდოვის, ვოსკანოვის, სუტირინის, ლისოვსკის, ალ. გეგეჭკორის, სნეგიროვის და ეგიკოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულის გეგმა.

ძეგლი-ობელისკი „26 კომუნარს“

ა. კ. ცაკის მიერ გამოყოფილია კომისია ამხ. მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, ს. კახიანის, მ. გუსეინოვის და ს. იაკუბოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს გეგმა ა. კ. ცაკის მონაწილეობის შესახებ „26 კომუნართათვის“ მათი დახვრეტის ადგილზე ძეგლი-ობელისკის აგებაში.

კანდიდატის წამოყენება

ა. კ. ცაკის დადგენილებით, საკავშირო უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრათ ამიერ-კავკასიიდან გამოყოფილია ამხ. ი. ტალახაძე.

ამხ. სტურუას დანიშვნა

ამხ. ხანოიანის თბილისიდან გამგზავრების გამო, უპატრონო ბავშვთა დახმარების ფონდის კომისიის თავმჯდომარედ ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. სტურუა.

ა.-კ. ეკონომიურ საბჭოში

ბალანსების შედგენის კამპანია

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება 1926-27 წლის საბალანსო კამპანიის დამთავრების ვადის შესახებ. ვადათ დანიშნულია 1928 წლის 1-ლი მარტი.

გეოდეზიური კომიტეტის მუშაობა ამიერ-კავკასიაში

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო გავრცელებული იქნეს ამიერ-კავკასიაზე საბჭოთა კავშირის ს. მ. ე. ს. გეოდეზიური კომიტეტის მუშაობა; აღნიშნულმა კომიტეტმა უნდა შეისწავლოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორია კარტოგრაფიული და ტოპოგრაფიული მხრივ.

ა.-კ. წარმომადგენლობას დაევალა შუამდგომლობა აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე, რათა გამოგზავნილი იქნეს ამიერ-კავკასიაში გეოდეზიური კომიტეტის პასუხისმგებელი წარმომადგენელი, რომელმაც ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უნდა გამოიმუშაოს კომიტეტის განყოფილების მუშაობის ფორმები.

ქირა კომუნალური სამსახურისათვის

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაავალა კომისიას ამხ. ხუმარიანის, სმირნოვის და ივანოვ-კავკასკის შემადგენლობით ერთი თვის განმავლობაში დაამუშაოს პროექტი დადგენილებისა წითელი არმიისათვის გაწეულ კომუნალურ სამსახურის ტარიფების შესახებ; კომისიამ პროექტის შედგენის დროს უნდა იხელმძღვანელოს იმით, რომ სათანადო საკავშირო ორგანოების მიერ დაწესებული ნორმები არ შეიძლება შემცირებული იქნეს.

ამ დადგენილების დამტკიცებამდე წითელ არმიასთან ანგარიშის გასწორება უნდა ხდებოდეს შარშანდელი ნორმების მიხედვით.

მზადება 7 საათის სამუშაო დღისათვის

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად დაწყებულ მოსამზადებელ სამუშაოების შესახებ ს. მ. ე. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

— წინასწარი სამზადისი შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასასვლელად ს. მ. ე. ს. ფაბრიკა-ქარხნებში და წარმოებებში დაიწყო დეკემბრის პირველი რიცხვებიდან.

ამჟამად ჩვენს ამოცანას შეადგენს შევიმუშაოთ ვადები სხვადასხვა წარმოებებში შემცირებულ სამუშაო დროს შემოსაღებად.

შრომის ეკონომიკის განყოფილებამ დაამუშავა ცალკე კითხვათა ფურცლები, რომლებიც დაეგზავნა ს. მ. ე. ს. ქვემდებარე წარმოებებს: ფურცლების საშუალებით შეგროვებული იქნება მასალები, ამა თუ იმ წარმოების მიერ დამზადებულ პროდუქციის რაოდენობაზე, ამ პროდუქციაზე ბაზრის მოთხოვნილების, სამუშაო დროის გაცდენისა და სხვ. შესახებ. ამასთანავე გამორკვეული იქნება ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენ ცვლად უნდა იყოს შემოღებული მუშაობა ამა თუ იმ წარმოებაში.

ყველა აღნიშნულ ცნობათა შეგროვებით გამოირკვევა აგრეთვე უმუშევრობასთან ბრძოლის პერსპექტივები, ვინაიდან შემცირებულ სამუშაო დროის შემოღებასთან დაკავშირებით, წარმოებებში საჭირო გახდება მუშა-ხელის რიცხვის გადიდება.

7 საათის სამუშაო დღესთან დაკავშირებულ ცნობებისა და მასალების შეგროვება დასრულდება თებერვალში.

სას.-სამ. კოოპერაციის გამოკვლევის შედეგი

ამიერ-კავკ. მ. გ. ინსპექციამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობისა და მისი მუშაობის შედეგების გამოკვლევის მიხედვით გამოიმუშავა ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციულ და ფინანსიურ განმტკიცებისათვის. ამ მიზნით მ. გ. ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ სცნო წინადადება მისცეს რესპუბლიკების სას.-სამ. კოოპერაციის გამგეობებს შესამე კვარტალის დამლევისათვის მოახდინონ სპეციალურ ამხანაგობათა ქსელის გადასინჯვა. ამ გადასინჯვისა და ახალ ამხანაგობათა მოწყობის დროს იხელმძღვანელონ მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებით, რომელიც საჭიროდ აღიარებს ორგანიზაციული მუშაობის გაერთიანებას და თავის მოყრას სასოფლო მეურნეობის მთავარ დარგებში. გადასინჯვის შემდეგ საინსტრუქტორო აპარატების საშუალებით უნდა მოხდეს დატოვებულ ორგანიზაციების ბალანსების ანალიზი და გაწმენდა. წინასწარ ამხანაგობები უნდა დანაწილდეს ჯგუფებად, ფინანსიური სიძლიერის მიხედვით და უნდა ჩატარდეს ხარჯების მაქსიმალური შემცირება.

ამავე დროს სას. სამ. კოოპერაციის კავშირებს წინადადება მიეცათ მიწსახკომებთან ერთად გამიჯნონ კოლ. მეურნეობაზე და კომ. მეურნეობაზე თავიანთი ხელმძღვანელობის კონკრეტული ამოცანები და დაამუშაონ სატრაქტორო ბაზების განაწილების და სამანქანო ამხანაგობების მოწყობის წესი. საჭიროდ არის აგრეთვე ცნობილი ძირითად ამხანაგობათა და თვით კავშირების აგრიკულტურულ წარმოებათა გადასინჯვა იმ წარმოებათა ლიკვიდაციის მიზნით, რომელნიც დაკავშირებულნი არ არიან ამხანაგობათა ძირითად საქმიანობასთან და რომელთა მოვლა-პატრონობა მათ ძალებს აღემატება.

გარდა ამისა მ. გ. ინსპექციამ წინადადება მისცა სას.-სამ. ბანკებს გამოიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებები კრედიტების მიწოდების გეგმის სისწორით შესადგენათ. დააწესონ მიზნობრივი სესხის მიმღებთათვის სესხის რაოდენობა და მინიმალური ვადები. დაამუშაონ ღონისძიებები სესხის თავის დროზე გადაუხდელობის და არგადამხდელთა წინააღმდეგ მოაგვარონ ძირითად ამხანაგობებში კონტროლი ცალკე სოფლების დასაკმაყოფილებლად გაღებულ სესხის თანაბრად განაწილებაზე, მოაწესრიგონ მიმდინარე წელსვე ძირითად ამხანაგობათა ანგარიშ-წარმოება, მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება კომუნებისა და არტელების ანგარიშ-წარმოებას, რომლის მოუგვარებლობა იწვევს მრავალ ბოროტმოქმედებას და ამ ორგანიზაციათა დაშლას.

ამასთან ერთად კოლეგიამ წინადადება მისცა ვაჭრობის სახ. კომისარიატს და მის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს მიიღონ ზომები, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადება და მოწოდება ხდებოდეს სას. სამ. მეურნეობის კოოპერაციის ქსელის საშუალებით. ამისათვის საჭიროა მოისპოს შუამავალი რგოლები და განმტკიცდეს უშუალო კავშირი სას.სამ. კოოპერაციასა ერთის მხრივ და სახელმწიფო მრეწველობასა და სამომხმარებლო კოოპერაციას შორის მეორე მხრით. კერძოდ, წინადადება ეძლევათ გამოარკვიონ კერძო პირთა მონაწილეობის მიზეზები სას. სამ. პროდუქტების გასაღება-მიწოდების საქმეში, გამოააშკარაონ დასამზადებელი ოპერაციების დეფექტები და მიიღონ ზომები მათ გამოსასწორებლად.

თათბირი ხალიჩების წარმოების შესახებ

21-დან 23 იანვრამდე ა. კ. ვაჭრობის კომისარიატში მუშაობდა თათბირი ხალიჩების წარმოების შესახებ. თათბირზე მონაწილეობას ღებულობდენ: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სარეწაო კოოპერაციის ცენტრების და ძირითად ერთეულების, თურქმენისტანის სარეწაო კოოპერაციის ცენტრის და ხალიჩების მწარმოებელთა წარმომადგენლები.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. ა. ზეჯნადინმა თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ხალიჩების წარმოების გაფართოების მნიშვნელობა ჩვენი ექსპორტისათვის. შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები ხალიჩების ექსპორტის მდგომარეობისა, ა. კ. სახვაჭრობის მუშაობის და ხალიჩების წარმოების გასაფართოებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ.

დასასრულ ხალიჩების წარმოების არსებულ მდგომარეობის შესახებ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

მოხსენებების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირის მიერ არჩეულ იქნა ორი კომისია:

1) საწარმოო, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებები ხალიჩების მხატვრული ღირსებების ამაღლებლათ, ხალიჩებისათვის საჭირო მასალების ფასების შესამცირებლად და ხალიჩების ქსოვის დასაყენებლათ საზღვარგარეთის ბაზრის მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

2) საორგანიზაციო, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს ა. კ. სახ. ვაჭრობის და სარეწაო კოოპერაციის ურთიერთობა ხალიჩების ადგილზე დამზადების საქმეში და ხალიჩების ქსოვის ტექნიკურად გაუმჯობესების ფორმები.

სასოფლო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისია შეუდგა სასოფლო მეურნეობის 5 წლიანი (მიმდინარე წლის ჩათვლით) საპერსპექტივო გეგმის შედგენას. გეგმის უნაკლოდ და ფართედ შედგენის მიზნით, საგეგმო კომისიამ მიწსახკომის ცალკე განყოფილებებს დაავალა დაჩქარებით წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის პროგრამა.

მემინდვრეობის, თესლის დამზადების, მეთამბაქოობის, მებამბეობის, სუბტროპიკულ მცენარეების მეურნეობის, მეღვინეობა-მევენახეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის და მავნებლებთან ბრძოლის 5 წლიანი პროგრამის შემუშავება დაევალა სასოფლო მეურნეობის სამმართველოს გამგეს ამხ. დ. გედევანიშვილს, ზოოტექნიკურ განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ნიჟარაძეს დაევალა მესაქონლეობის განვითარების გეგმის შედგენა.

აგრო-დახმარების და საცდელ მუშაობის გეგმის შედგენა დაეკისრათ ამხ. ვ. ხოფერიას და ა. კაკაბაძეს.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გეგმის შედგენა დაევალა პროფ. კონ. ამირეჯიბს; საბეითლო საქმის და მეცხვარეობის გეგმის შედგენა—ვ. ახმეტელს და ა. ხამაშურიძეს; მიწად-მოწყობის, სახალშენო და საჩივრების საქმის გეგმის შედგენა —ვ. გოგოლაძეს, მარუაშვილს და რომანიშვილს. დასახელებულმა პირებმა გეგმები უნდა წარუდგინონ საგეგმო კომისიას 10 თებერვლამდე, რის შემდეგაც საგეგმო კომისია შეადგენს სოფლის მეურნეობის 5 წლიან საპერსპექტივო მთლიან გეგმას.

მუშათა საბინაო კოოპერაცია

შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა კოოპერატიული საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ცნობით, მთელს საქართველოში მუშ. საბინაო კოოპერაციაში გაერთიანებულია 975 წევრი; აქედან თბილისში 765, ხოლო პროვინციაში—210 კაცი. ამ შორის მუშაა—473 კაცი, მოსამსახურემათ შორის მუშაა—473 კაცი, მოსამსახურე—502 კაცი.

კოოპერატიულ ამხანაგობათა საკუთარი თანხები თბილისში უდრის—204.899 მანეთს, ნასესხები თანხები—857.225 მანეთს.

პროვინციაში: საკუთარი თანხები—43.578 მანეთს, ნასესხები—190.634 მანეთს. ამხანაგობების თანხები სულ უდრის 1.296.336 მანეთს.

მუშათა საბინაო კოოპერაციის მიერ თბილისში აგებულია—73 სახლი, 115 ბინით და 264 ოთახით, ხოლო შენდება 18 სახლი, 105 ბინით და 315 ოთახით.

პროვინციაში დამთავრებულია 16 სახლი, 34 ბინით და 83 ოთახით; შენდება 12 სახლი 24 ბინით და 64 ოთახით.

ამრიგად სულ აშენებულია 89 სახლი, 149 ბინით და 347 ოთახით; შენდება—30 სახლი—125 ბინით და 379 ოთახით.

საჩივრების წიგნები

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 7 სექტემბრის დადგენილების თანახმად ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულმა და კერძო სავაჭრო და სავაჭრო-სამრეწველო წარმოებებმა და აგრეთვე საქონლის ბირჟებმა და ბაზრის მოვაჭრეთა კომიტეტებმა ა. წ. 25 იანვრიდან უნდა იქონიონ საჩივრების წიგნები, რომლებშიაც კლიენტები შეიტანებენ საჩივრებს და ყოველგვარ სურვილებს.

რა მიზანი ჰქონდა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, როდესაც შემოიღო საჩივრების წიგნები?

ჯერ ერთი, ბრძოლა იმ ბოროტმოქმედებასთან, დეფექტებთან და სხვა მტკივნეულ მოვლენებთან, რომლებსაც ადგილი აქვს სავაჭრო აპარატის მუშაობაში და თვით ვაჭრობაში, მეორე—საზოგადოებრივ კონტროლის გატარება სავაჭრო და სავაჭრო-სამრეწველო წარმოებებზე, სახელმწიფოებრივი იქნება ეს წარმოებები, კოოპერატიული თუ კერძო. თვითეულ მოქალაქეს ეძლევა უფლება ჩასწეროს წიგნში ყველა ის მტკივნეული, უარყოფითი მოვლენები, რომლებსაც შეამჩნევს ის სავაჭრო აპარატში. ასეთივე უფლება ეძლევა საქონლის ბირჟების კლიენტებს და კერძო მოვაჭრეებს, რომლებიც გაერთიანებული არიან ბაზრის კომიტეტებში. საჩივრების წიგნები ინახება მნახველთათვის თვალსაჩინო ადგილზე. იმ ადგილის ზემოთ, სადაც არის მოთავსებული საჩივრის წიგნი, გამოკიდებული უნდა იქნეს ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 7 სექტემბრის დადგენილება № 22 და აგრეთვე პლაკატი იმის აღნიშვნით, თუ სად ინახება საჩივრების წიგნი და ვისგან შეიძლება მისი მიღება.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის დავალებით „ზარია ვოსტოკა“-ს გამომცემლობამ გამოსცა საჩივრების წიგნები დაწესებულ ფორმით. როგორც განაცხადეს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში, ეს წიგნები სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც წარდგენილი აქვს მათ.

სად ხდება საჩივრების წიგნების რეგისტრაცია?

სამაზრო ქალაქებში მაზრის აღმასკომებთან არსებობს შინვაჭრობის კომისიები. ინსტრუქციის თანახმად მათ ეკისრება საჩივრების წიგნების რეგისტრაცია. თემებში წიგნების რეგისტრაცია ხდება სათემო საბჭოებში. თბილისში საჩივრების წიგნების რეგისტრაცია ხდება ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიაში, რომელიც არსებობს თბილისის აღმასკომთან, ოთახი № 236. საჩივრების წიგნებს თან ერთვის ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ზემოხსენებული დადგენილება, დაბეჭდილი ქართულ და რუსულ ენებზე და იმის მაჩვენებელი, თუ ვის აქვს წიგნი.

საბინაო მშენებლობის გეგმები

ამიერ-კავკასიაში წარმოებულ მუშათა საბინაო მშენებლობის მოწესრიგების და აღრიცხვის მიზნით ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება გეგმების სათანადო ორგანოებში წარდგენისა და მუშათა საბინაო მშენებლობის აღრიცხვის შესახებ.

ამ დადგენილების თანახმად, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებმა და წარმოებებმა, სააქციო საზოგადოებებმა, კოოპერატიულ ორგანიზაციებმა და აღმასკ., რომლებიც მუშათა ბინების მშენებლობას აწარმოებენ, უნდა წარუდგინონ განსაზღვრული ვადებში რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა ბინების მშენებლობისათვის ხელის შემწყობ კომიტეტებში საბინაო მშენებლობის საორიენტაციო და საოპერაციო გეგმები, და აგრეთვე ანგარიში ამ გეგმების შესრულების შესახებ.

გეგმების წარსადგენად დაწესებულია შემდეგი ვადები. საორიენტაციო გეგმებისათვის—1-ლი აგვისტო, საოპერაციო გეგმებისათვის—1-ლი ოქტომბერი და ანგარიშებისათვის შემდეგი საოპერაციო წლის 1-ლი იანვარი.

სასკოლო აღწერა

აღწერის შედეგები

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოში მიღებულ მასალის მიხედვით:

სენაკის მაზრაში არსებობს 136 შრომის სკოლა 535 მასწავლებლით და 17.655 მოსწავლით. 6 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა 17 მასწავლებლით და 290 მოსწავლით; 9 პროფგანათლების დაწესებულება (ტექნიკუმები, პროფსკოლები, კურსები) 46 მასწავლებლით და 679 მოსწავლით.

აღნიშნული დაწესებულებები ყველა ქართულია.

შორაპნის მაზრაში: 158 შრომის სკოლა 537 მასწავლებლით და 18.589 მოსწავლით. 6 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა 21 მასწავლებლით და 335 მოსწავლით. 10 პროფგანათლების დაწესებულება 25 მასწავლებლით და 440 მოსწავლით. 1 შრომის სკოლა 33 მოსწავლით ბერძნულია, დანარჩენი სკოლები ყველა ქართულია.

საქართველოს რესპუბლიკის რკინისგზის სექცია 20 შრომის სკოლა 397 მასწავლებლით და ინსტრუქტორით და 9.312 მოსწავლით.

ქრონიკა

ინტერესი 10 პროც. სესხისადმი

20 დან 24 იანვრამდე სორმოვოში მიმდინარეობდა 1927 წლის სახელმწიფო 10 პროცენტიანი სესხის მეოთხე ტირაჟი. ამ ხნის განმავლობაში თბილისში ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება აღნიშნული სესხის ობლიგაციებზე. 4 დღის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის საოლქო კანტორამ გაასაღა 40.000 მანეთის ობლიგაციები.

რემედასის კვირეული

რემედასის კვირეულის მეორე დღეს ქ. თბილისში ყულაბებით შეგროვილი იქნა 827 მან. 36 კაპ. სულ შეგროვილია ჯერ-ჯერობით 3.217 მან.

რემედასის უჯრედებში ხელის მოწერით შემოწირულებების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს.

მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევა

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს.

დღევანდლამდე ჩატარებულია 15 კრება.

კრებებზე ისმენენ მუშკოოპის გამგეობის საანგარიშო მოხსენებებს. დამსწრეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ გამგეობის მუშაობის შეფასებაში.

„ზაკმიასოტორგი“-ს გამოკვლევა

სააქციო საზ. „ზაკმიასოტორგი“-ს აპარატის რაციონალიზაციის და ხორცის საცალო ფასების დაკლების მიზნით, ა.-კ. სახვაჭრობის კოლეგიამ დაადგინა გამოიკვლიოს საზოგადოება „ზაკმიასოტორგი“-ს მუშაობა. გამოკვლევა უნდა დამთავრდეს 15 თებერვლისათვის. გამომკვლევ კომისიების დასკვნა დასამტკიცებლად წარედგინება ა.-კ. სახვაჭრობის კოლეგიას.

მუშკოოპის რწმუნებულთა გადარ[illegible]

ღვინის გატანა შორეულ აღმოსავლეთში

სახალხო მამულების ტრესტმა ამას წინედ შორეულ აღმოსავლეთში სასინჯათ გაიტანა თავის მამულში დამზადებული ღვინო, რომელიც ცოტა ხანში სავსებით გაიყიდა.

წინასწარი გამოკვლევით, შორეულ აღმოსავლეთში დიდი მოთხოვნილებაა საქართველოს ღვინოზე, ამიტომ სახ. მამულების ტრესტმა გააგზავნა ღვინის მეორე პარტია, აქედან ერთი ნაწილი ქ. ხარბინში. ღვინის მეორე პარტიაც დიდის წარმატებით და სულ მოკლე ხანში იქნა გასაღებული. სახალხო მამულების ტრესტი ამ ჟამად ამზადებს ღვინის დიდ პარტიას შორეულ აღმოსავლეთში გასატანად.

სახალხო მამულების ტრესტი ვლადივოსტოკში ხსნის ღვინის მთავარ საწყობს.

ამხ. როტფილდის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კონსული ქ. ართვინში (ოსმალეთი) ამხ. ი. როტფილდი.

სადესერტო ღვინო „იზაბელლა“

სახალხო მამულების ტრესტის მთავარ საწყობში დამზადებულ იქნა სანიმუშო სადესერტო ღვინო „იზაბელლას“ ჯიშის ღვინისაგან ცდებმა ბრწყინვალე შედეგები გამოიღო და სახ. მამულების ტრესტმა გადასწყვიტა დასავლეთ საქართველოში შეიძინოს აღნიშნული ჯიშის ღვინოები და მისგან დაამზადოს გასასაღებლად სადესერტო ღვინო.

დამსახურებულ მასწავლებლის იასონ კაპანაძის იუბილე

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის შორაპნის სამაზრო გამგეობამ გადასწყვიტა დამსახურებულ მასწავლებლის იასონ ლუკას ძე კაპანაძეს გადაუხადოს სამასწავლებლო ასპარეზზე 51 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილე.

იუბილეს მოსაწყობად დაარსებული იქნა საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ი. ბურჯანაძე (თავმჯდომარე), ა. კაპანაძე, ა. ბრეგვაძე, დ. ინოზემცევი, ს. აბულაძე, დან. ჯორბენაძე (მდივანი).

იასონ კაპანაძე ამჟამად ღრმად მოხუცებულია და ცხოვრობს სოფ. ბოსლევში (შორაპნის მაზრა).

საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით, მისი იუბილე გადახდილი იქნება კვირას, 29 იანვარს ქ. ჭიათურაში მუშათა კლუბში.

თბილისის აღმასკომში

◆ ავიაქიმის საზ-ბას დახმარების სახით გადაეცა 255 მანეთი.

◆ ნაძალადევში აბანოს ასაგებად კომუნ. მეურნეობას ნება მიეცა კომუნალურ ბანკიდან სესხად აიღოს 80 ათასი მანეთი.

◆ წითელი არმიის 10 წლის და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის დღესასწაულების ჩასატარებლად აღმასკომთან დაარსდა კომისია ამხ. ლ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით.

მიწსახკომში

◆ ღვინის წვენი. სახ. მამულების ტრესტის ღვინის მთავარ სარდაფში დამზადებული იქნა ღვინის წვენის დიდი რაოდენობა. წვენი ახლო ხანში გაიყიდება ბაზარზე.

◆ მეფუტკრეობა. სოფ. წითელ-წყაროში და ბოგდანოვკაში (სიღნაღის მაზ.) მეფუტკრეობის კურსების გასახსნელად მიწსახკომმა მიავლინა აგრონომი ყანწაველი.

◆ ჯიშიან საქონლის მოსაშენებელ სადგურის მოსაწყობათ გუდაურში, გადადებული იქნა 30 ათასი მანეთი.

სასამართლო

ერთი მატორის საიდუმლოება

მოქ. იაკობ ზასიაცკი არის ამ ამბის მთავარი „გმირი“.

1918 წლიდან 23 წლამდე ზასიაცკი მსახურობდა თბილისის აღმასკომის მამულების წყალ-საქაჩავ მატორზე, როგორც მექანიკოსი. ზასიაცკის ხელში იყო მამულებისათვის წყალის მიწოდების საქმე.

1923 წლის მიწურულში ზასიაცკი მოხსნეს სამსახურიდან, როგორც არასაიმედო პიროვნება და მის მაგიერ მოიწვიეს მემანქანე სანიკიძე. სანიკიძის თანაშემწედ დარჩა მოხსნილ ზასიაცკის ყოფილი თანაშემწე გრიგოლ ლევენეცი.

დაიწყო 1924 წლის სამუშაო სეზონი მამულებში. სანიკიძე უტრიალებს მატორს, დღე და ღამეს აწყობს, თავს ევლება, მაგრამ მატორი არ იძვრის, მატორის ამუშავებას არაფერი ეშველა.

არ დაივიწყოთ, რომ დათხოვნილი ზასიაცკი და მისი ყოფილი და სანიკიძესთან „მემკვიდრეობით“ დარჩენილი თანაშემწე ლევენეცი ცხოვრობენ ერთად, წყალის საქაჩავ სამანქანო განყოფილების გვერდით. მათ ოთახს გასავალი აქვს სამანქანო განყოფილებაში, ასე რომ თვითეულ მათგანს, როცა მოესურვება, შეუძლიათ მატორის „დათვალიერება“.

— არაფერი არ გამოგვივა, თუ ზასიაცკის არ დაუძახეთ, მან იცის ამ მატორის საიდუმლოება, სულ ტყუილია ჩვენი ცდა,—ლაპარაკობს თანაშემწე ლევენეცი.

— რას ლაპარაკობ, კაცო, მატორზე პირველად ხომ არ ვმუშაობ, ზასიაცკი სასწაულმოქმედი ხომ არ არის?—უკმაყოფილო კილოთი უპასუხებს სანიკიძე.

— მოდი დავდოთ სანაძლეო! მოვიყვანოთ ზასიაცკი და თუ მაშინვე არ აამუშაოს მატორი, მე რაზედაც გინდა მზად ვარ,—ლაპარაკობს დაჟინებით სანიკიძის „თანაშემწე“ და ზასიაცკის ერთგული მეგობარი ლევენეცი.

დადგა თბილისში სიცხე. იღუპება ბოსტნები და ბაღები უწყლობით. გადახმა ყველაფერი.

მამულის გამგე იძულებულია დაუძახოს ზასიაცკის.

მოვიდა ზასიაცკი. მატორი ამუშავდა. წყალი უხვად მისდის მამულს.

შვიდი დღე დარჩა ზასიაცკი მატორთან და ამ ხნის განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობდა მატორი.

ერთი კვირის შემდეგ ზასიაცკის მისცეს სათანადო გასამრჯელო და გაისტუმრეს.

გათენდა მეორე დღე, სანიკიძე მიდის მატორთან. უტრიალებს, მაგრამ, არ შეგჭამოთ ჭირმა, მოტორი არ იძვრის.

— ზასიაცკის გარდა, მოტორს ვერავინ ვერ აამუშავებს, დაუძახოთ ისევ ზასიაცკის, თორემ არაფერი არ გამოვა,—კვლავ იმეორებს „თანაშემწე“ ლევენეცი, რომელიც ხელსაც ანძრევს მოტორის ასამუშავებლად და ყოველთვის „უგუნებოდ“ არის.

დაიბადა ეჭვი ლევენეცის კეთილსინდისიერების შესახებ. შეატყვეს ყალთაბანდობა და მოხსნეს სამსახურიდან.

ლევენეცის მაგიერ მოწვეულ იქნა ნიკოლოზ ბარსეგოვი. ბარსეგოვსაც ზასიაცკისაკენ ეჭირა თვალი.

მოტორი არ მუშაობს. მოტორს არაფერი უშველა. ჩავარდა მამულის გამგე საგონებელში.

ამ დროს თვითონ ზასიაცკიმ „კეთილ ინება“ და მიმართა გამგეს ასეთი წინადადებით:

— თუ ჩემთან დასდებთ ხელშეკრულებას, გაძლევთ პირობას, რომ მომავალი სეზონის განმავლობაში ჩინებულად ვამუშავებ თქვენს მატორს და არ მოგაკლებთ წყალს მამულისათვის.

მეტი რა ჯანი იყო. შეეკრენ ხელშეკრულებით ზასიაცკის.

მატორი ამუშავდა. ზასიაცკი არც კი შედის სამანქანო განყოფილებაში. მატორზე მან დააყენა სამუშაოდ მეგობრები ლევენეცი და ბარსეგოვი.

თურმე ლევენეცსაც და ბარსეგოვსაც შეუძლია მატორის ამუშავება, მაგრამ ამას არ ჩადიან „წინანდელ ამხანაგური სოლიდარობისა“ სათანადო ჯილდოს მოლოდინში.

გავიდა სეზონი. ხელშეკრულებას გაუვიდა ვადა. მატორიც გაჩერდა.

— რა ჯანდაბა მოსდის, რა გაჩნდა ეს მატორი.. ნუ თუ ვერ ვიშოვით ისეთ კაცს, რომელიც გამოარკვევს მიზეზს, ნერვიულობს გამგე.

მოიწვიეს გამოცდილი სპეცი ვიტკოვსკი. ეს ამბავი ელდასავით მოხვდა გულში ზასიაცკის.

— ოღონდ შენ ნუ ჩაერევი ჩემს საქმეში და რაც გინდა დამავალე, რაც გინდა გასამრჯელოთ მიიღე, მე ანგარიშები მაქვს გასასწორებელი ამ ხალხთან. არ დამღუპო, არ გამოაშკარაო საიდუმლოება, სამაგიერო პატივისცემა ჩემზე იყოს,—ელაპარაკება ზასიაცკი ვიტკოვსკის.

— შენც არ მომიკვდე, არაფრის გულისათვის არ ჩავიდენ ასეთ სისაძაგლეს, მე მოწვეული ვარ, როგორც სპეცი და ვერ ვუღალატებ ჩემს მოვალეობას,—გაისტუმრა ვიტკოვსკიმ ზასიაცკი.

ამ ამბავის შემდეგ ზასიაცკიც და ლევენეციც გასახლებულ იქნენ სამანქანო განყოფილების შენობიდან.

სპეცი ვიტკოვსკი შეუდგა მიზეზების გამორკვევას, აღმოაჩინა, რომ როცა ზასიაცკის მატორს მოაშორებდენ, ის მანქანის ერთ ნაწილს („ექსცენტრიკს“) უკულმა მიამაგრებდა დანარჩენ ნაწილებთან და მატორის ამუშავება შეუძლებელი ხდებოდა.

გამომჟღავნდა საიდუმლოება. ზასიაცკი და ლევენეცი მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს. მაგრამ სამანქანო განყოფილებაში ზასიაცკის კიდევ ჰყავდა თავისი აგენტი—ბარსეგოვი.

ბარსეგოვიც აფუჭებდა მატორს და ხელს უწყობდა მის შეჩერებას.

ერთ დღეს ბარსეგოვმა, სხვა რომ ვერაფერს გახდა, რეზინი ჩასტენა მატორის მილში, რამაც შეაფერხა მატორის მუშაობა. ბარსეგოვიც დააპატიმრეს.

საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო-საქალაქო სასამართლომ.

იაკობ ზასიაცკის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით, გრიგოლ ლევენეცს და ნიკოლოზ ბარსეგოვს—თითო წლით.

მსჯავრდადებულთ შეეფარდათ ამნისტია.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. კალანდაძე, სახალხო მსაჯულები: ხონელაშვილი და გოგელია. პროკურორი—გაბუნია, მდივანი—ხებუა.

შემთხვევები

მცხეთაში მომხდარ უბედური შემთხვევის მიზეზების გამორკვევა

გუშინ, მეორე უბნის სახალხო გამომძიებელმა ს. თაბაგარმა დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეები.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ შოფერს ავტომობილი მიჰყავდა დიდი სისწრაფით.

გამოირკვა აგრეთვე, რომ თამარა გარსევანიშვილი (9 წლისა) მოჰყვა ავტომობილის წინა ბორბლების ქვეშ და იქვე გარდაიცვალა.

დადასტურდა, რომ შოფერმა ვართანოვმა გარსევანიშვილს არ მისცა გამაფრთხილებელი სიგნალი.

შოფერი ვართანოვი დაპატიმრებულია და მისი გასამართლება იქნება საზოგადო-საჩვენებელი ხასიათის.

თვითმკვლელობა

გუშინ, დღისით ქამრით თავი ჩამოიხრჩო საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა ალექსი მარკოზის ძე ნიკიტენკომ (46 წლისა).

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა გამომძიებელი ლ. ვაჩნაძე და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები.

სამი ბავშვის დაკარგვა

17 იანვარს მანგლისის საბავშვო სანატორიუმიდან დაიკარგა სამი ბავშვი: სამსონ ილურიძე, 13 წლისა; შიო ლრაპიშვილი, 12 წლისა და მიშა ქართველიშვილი, 13 წლისა.

ნაქურდალი ნივთების პოვნა

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ნაბადი, ქალის ტანსაცმელები და საოჯახო ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, გ. თუხარელთან.

ქურდობა

გუშინ, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ან. გეგენავას ბინა (სამხედრო ქ. № 3); წაიღეს 700 მანეთის საოჯახო ნივთები.

უბედური შემთხვევები

გასული წლის განმავლობაში ქალაქში ადგილი ჰქონდა 54 უბედურ შემთხვევას.

ავტომობილისა და ტრამვაის დაჯახების გამო გარდაიცვალა 6 კაცი, მძიმედ დაშავდა 17 კაცი, მსუბუქად 13.

ამ ხნის განმავლობაში დაპატიმრებული იქნა 32 შოფერი და ვატმანი.

ავტომობილების კატასტროფის მიზეზი
(საუბარი ამხ. ხმალაძესთან)

უკანასკნელ ხანებში ქალაქში გახშირდა ავტომობილების კატასტროფების რიცხვი. კატასტროფების მიზეზების შესახებ აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსმა ამხ. ხმალაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

ავტომობილების კატასტროფების გახშირების მიზეზია შოფერთა დაუდევრობის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიუღებლობა. მართალია, უბედური შემთხვევების დღეს შოფერებს აპატიმრებენ, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ უშვებენ თავდების ქვეშ. საჭიროა საქმის გარჩევამდე დაპატიმრებულ შოფერის მიმართ აღკვეთი ზომა არ იქნას შეცვლილი.

ხშირია აგრეთვე შოფერების მიერ ავტომობილთა მიმოსვლის სავალდებულო წესის დარღვევა.

ავტომობილების კატასტროფას იწვევს აგრეთვე ფილაქნებზე მოძრაობის წესების დარღვევა. ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე გადასვლის წესი დღემდე მოწესრიგებული არ არის.

ვატმანები და კონდუქტორები არ ადევნებენ თვალყურს ტრამვაიზე მოქალაქეთა მიერ სავალდებულო წესების დარღვევას.

კატასტროფას ხელს უწყობს აგრეთვე შოფერების დატვირთვა ზედმეტი სამუშაოთი. არ არის დამყარებული კავ[illegible] ავტ[illegible]ყოფილებასა და აღმასკომს შორის. დაპატიმრება და დაჯარიმება არ უნდა წარმოადგენდეს ერთად ერთ საშუალებას კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლაში. საჭიროა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის ჩაბმა ამ საქმეში.

კატასტროფას იწვევს აგრეთვე შოფერთა შორის გავრცელებული ლოთობა, რასაც მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა პასუხისგებაში მყოფ შოფერებს ერთი წლით ან ექვსი თვით წაერთვას უფლება შოფერის თანამდებობაზე მუშაობისა. უზენაეს ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ეს გარემოება და გამოსცენ სათანადო დადგენილება.

ჩემს მიერ გაცემულია განკარგულება, რათა კომინტერნის ქუჩაზე ავტომობილებმა წინ არ გაუსწრონ ტრამვაის ვაგონებს, აგრეთვე შოფერებს ეკრძალებათ ხსენებულ ქუჩაზე ავტომობილების დიდი სისწრაფით წაყვანა. დამნაშავენი პასუხს აგებენ ადმინისტრატიული წესით.

ქალაქის ცენტრალურ ადგილებზე, სადაც დიდი მოძრაობაა—ამიერიდან იმორიგებენ რაიონის უფროსი და მისი თანაშემწე.

დასასრულ, ამხ. ხმალაძემ განაცხადა, რომ ზემო აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება საგრძნობლად შეამცირებს ავტომობილების კატასტროფის რიცხვს.

ხელოვნება

დამსახურებულ მსახიობის ნ. ა. გრიქუროვას საღამო

(კონსერვატორიის დარბაზი)

ყველა თანამედროვე სერიოზულ კონცერტს ახასიათებს სამი აუცილებელი ელემენტი: საორგანიზაციო მხარე, მხატვრული მიზანი და ამ მიზნის განხორციელება. პირველი ორი ელემენტი სრულებით დამოკიდებულია კონცერტის ხელმძღვანელის ინიციატივისაგან, ხოლო მესამე აღმსრულებელთა პირად მომზადებისა და ნიჭიერებისაგან.

გრიქუროვას საღამო ა. წ. 23 იანვარს სახ. კონსერვატორიის დარბაზში, იმის მაჩვენებელია, თუ რა მოაქვს პირველ ორი ელემენტის სისუსტეს. კონცერტის პროგრამამ ვერ შეასრულა თავისი დაპირებანი. 15 ნომერიდან შესრულებული იყო მხოლოდ 10, ხუთი საუკეთესო ნომერი ნიჭიერ მსახიობების დანელიანის, მესხიაევის და ვენაძის მონაწილეობით სრულიად გამოტოვებული იყო. მეორე მხრივ ადგილების თითქმის ზეცამდე აწეული ფასება, სრულიად მიუწვდომელია მშრომელი მასისათვის ყოველივე ეს საკმარისად ამტკიცებდა კონცერტის საორგანიზაციო მხარის დაშორებას ფართო მასებისაგან. კონცერტის მხატვრული მიზანი კი დარჩა ჩვენთვის ფრიად გამოურკვეველი, ვინაიდან თვით პროგრამა ამაზე არავითარ პასუხს არ იძლევა. მასში არ ჩანს გამაერთიანებელი გეზი, არც ჩანს ცალკე ნომრების ერთმანეთთან დამოკიდებულება და არც ერთი-მეორესგან გამომდინარეობა.

მაგალითად ყოვლად შეუფერებელია ბიზეს და ტირინდელლის შემოქმედება ერთმანეთთან და შეუძლებელია ლისტის, ბელლინის და გამოჩენილ მწერლის გრიბოედოვის ერთმანეთთან დაკავშირება.

ყველა ეს იმას მოწმობს, რომ კონცერტის გამაერთებელ ინიციატივას ადგილი არა ქონია და პროგრამის შემადგენლობას ქონდა შემთხვევითი ხასიათი. ამიტომ კონცერტს ეკარგება საზოგადო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ის უნდა იქნეს განხილული, როგორც ჩვეულებრივი დივერტისმენტი, რომელშიც სხვადასხვა არტისტიულმა ძალებმა სხვადასხვანაირად გამოიჩინეს თავი.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია მირა ელიავას იშვიათი მხატვრული გემოვნება და ტეხნიკური სიმძლავრე. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე პირველხარისხოვანი ვოკალურ მასალით დაჯილდოებული ოპერის მსახიობი კრუზო და ფრიად სერიოზული ვოკალური შემოქმედება სანდრო ინაშვილისა. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელმა პროგრამისათვის სერიოზულ ელფერის მისაცემად, მიუხედავად იმისა, რომ განიცდიდა დიდ ფიზიკურ დაღლილობას, რაც ნათლად ემჩნეოდა ხმაზე, კარგად შეასრულა მძიმე და ძნელი არია ოპერა „ანდრე შენიე“-დან.

შესანიშნავი ვოკალური მასალა აქვს მომღერალ ცირილილაძეს „ჯამბაზები“-დან ძნელი პროლოგის და „სევილიურ დალაქი“-დან ფიგაროს არიის ასრულებით. მან ცხადჰყო, რომ დაწინაურებულა მუსიკალურ ტეხნიკისა და აზროვნების მხრივ. დროებითი ნაკლად ჩაეთვლება ცირილილაძეს მისი ბუნებრივად ფართო და მშვენიერი ელფერის ხმის დროგამოშვებითი შევიწროება შუა და ზემო ფარდებში. ამ ნაკლს, უნდა ვიფიქროთ, სწრაფად გამოასწორებს, ვინაიდან მომღერალი ამ მოკლე ხანში მიემგზავრება მოსკოვში ხმის საბოლოოდ დასამუშავებლად.

ფრიად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ქ. გავაშელის ვოკალური მასალა და საერთო მუსიკალობა. არაბუნებრივ შთაბეჭდილებას სტოვებს მომღერალი ო. ჩერნიავსკაია ტირინდელლის და გუნოს თხზულებების აღსრულების დროს: მის განცდას ადევს რაღაც ხელოვნური ელფერი და არა აქვს ადგილი ნამდვილ ინტონაციას.

პროგრამის ინსტრუმენტალურ ნაწილის აღმსრულებლები იულია ბარათაშვილი და გერკ ცომიკი დამთავრებულ არტისტებად ჯერ ვერ ჩაითვლებიან, ვინაიდან მათი მხატვრული შემოქმედება შეზღუდულია ტეხნიკურ მხარესთან შებრძოლებით, და ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, რა მიმართულებას მიიღებს ნიჭი, რომელზეც, ეჭვს გარეშეა, არც ერთს და არც მეორეს უარი არ ეთქმის.

კოტე მელვინეთ-უხუცესი (გობოი).

ხელოვნების ქრონიკა

— „რიგოლეტო“. ახალგაზრდა მომღერალ ბადრიძის სადებიუტოთ დღეს წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“.

— ბალეტი ბავშვთათვის. კვირას, დილით ოპერის თეატრში ბავშვებისათვის გაიმართება საბალეტო წარმოდგენა.

საბჭოთა დრამატურგების საზოგადოება

საბჭოთა დრამატურგების საზოგადოების პირველი საორგანიზაციო კრება შესდგება ხვალ, 26 იანვარს, საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში.

კრებაზე მოწვეული არიან თბილისში მცხოვრები ყველა დრამატურგები, კომპოზიტორები კინო-სცენარისტები და თეატრალური კრიტიკოსები.

ბიბლიოგრაფია

ი. ფერაძე და ი. სიხარულიძე. „ენის დაკვირვება“.

ენის სწავლების პირველი კონცენტრი, სამუშაო წიგნი, თბილისის განათლების განყოფილების გამოცემა, 1927, გვ. 90, ფასი 80 კაპ.

ქართული ენის სწავლება ჩვენს სკოლებში ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული. ქართული ლიტერატურა და ქართული ენა ბევრისათვის ერთი და იგივე ცნებაა, ამიტომ თუ პირველს ასწავლის, ჰგონია რომ მეორესაც ათვისებინებს. მშობლიურ ენას აქვს თავისი წესები და ფორმები, რომელთა გვერდის ახვევა სწავლების დროს ყოვლად დაუშვებელია. ენის ფორმების დაკვირვება და შესწავლა ერთი ერთი უდიდესი ამოცანათაგანი უნდა იყოს შრომის სკოლაში, ვინაიდან ამას აქვს უაღრესი პრაქტიკული მნიშვნელობა ზეპირი და წერითი მეტყველების განავითარებლად.

გრამატიკას ძველ სკოლაშიც ასწავლიდნენ, მაგრამ ძველ გრამატიკას ჩვენ ვერც მიზნის მხრივ მივიღებთ და ვერც მეთოდიურად. ძველი გრამატიკის მიზანი უმეტესად ადამიანის გონებრივ წვრთნაში ვარჯიშობას შეადგენდა და მისი მეთოდიც განყენებული და სქოლასტიური იყო. შრომის სკოლის მიდგომა კი სულ სხვანაირია: მთავარი მისთვის პრაქტიკაში გამოსაყენებელი ენობრივი ცოდნის მიცემაა და მეთოდი კიდევ მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალ ენობრივ ფაქტების შესწავლა-დაკვირვება, მოწაფის კვლევა-ძიებითი უნარის განვითარება და მხოლოდ ამის შემდეგ სათანადო გრამატიკული წესის გამოყვანა.

ჩვენს სკოლაში გრამატიკას ან სრულებით არ ასწავლიან, ან და თუ ასწავლიან ძველებურის სქოლასტიურის მეთოდით. ორივე შემთხვევაში მდგომარეობა უნუგეშოა და ეხლავე ყურადღება უნდა მიექცეს ამ საქმეს. ალბად ამით ხელმძღვანელობდა თბილისის განათლების განყოფილება, რომ დასახელებული წიგნი გამოსცა. ეს წიგნი განყოფილების პედკაბინეტში დამუშავებული და უნდა პირდაპირ ითქვას, რომ სწორეთ რომ დროზე გამოდის; არც ერთი სახელმძღვანელო არაა ამ წიგნზე უფრო საჭირო დღეს ჩვენ სკოლისათვის, სადაც სწორი ზეპირი თუ წერითი მეტყველება საგრძნობლად მოიკოჭლებს. წიგნის დეტალური განხილვა აშკარად გვარწმუნებს, რომ ეს სახელმძღვანელო ძირიანად განირჩევა ქართულ ენაზე არსებულ გრამატიკის სახელმძღვანელოებიდან და შედგენილია სწორეთ ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე პედაგოგიური აზრი და შედარებითი ენათმეტყველების მიღწევები.

„ენის დაკვირვებაში“ სქოლასტიური გრამატიკის ნასახსაც კი ვერ იპოვით და მთელი მასალა ისეა დალაგებული, რომ ფრიად საინტერესო მუშაობას აღძრავს. წიგნი შედგენილია, ე. წ. ფორმალი გრამატიკის მიხედვით და ამ მხრივაც საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ასეთი ნაშრომი პირველია ქართულ ენაზე. როგორც ვიცით, ფორმალი გრამატიკა ამ ჟამად საბოლოოდ გაბატონდა ენათმეცნიერებაში და რუსეთში ასიათასობით იბეჭდება გრამატიკის სახელმძღვანელოები ამ გრამატიკის მიხედვით. განსაკუთრებით ცნობილი ავტორები არიან პეშკოვსკი, ფრიდლიანდი და შოლიტი და სხვ.

როგორც ახალ საქმეს, ამ წიგნსაც უსათუოდ აქვს ზოგიერთი შეცდომები. ერთი ასეთი შეცდომა არის 73 გვ., სადაც ზედსართავის სახელის განმარტებაა მოყვანილი. ეს განმარტება არ არის სწორი. ქართული ზედსართავი მხოლოდ მსაზღვრელი სიტყვაა, სხვაგვარი განმარტება ძნელად თუ მიუდგება. უმჯობესი იქნებოდა სრულებით არ ყოფილიყო განმარტებული, თუ ფორმალი პრინციპი არ იქნებოდა დაცული. მეორე: დადებით ბრძანებით კილოში ავტორები სუბიექტურ პრეპიქსს არ სცნობენ საჭიროდ. ამ კილოში მეორე პირის სუბიექტური პრეპიქსის უარყოფა სადაოა. საჭირო იყო ამის აღნიშვნა. ადგილ-ადგილ ცოტა მაგალითებია მოყვანილი, თუმცა ამ ნაკლს ყოველთვის შეავსებს გამოცდილი მასწავლებელი.

საერთოდ წიგნი ფრიად სასარგებლო სახელმძღვანელოდ უნდა ჩაითვალოს და სასურველია, რომ ფართოდ გავრცელდეს ჩვენს სკოლებში. სახელმძღვანელო ნავარაუდევია ოთხწლედისათვის, მაგრამ დღევანდელ ჩვენს პირობებში, როცა გრამატიკაზე ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვს მოწაფეობას, ეს წიგნი შრომის სკოლის მეორე საფეხურზედაც ძალიან საჭირო იქნება.

ბევრისათვის შეიძლება გასაკვირალი დარჩეს ის გარემოება, რომ ჩვენ გრამატიკის სწავლებას ოთხწლედიდან ვიწყებთ. ეს გარემოება საშიში იქნებოდა მაშინ, რომ გრამატიკის მიზნები და მეთოდები ჩვენს სკოლას ძველებური ჰქონდეს. მაგრამ საქმე იმაშია, ფორმალი გრამატიკა და მისი დამუშავების მეთოდები ისე იოლი და საინტერესოა, რომ ენის წესების პირველი კონცენტრი სულ იოლად შეიძლება განვლილ იქნას ოთხწლედში. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთის შრომის სკოლების მაგალითი: იქ მილიონობით ვრცელდება ოთხწლედში გრამატიკის სახელმძღვანელოები და ვფიქრობთ, რომ ეს გზა ჩვენი სკოლისათვისაც ფრიად ნაყოფიერი იქნება.

მასწავლებელი

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 25 იანვარი.

დღეს, 25 იანვარს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მოხსენება: ლენინი და პარტია კოოპერაციის როლის შესახებ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში—ქართულ ენაზე.

მოხსენება ბესარაბიის ოკუპაციის შესახებ—რუსულ ენაზე.

რა სთქვა მე-15 პარტყრილობამ სოფლად მუშაობის შესახებ—რუსულ ენაზე.

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე.

წითელი არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება: წითელი არმიის ორგანიზაცია—სომხურ ენაზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

პასუხები რადიო-მოყვარულთა წერილებზე

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, ოთხშაბათს, 25 იანვარს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს.

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: მარიამ კიკნაძე, მახმუდ ალი, ნიკოლოზ [illegible]იაძე, ავეტიკ შავერდოვი, მუშეღ მხითარიანი, ვარ. ფარმანიანცი, ვაგან მარტიროსოვი, მამიკონ ტარზიანი, სერაპიონ სხირტლაძე, ოგანეზ სიმონიანცი, მისაკ ჯანაზარევი, სიმონ ოქროშვილი, გალუსტ ჩახარიანცი, იოსებ მირაბიანი, ანნა შახმურადოვა, კლარა დაცკოვსკაია და მარიამ სეიფულოვა.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: იორამ ასატუროვი, აირონიკ თუმასიანცი, ამბარცუმ ონოიანცი.

თბილისის შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ სა[illegible] შრომის კომისარიატთან არსებულ საშუამავლო ბიუროდან მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე:

ვიშნევოლოცკის (ტვერის გუბერნია) ჯანმრთელობის განყოფილებას ესაჭიროება ექიმი ამბულატორიის გამგის თანამდებობაზე. ჯამაგირი 125 მანეთი; ექვსი ბებია-ექიმის თანამდებობაზე, ჯამაგირი 47 მან.; (ბინა, განათება-გათბობით); ონეგის (არხანგელის გუბერნია) სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებას ესაჭიროება: 1) ექიმი, ჯამაგირი 135 მან., 2) ექიმი გამგის თანამდებობაზე—ჯამაგირი 150 მან., 3) ქალაქ ონეგაში ექიმი—ჯამაგირი 150 მან. ყველა მათგანს მიეცემათ სამგზავრო ხარჯები. ამის გარდა ყველა ექიმები სამი წლის სამსახურის შემდეგ გაიგზავნებიან მივლინებაში სამეცნიერო მიზნით.

მსურველმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართოს თბ. შრომის ბირჟის მედსექციაში გოგეშვილს.

რკინის გზებზე

კომისიის დაბრუნება

გუშინ დილას ბათომის უბნიდან თბილისში დაბრუნდა საკავშირო ს. მ. უ. ს. და გზათა კომისარიატის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ჩამოსული იყო საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის საკითხების გამოსარკვევად.

ნავთის ექსპორტის გასაძლიერებლად

გუშინ თბილისში დაბრუნდა გზათა სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიკვლია ბაქოდან ბათომში ნავთის პროდუქტების გადაზიდვის გაძლიერების საქმე. კომისიამ ამ მიზნით დაათვალიერა ამიერ-კავკ. რკ. გზ. ბათომის უბანი და გამოარკვია, რომ შესაძლებელი იქნება ნავთის პროდუქტების გადაზიდვა გადიდდეს 20—25 პროცენტით, ანუ 96 ცისტერნით დღეში. ამისათვის კომისიამ საჭიროდ მიიჩნია ბათომში აგებულ იქნეს ნავთის ჩასასხმელი ახალი რეზერვები და გაყვანილ იქნეს რკ. გზის ახალი ჩიხები.

საცდელი მატარებელი

დღეიდან განზრახულია 90 000 ფუთიანი მატარებლის ცდების მეორე ნაწილის დაწყება. მატარებელი გაიგზავნება სუღელტეხილო უბანზე

ცდები წარმოებული იქნება „ე“ სერიის ორთქლმავლებით.

დაჯახება

23 იანვარს სადგ. ბალაჯარში ერთმანეთს დაეჯახა ორი ორთქლმავალი.

დაჯახების დროს ორთავე ორთქლმავლები უმნიშვნელოდ დაზიანდენ.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი

(დასასრული).

სატირაჟო კომისიის 15 იანვრის დილის სხდომაზე 250 მანეთიანი მოგებანი ხვდა შემდეგ სერიების ყველა (50) ნომერს.

003.020	035.180	082.378
003.502	039.649	092.025
006.663	047.401	095.381
011.014	050.852	120.263
018.868	062.333	136.461
019.201	074.140	144.012
021.953		
034.659		

16 იანვარს დილის სხდომაზე გათამაშებულ იქნა 2.150 ორას ორმოცდაათ მანეთიანი მოგება, 84—ათას მანეთიანი მოგება, 4.116—ას-ას მანეთიანი მოგება, რომლებიც ხვდა სერიებისა და ობლიგაციებს შემდეგ ნომრებს:

ორას-ორმოცდაათმანეთიანი მოგება.

006.662	025.471	058.457	083.830
010.679	026.332	061.983	086.892
012.487	028.507	062.978	088.581
014.225	039.307	063.759	090.270
014.630	053.911	064.078	096.207
025.260	056.138	067.811	
096.275	104.223	122.966	144.357
101.061	105.857	124.175	153.646
099.659	105.622	123.772	148.600
101.251	108.235	127.402	154.151
101.284	111.541	135.104	158.129

ათას მანეთიანი მოგება.

სერიების №	ობლიგ. №	სერიების №	ობლიგ. №	სერიების №	ობლიგ. №
001.215	01	064.450	32	119.091	45
005.488	28	067.502	49	119.356	49
[illegible]	16	070.188	37	120.834	16
009.821	47	075.241	25	122.947	01
[illegible]	35	[illegible]	46	123.332	31
012.027	20	080.691	35	123.352	38
012.895	19	082.643	37	124.442	27
019.069	14	082.656	11	128.787	33
019.861	41	083.614	41	128.901	17
020.492	14	085.119	33	129.028	46
023.879	03	086.081	41	129.354	25
023.884	41	087.347	46	131.447	28
026.939	16	087.669	04	133.229	37
027.113	29	088.608	18	133.279	13
027.138	33	091.862	24	133.710	30
028.019	31	095.336	10	133.829	17
041.922	40	097.483	33	136.816	05
044.281	33	097.605	44	[illegible]	40
048.023	29	100.411	04	145.087	40
049.337	13	103.851	09	150.785	10
049.961	36	106.540	03	151.017	25
051.219	35	109.114	46	151.227	39
053.717	02	109.530	40	152.926	01
054.115	36	112.246	04	153.425	22
056.213	32	113.429	27	153.536	01
057.019	06	114.053	25	154.247	39
060.851	25	116.199	15	155.258	34
063.261	10	116.266	20	156.234	41

ყველა ზემოთ-აღნიშნულ სერიების ობლიგაციებმა მოიგეს აგრეთვე ას-ასი მანეთი.

5.000 მან. მოგება ხვდა:

სერიების №	ობლიგ. №	სერიების №	ობლიგ. №	სერიების №	ობლიგ. №
005.694	09	044.384	49	068.275	02
014.122	38	046.430	46	076.221	23
041.349	42	065.291	28	077.142	29
				107.980	37

ათი ათასი მან. მოგება.

სერიების №	ობლიგ. №	სერიების №	ობლიგ. №	სერიების №	ობლიგ. №
036.522	16	079.652	39	125.620	38
067.556	11	125.481	06		

25.000 მან. მოგება.

სერია—042.231, ობლიგ. № 46.

ბრმების სკოლა

თბ. ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ავლაბარში არსებულ ბრმების სკოლის გაფართოების მიზნით გადასცეს მას 3 დარაბა. პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო აღძრას შუამდგომლობა მუშკოოპის სამმართველოს წინაშე, რათა მან იკისროს ბრმების სკოლის მიერ დამზადებულ ნავთების—ჩალის სკამების, კალათების, ჩოთქების და სხ. გავრცელება თავის სავაჭრო ქსელის საშუალებით.

ამასთანავე პრეზიდიუმმა სკოლის საჭიროებისათვის გადასდო 1500 მანეთი.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს წიგნაკი № 6227

მექირავე ერთი ოთახი ქალაქის განაპირას ვარ სტუდენტი, უმუშევარი, კავშირის წევრი. სახლის პატრონს ვაძლევდი ქირას შეთანხმებით. ამ ჟამად უმუშევრობის გამო ვერ ვიხდი სახლის პატრონს დაპირებულ ქირას; ამის გამო მეპატრონე მაძლევს გაძევებას. გთხოვთ რჩევა-დახმარებას

პასუხი

ვინაიდან თქვენ პროფკავშირის წევრი და უმუშევარი ხართ, უნდა იხადოთ საბინაო ტარიფის 8 მუხლის თანახმად თით-თოთი კაპ. კვადრატულ საჟენზე; სახლის პატრონს არ შეუძლიან ამაზე მეტი მოგთხოვოს და გამოგასახლოს [illegible].

ვ. ხომასურიძეს

კითხვა: სამხედრო ნაწილის მიერ გაგზავნილი ვიყავი პრაქტიკაზე, ვმუშაობდი ორთქლმავალზე ცეცხლფარეშად ორი თვე, როგორც პრაქტიკანტები. გვერგება თუ არა ხელფასი.

პასუხი: კანონი პრაქტიკანტების შესახებ ეხება უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეებს; წითელ არმიელების პრაქტიკაზე გაგზავნა ამ კანონით გათვალისწინებული არ არის. ამის გამო თქვენზე ვერ გავრცელდება ის წესები, რაც პრაქტიკანტების შესახებ არის დაწესებული კანონით.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არჩრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 25 იანვარს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში მოწვეულია **რაიკომის გაფართოებული პლენუმი**, კომპარტიის უჯრედთა ბიუროების წევრებისა, ნებაყოფლობით ორგანიზაციათა (ოზედესი, თავდაცვა-ავიაქიმი, ქალაქისა და სოფლის ურთიერთი დამხმარე საზოგადოება და სხ.) წევრ-კომუნისტების მონაწილეობით.

ზემოხსენებულ ამხანაგების დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლივ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საარქივო ცენტრ - განმანაწილებელი განყოფილება აძებს ამხ. მამულაიშვილს („სამშენი“) და გიორგი ზარქაძეს სასწრაფოდ გამოცხადდეს ხსენებულ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 11).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საკონფლიქტო კომისია აძლევს ამხ. დავით პანტურიას, კოლიტოლიტ ჩიდარიას, ქრისტეფორე ვახტანგიშვილს და მიხეილ გოგიჩეს გამოცხადდენ დღეს, 25 იანვარს, საღამოს 5 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. საორგანიზაციო განყოფილებაში საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა | წ. 24 იანვარს რესპუბლიკის საავადმყოფოში გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი

ამხ. სოლომონ გიგოს ძე

დოლიძე

საქ. კომპარტიის (ბ) გურიის სამაზრო კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ორგანიზაციის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის ყოფილი წევრი, ძველი ბოლშევიკი (1906 წ.)

ამხ. სოლომონ გიგოს ძე

დოლიძე

ნ. 523

ს. კ. პ. (ბ) გურიის ორგანიზაციის ლანჩხუთის რაიკომი აუწყებს თავის ორგანიზაციის წევრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი რაიკომის ყოფილი მდივანი კომპარტიის წევრი 1906 წლიდან, დაუღალავი მებრძოლი

ამხ. სოლომონ გიგოს ძე

დოლიძე

ნ. 523

ს. კ. პ. (ბ) გურიის ორგანიზაციის ჩოხატაურის რაიკომი აუწყებს თავის ორგანიზაციის ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ორგანიზაციის აქტიური მუშაკი

ამხ. სოლომონ გიგოს ძე

დოლიძე

ნ. 523

გულდათუთქული ეულალე ტერეზია კალიმბერლით გოგუცათი, სიდედრი ელისაბედ, სიამრი ესე, ცოლის ძმები თეოფილე, ერმილე და ალფეზ ბურჯულაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა | წ. 24 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა, 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) № 22 დილის 12 საათზე. დასაფლავების ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 522

ძმები ასდრო, თედორე და ვალოდია დოლიძეები აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა | წ. 24 იანვარს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ძმა, ძველი ბოლშევიკი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა ა | წ. 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან—საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) ქუჩა № 22 დილის 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. დასაფლავების ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 522

დები ოლინკა, დომნა და ლიდა, სიძეები—ივანე სიხარულიძე და ესტატე ოკუჯავა, რძლები—მარიამ, თამარა და ქეთო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა. წ. 24 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა, 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) ქუჩა № 22 დილის 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. დასაფლავების ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული

ნ. 522

კომპარტიის წევრები: ვალერიან გოგიბერიძე, გრიგოლ მგალობლიშვილი, ტარასი მგალობლიშვილი, ვარდენ კალანდაძე, თეოფილე ჩიჩუა, კონსტანტინე ხომერიკი, ვალოდია თავართქილაძე, სერგო მეგრელიშვილი, ლავრენტი ჯიბლაძე, ბიქტორ სიხარულიძე, ნოე ზომლეთელი, ნოე ზამბახიძე, დავით ბლაგიძე, ბირიან ქერქაძე, მიხაკო მეგრელიძე, ელიზბარ კალანდაძე, სარდიონ ჯიბუტი ამით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა | წ. 24 იანვარს გარდაიცვალა თანამებრძოლი, ძველი კომპარტიის წევრი (1906 წლიდან)

ამხ. სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

სამუდამოთ გულდათუთქული და უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ლიდია კრისტესის ასული თათარაშვილი-ჯორბენაძისა თავისი პატარა ქალ-შვილი ნათელათი, მშობლები ლისა და დარისპანი, დაი ვერა, ძმები: ილიკო და ალექსანდრე ჯორბენაძე ცოლშვილებით, ცოლის ძმა ნიკო კრისტესიასძე და ცოლი მისი ძარო შვილებით თათარაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ბაღდათის რაიონის სახალხო მოსამართლეს

კოლია (ნიკოლა) დარისპანის ძე

ჯორბენაძეს

გარდაცვალების ერთი წლის თავის აღსანიშნავად ა | წ. 25 იანვარს გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. ქვედო ჩიბათში.

1106

უახლოესი მეგობრები ამით აუწყებენ ამხანაგთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარ მეგობრის, და ცველთა კოლეგიის წევრის

დავით (დათიკო) მიხეილის ძე

შენგელაიას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლომინაძის ქ. № 9 (ყ. იზმაილოვის) ხუთშაბათს, 26 იანვარს, დილის 4 საათ.

2—1 ნ 520

[illegible] მიხეილისძე ფხაკაძე და მისი ცოლი ქეთევან სპირიდონის ასული ფხაკაძისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა. წ. 23 იანვარს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

მართა სიმონის ასული

ფხაკაძისა

დაკრძალვა სოფ. ფარხანაყანეში, ხუთშაბათს, 26 იანვარს.

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

ექ. ი. ჩოხელი—პირველი დახმარება უბედურ შემთხვევებში. გვ. 168. ფასი—1 მ.

სლეპკოვი—ოპოზიციონური ნეომენშევიზმი. გვ. 48. ფასი—20 კაპ.

თ. ქლენტი — რევოლიუციონური მოძრაობა შორაპნის მაზრაში—გვ. 88. ფასი—1 მან.

ნ 429 25—16

სახელმწიფო ოპერა

დღეს, ოთხშაბათს, ტენორ **დ. ბადრიძის** პირველი გამოსვლა **რიგოლეტო**

მონაწ.: დანელიანი, პანტელეევა, ბადრიძე, სანდრო ინაშვილი, ლუბენცოვი.

დირიჟორობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი.

ხუთშაბათს, 26-ს ოფმანის ზღაპრები.

შაბათს, 28-ს აიდა

ნ. 521 1—1

აპოლო	[illegible]	[illegible]	დარბაზი
მხატვრული კინო-პიესა „შხამი“ ა. ლუნაჩარსკის პიესის მიხედვით	ნიკოლოზ რიმსკი და სიუზანა ბიანკეტი 1927 წ. ორიგინალურ სურათში „ბედნიერი სიკვდილი“	მონოპოლიურად ტრიუკებიანი კინო-რომანი 27 წლ. გამოშვება „სასიკვდილო ნახტომი“	ჰარი პილ ტრიუკებიან კინო რომანში უთავო მხედარი 1 და 2 სერია

ანონსი მალე ორი საუკეთესო სურათი „მოჯადოებული კუნძული“ და „60.000 ფრანკი“.

თბილისის გარე-უბნის სასამართლოს აღმსრულებელი ქ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ის 31 იანვარს 1928 წ. სოფ. ზემო ავჭალაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დიმიტრი თექთუმანიძის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, კომოდს, კედლის სარკეს, მაგიდას ცინკის ვანას, ქვაბს და ხუთს თხას შეფასებულს 102 მანეთად, ზაქრო ბუთიკაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის გარე უბნის სახალხო სასამართლოსაგან დეკემბრის 1927 წ. თარიღით, № 1576 გაცემულ აღმსრულებელი ფურცლისა. ვაჭრობა და წყება შეფასებიდან.

1184

ექ. ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელინსკის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80.

იონა გაბიჩვაძე

პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგნი დილით 7—8 ნაშ. ს. საღამოს 5—8 ს.

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის კეთილმოწყობის განყოფილება

აცხადებს, რომ ა. წ 7 თებერვალს დღის 1 სა:თ. 30 წუთზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ორთქლის აბანოს აგებაზე

ნაძალადევში

ქალაქ თბილისის მე-11 კომისარიატში სარემონტო ქუჩაზე (ყ. ხუდადოვ ხ ქ.) 98.000 მანეთის ფარგლებში.

იჯარით გასაცემ სამუშაოთა კონდიციების და პირობების მიღება შეიძლება თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის კეთილმოწყობის განყოფილების კანცელარიაში ოთახი № 338, ყოველდღე დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ვაჭრობის დღეს მოვაჭრეებმა უნდა წარმოადგინონ ქვითარი თბილისის ალმასკომის სალაროში ბეს შეტანის შესახებ განცხადებულ თანხის 4 პროცენტის რაოდენობით.

კეთილმოწყობის განყოფილების გამგე

ნ. 525. მთავარი ინჟინერი ქურდიანი.

ალმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 4 თებერვალს, ნაშუადღევის 12 საათზე, ოთახი № 346-ში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მდინარე მტკვარზე, მაუდის ქარხანასთან ახლოს, ბორნის მოწყობის სამუშაოების გაცემაზე.

ყოველგვარი პირობების და კონდიციების მიღება შეიძლება ოთახი №-346-ში.

კეთილ-მოწყ. განყ. გამგის მოადგ.

მთავარი ინჟენერი—ქურდიანი.

ნ. 526

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სახსამარ. აღმსრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 28 იანვარს 1928 წ. დილის 2 საათზე სახლში № 36 ზორაბაშს ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მარია, ელიზავეტა და სხვ. ალავერდოვების ურავ ქონებას, ორსართულიან სახლს შეფასებულს 500 მანეთად, არშაკ ტანზაკეროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-2 უბ. სახალხო ნოტარიუსისაგან 1 დეკემბ. 1927 წ. თარიღით, № 3178 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა მოხდება, დაცვით 310, 311, 312, 313, 314, მუხ. სამ. საპრ. სამართ. კოდექსის.

1188

1928 წლის 15 იანვრიდან იხსნება „ზაკავტოტრანსპორტ“-ის ავტომობილების მიმოსვლა

შემდეგი მიმართულებით

თბილისი-ასურეთი-თეთრი-წყარო („ბელი კლიუჩ“) ავტომობილები გადის დილის 9 საათზე.

თბილისიდან	თეთრ წყაროდან
ოთხშაბათობით და შაბათობით.	ხუთშაბათობით და კვირაობით.

ბილეთები იყიდება:

თბილისში: თავისუფლების მოედანზე ყოფ. თამამშევის ქარვასლა, სამგზავრო კანტორაში.	თეთრ წყაროში: ბაზარში კონტრაგენტ გრ. ჩარნ კოვთან

ნ. 524

ს.ს.ს.რ. პოლიტგანათლების მთავარმართველობა

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომელთაც სურთ მიიღონ საბიბლიოთეკო მუშაკის წოდება და აგრეთვე იმ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომელთა ბიბლიოთეკებში 1927 წ. 1-ლ ოქტომბრიდან გაიხსნა თავისუფალი ადგილები, რომ თანახმად სახკომსაბჭოს დეკრეტისა გ. წ. 1/ სექტ. (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 218 27 სექტ. 27 წ.) მთავარპოლიტგანათან არსებული საექსპერტო საგამოცდო კომისიის სესია დანიშნულია 1928 წ. 15—20 თებერვლამდე.

განცხადებები მიიღება საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტში ა. ჯორჯაძის ქ. № 4, (ყოფ. გიორგის ქუჩა), სამშაბათობით და შაბათობით საგამოცდო პროგრამები იქვე.

ნ. 528

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კლ. ხოველის ქუჩა № 8) ამით აცხადებს, რომ შაბათს 28 და კვირას, 29 იანვარს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში ნ. 527

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—04

25—1

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ხარიყალის ქ. № 1.)

25—1

თბილისის რაიონული საბაჟო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. თებერვლის 3-ში და შემდეგ დღეებში დილის 9 საათისათვის, საბაჟოს ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**

გაიყიდება ჩამორთმეული კონტრაბანდული საქონელი: შევიოტი, ინდიგო, კოვერკოტი, ლიონის შარფები, ქალისა და კაცის წინდები „ვიქტორია“, ტყავი ლაქისა, პუდრი „კოტი“, სინათლ. გრძნობი ქაღალდი, საკერავი მანქანის ემსები და სხვ.

აგრეთვე გამოსასყიდელად ვადაგასული საქონელი.

ნ. 519

[illegible] სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20

25—1

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის.

ნ. 25—11

ექიმი

ექიმი ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და სღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.

13—1 გ. მ. მუხაძე.

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოვის“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევ (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

25—

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. იღებს დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

25—4

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8 9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47. ტელეფონი № 5—90.

25—1

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი [illegible] ორშაბათობით, ოთხშაბათობით. ხუთშაბათობით და პარასკევობით, საღ. 7-8 საათ მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. [illegible]

25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—1

კბილის ექიმი

დავით სავვატის ძე

რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულება, პლომბები და ყოველი გვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედნის კუთხე.

25—1 1182

ექიმი

პ. ი. მგალობლიშვილი

სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი

ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2.

25—1

დაკარგვა: „ზაკტპის“ წიგნაკი ნინა კორკიას სახელზე ჩ. გ. 1181

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 33 აგრაფინა მიხეილ გოცირიძის ასულის სახელზე, ჩ. გ. 1183

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი და სანგარიშო წიგნაკი მიხეილ [illegible] ნესტორ ისძე პაკაკას სახელზე, ჩ. გ. 1180

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი [illegible] ალაიანის სახელზე, ჩ. გ. 1179

დაკარგვა ომინ. პარტიის კანდიდატობის მოწმობა № 17403 და მიწა ტყის კავშირის წიგნ. № 4.13 კონდრატე გახოკიას სახელზე, ჩ. გ. 1178

დაკარგვა მატრიკული № 3194 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შალვა ოქრო პირის-ძე ტოლორაძის სახელზე, ჩ. გ. 1162

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწერი ნიკოლოზ აბაკაოს ძე მოაგელის სახელზე, ჩ. გ. 1186

დაკარგვა: პირადობის მოწმობა, № 541 ეპრაქსია მიხეილის ასულ მიქაძის სახელზე, ჩ. გ. 1185

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კაპიტ. ქ. № 6ა